# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 28 მარტი, 2006 წელი.

№ 61 (5399)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## დიდი გულისტკივილი

გამოვთქვამთ დიდ გულისტკივილს ა. წ. 27 მარტს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში განვითარებული მოვლენების გამო, რის შედეგადაც დაიჭრა მრავალი ადამიანი, სამწუხაროდ, არის მსხვერპლიც.

საქართველოს ეკლესიის სახელით თანაგრძნობას ვუცხადებთ გარდაცვლილთა ოჯახებს, დაჭრილებსა და მათ ახლობლებს.

პატიმრებს მოვუწოდებთ ლოცვისაკენ, ხელისუფალთ კი მივმართავთ თხოვნით, ნება დართონ ჩვენი სამღვდელოების წარმომადგენლებს საპატიმროებში შესვლისა, რათა ხელი შევუწყოთ პროცესების ნორმალიზაციას და მშვიდობიანი ატმოსფეროს შექმნას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

## პრეზიდენტი მადლობას უცხადებს

იხ. მე-2 გვ.




იხ. მე-2 გვ.

## „ბუნტის ვერსია ხელისუფლებამ შეთითხნა"

იხ. მე-3 გვ.

## პატიმარს თავისი დანაშაულიც ეყოფა...

იხ. მე-3 გვ.

## ციხეში მომხდარი ინციდენტი კარგად ორგანიზებული პროვოკაცია იყო

იხ. მე-3 გვ.

## თეა და თავისუფლებადაკარგული ინსტიტუტი

იხ. მე-3 გვ.

## შვილები რა, მეძავებად და მკვლელებად გავზარდოთ?!

იხ. მე-6 გვ.

## უილაჯოთა უჯიათობა

იხ. მე-4 გვ.




## პერსონალურ პასუხისმგებლობას უშუალო პრეზიდენტს ვაკისრებთ



იხ. მე-5 გვ.

## საწუხარია შენობას მოწყვეტილი აგურის ბედიც

იხ. მე-6 გვ.

## მრავალ გაზიან სასმელში აღმოჩენილია კანცეროგენური ბენზოლი

იხ. მე-12 გვ.

◉ უშიშროების საბჭო



# პრეზიდენტი მადლობას უცხადებს

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ საღამოს სახელმწიფო კანცელარიაში უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია, რომელზეც სასჯელაღსრულების სისტემაში პროფესიონალურად განხორციელებული სპეცოპერაციისთვის იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებსა და სპეცრაზმელებს მადლობა გადაუხადა.**

**მიხეილ სააკაშვილის თქმით, ხელისუფლება კრიმინალებთან ბრძოლაში უკან არ დაიხევს და ორგანიზებულ დანაშაულს დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს.**

**— მას შემდეგ, რაც ჩვენ ყველამ ერთად გამოუცხადეთ ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულს და კანონიერ ქურდების ინსტიტუტს, არ წყდება მუქარები მათი მხრიდან, რომ მოხდება მასობრივი არეულობა. არანაირი მოლაპარაკება ამ ხალხთან, რადგან ამ ხალხმა გადაწყვიტა ჩვენი გამოწვევა, ჩვენ კი გამოწვევას ვიღებთ. იცოდეს ყველამ, კრიმინალებმა და მათმა პოლიტიკურმა და სხვა სახის მფარველებმა — სულ რომ ყირაზე დადგნენ, ჩვენ დავამყარებთ წესრიგს ქვეყანაში,** — განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ ამ ბუნტის შედეგად საზოგადოება სერიოზულ საშიშროების წინაშე დადგებოდა. მან დღეს 90-იანი წლების მაგალითი გაიხსენა, როდესაც ციხიდან გაქცეული კრიმინალები ხელისუფლებაში მოვიდნენ, რასაც სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვა.

პრეზიდენტის განცხადებით, მას შემდეგ ციხეს და მთელ ქვეყანას, 15 წლის განმავლობაში მართავდა არა ხელისუფლება, არამედ კანონიერი ქურდები. „ისინი მართავდნენ პოლიტიკას, ეკონომიკას, ქუჩას და ა.შ. ციხიდან ხდებოდა ნარკოტიკების გავრცელება, გატაცებების ორგანიზება, ხალხის დაშინება", — განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

**— რა შეიძლება მოჰყოლოდა 4000 დამნაშავის თბილისში გასვლას. ისინი ქვეყანას ახლიდან ჩაითრევდნენ ქაოსსა და ძალადობაში,** — აცხადებს პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ორთაჭალის ციხე პრაქტიკულად უკვე დასანგრევია და წლის ბოლოსთვის ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ციხე აშენდება.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ოპოზიცია

## „ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ"

### საკოორდინაციო საბჭო პასუხისმგებლობას საქართველოს პრეზიდენტს აკისრებს

**ოპოზიციურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭოს სახელით, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ განაცხადა, რომ 30 მარტს 15 საათზე საქართველოს პარლამენტის წინ გაიმართება სანქცირებული, კანონიერი, მშვიდობიანი საპროტესტო აქცია ძალადობის, ადამიანის უფლებათა დაცვის მოთხოვნით.**

საკოორდინაციო საბჭომ სამძიმარი გამოუცხადა შრომა-გასწორების დაწესებულებებში დაღუპულთა ოჯახის წევრებს და მომხდარზე პასუხისმგებლობა დააკისრა საქართველოს პრეზიდენტს, როგორც უმაღლეს პოლიტიკურ ფიგურას.

საკოორდინაციო საბჭო მოითხოვს იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის გადადგომას და ახალაიას ჯგუფის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, აგრეთვე, შრომა-გასწორების დაწესებულებებში ადვოკატთა ჯგუფების და საერთაშორისო მონიტორინგის წარმომადგენლობების შესვლას.

შალვა ნათელაშვილის თქმით, საკოორდინაციო საბჭოსგან პრინციპული წინააღმდეგობა შეხვდება ხელისუფლების ყოველ მცდელობას, გადააბრალოს საკუთარი დანაშაულებრივი პოლიტიკით გამოწვეული შედეგები თავისუფალ მედიას, ბიზნესს, არასამთავრობო სექტორს, პოლიტიკურ პარტიებს და იმ ჯგუფებს, რომლებიც იბრძვიან ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად.

**საკუთარი ინფორმაცია**

◉ აკრძალული ზონა

# ვინ უნდა აგოს პასუხი „ბუნტის" ფატალურ შედეგებზე?

**საქართველოში ისედაც აწეწილ პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობას ახლა მარტო საპყრობილეებში პატიმართა აბუნტება აკლდა და, საკითხავია ვისი გამოისობით. ეს თავსატეხიც ელდასავით უცებ გამოცხვა.**

ბუნტი გუშინ გვიან ღამით ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაიწყო, იქიდან № 1 და № 5 საპყრობილეებს გადაედო და ფატალური შედეგებიც მოიტანა.

მართალია, ხელისუფლება დაღუპულ და დაჭრილ პატიმართა ზუსტ რაოდენობას არ ასახელებს, მაგრამ პირველადი მონაცემებით ციხეებში არეულ-დარეულობასა და სპეცრაზმთან დაპირისპირებას 7 პატიმრის სიცოცხლე შეეწირა, 17 დაჭრილი კი თბილისის სხვადასხვა საავადმყოფოში მოათავსეს. პატიმართა გარდა, სპეცოპერაციისას, იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმისა და სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებიც დაიჭრნენ.

დიდი მღელვარება იყო ორთაჭალის ციხესთან, სადაც პატიმართა ათასობით ახლობელი შეიკრიბა. ისინი ოჯახის წევრებისა და მეგობრების ბედის გარკვევას ამაოდ ცდილობდნენ. დაღუპულთა და დაჭრილთა ვინაობა მათთვის სრულიად გასაიდუმლოებული იყო.

თავად წარმოიდგინეთ დედების, ან ცოლების მდგომარეობა, რომლებმაც არ იცოდნენ მათი შვილი თუ ქმარი ცოცხალია, დაჭრილია თუ უვნებელია, და სრულიად არ იყო გასაკვირი ის მედგარი წინააღმდეგობა, ციხეებთან შეკრებილი ხალხი იქ მობილიზებულ პატრულსა და კრიმინალურ პოლიციას რომ უწევდნენ, ციხეში შიგნით შეგვიშვითო. იქვე სასწრაფო დახმარების ორი მანქანაც იდგა, მაგრამ გულწასულთა რაოდენობა იმდენად ჭარბი იყო, თავად ექიმები ჩიოდნენ, ამდენს მარტო ჩვენ ვერ ვეყოფით, სასწრაფო დახმარების პერსონალი კიდევ მოგვაშველეთო.

საიდან და როგორ დაიწყო ბუნტი „რესბალნიცაში", პირველსა და მეხუთე საპყრობილეებში? ამის შესახებ გუშინ ორი ვერსია დასახელდა, რომელთაგანაც ერთი ოპოზიციასა და არასამთავრობოებს ეკუთვნით, მეორე კი — ხელისუფლებას.

ოპოზიციის მტკიცების თანახმად, ციხეებში სისხლიანი აჯანყება სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ბაჩო ახალაიას გამო დაიწყო, რომელიც თურმე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სპეცრაზმთან ერთად მთვრალი შესულა და პატიმრების ცემა დაუწყია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაჩო ახალაიას მიმართ ამგვარი ბრალდებები (არაფხიზელ მდგომარეობაში ციხეებში „გასეირნება" და პატიმრების პირადად ცემაძ, პირველი და ახალი არ არის, ადვილი შესაძლებელია, ოპოზიციის ვერსია სინამდვილე იყოს, თუმცა აქვე ლოგიკური კითხვაც ჩნდება, თუ ახალაიამ პატიმრები „რესბალნიცაში" სცემა, ბუნტი ასე ოპერატიულად და მოკლე დროში სხვა საპყრობილეებს როგორ მოედო?

ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს სცემს ხელისუფლების მტკიცება, ანუ იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის, უმრავლესობის წევრ ელენე თევდორაძისა და სახალხო დამცველ სოზარ სუბარის ნათქვამი, ციხეებში ბუნტი რომ მზადდებოდა, ამის შესახებ წინასწარ ვიცოდითო.

**საამისოდ ხელისუფლებას საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხილიც აქვს: ის ფარული ვიდეოჩანაწერი, რომელიც იუსტიციის მინისტრმა მხოლოდ გუშინ დილით გამოაჩინა და საიდანაც ჩანს, რომ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში სამი პატიმარი, რომელთაგანაც ერთი კრიმინალური ავტორიტეტია, გეგმებს აწყობს, სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის პროვოკაციაზე წამოსაგებად და შემდეგში ფართომასშტაბიანი ბუნტის მოსაწყობად.**

თუმცა ეს ნივთიერი სამხილი და იმის მტკიცებაც, მოსალოდნელი ბუნტის თაობაზე წინასწარ ვიცოდითო, წყალს ხელისუფლების წისქვილზე კი არ ასხამს, არამედ მის მდგომარეობასა და პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ამძიმებს.

ხელისუფლებას, როგორც ის თავად ამტკიცებს, თუ ადრევე ჰქონდა ინფორმაცია ციხეებში მოსალოდნელი აჯანყების შესახებ, მაშინ სრულიად გაუგებარია, პატიმართა ეს განაზრახი იდეაშივე რატომ არ აღკვეთა და საქმე სისხლიან შეტაკებამდე რატომ მიიყვანა?

იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ მათ პატიმრებს განზრახვაზე ხელის აღება და თავიანთ საკნებში მშვიდად ჯდომა მოუწოდეს, მაგრამ დაკავებულები ბრძანებას არ დაემორჩილნენო.

თუ კბილებამდე შეიარაღებულ სპეცნაზს ათასობით პატიმრის ბუნტის აღკვეთა შეეძლო, ალბათ გაცილებით ადვილი იქნებოდა იმ სამი პატიმრის, ვინც ფარულ ჩანაწერში ჩანს, „რესბალნიციდან" მოშორება და იზოლირებულ საკნებში მოთავსება. თუმცა რატომღაც ეს არ გაკეთდა და ისე გამოვიდა, რომ ხელისუფლებამ თავად შეუწყო ხელი ციხეებში შეიარაღებულ შეტაკებას.

**ისმის მეორე და, შესაძლოა, უფრო აქტუალური კითხვა. როცა ყოველდღე, თვით ქვეყნის უმაღლესი პირებისგან მტკიცებითი ფორმის განცხადებები გვესმის, საპყრობილეებში იდეალური წესრიგი დავამყარეთო, როცა თითქოს პატიმრებს საკნებში მობილური ტელეფონებიც კი არ აქვთ, როგორ მოხერხდა ციხეებში იარაღის შეტანა, რომლითაც პატიმრებმა კბილებამდე აღჭურვილი სპეცრაზმისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა შეძლეს?**

ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხების გაცემა სწორედ ხელისუფლების კომპეტენციაა.

საზოგადოებისა და ოპოზიციის მხრიდან კი სირაქლემას პოზის არჩევა იქნება იმაზე თვალის დახუჭვა, რომ ბუნტს წინასწარ ორგანიზებულობის აშკარა ელფერი დაკრავს. ამის გარეშე, სხვაგვარად „რესბალნიცაში" და ორ დიდ საპყრობილეში აჯანყების სინქრონულად დაწყება, რთული დასაჯერებელია.

**აქაც, თვით აბუნტებულ პატიმრებზე მეტი პასუხისმგებლობა ისევ ხელისუფლებას ეკისრება, ამგვარი იალღიშისთვის და იმის გამო, ვითომდა საპყრობილეებში საეჭვო ბუზის არშემშვებს ამხელა ბუნტისთვის მზადება რომ გამოეპარა.**

სწორედ ამიტომ ითხოვს ოპოზიცია ბაჩო ახალაიას თანამდებობიდან გადაყენებასა და მასზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, ასევე გია ქავთარაძისა და სოზარ სუბარის პოსტებიდან გათავისუფლებას.



**ჯაბა ხუბუა**

**P. S. სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდნენ ადვოკატებიც, რომლებმაც თავიანთ დაცვის ქვეშ მყოფთა შესახებ არაფერი იციან. ისინი გუშინ ელენე თევდორაძესთან და სოზარ სუბართან დაკავშირებას ტყუილუბრალოდ ცდილობდნენ, რათა მათთვის საპყრობილეებში შეშვება და თავიანთ დასაცავ პატიმართა ბედის გარკვევა ეთხოვათ.**

◉ აქტუალური თემა

# ქვეყანას რევოლუციები ვერ იხსნის

**№ 5 საპყრობილეში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, პარლამენტში სავარაუდოდ სპეციალური კომისია შეიქმნება, რომელიც შეისწავლის შეიძლებოდა თუ არა შექმნილ სიტუაციაში ხელისუფლებას ისეთი პრევენციული ზომები მიეღო, რომ არეულობა და მსხვერპლი თავიდან აეცილებინა.**

**უმრავლესობის წევრები აღნიშნავენ, რომ ეს შეუძლებელი იყო.**

***კახა კუკავა, „კონსერვატორების" ლიდერი:* „პარლამენტმა აუცილებლად უნდა გადაამოწმოს. ნებისმიერ ცივილურ ქვეყანაში ასეთი დიდი მსხვერპლის დროს დაისმებოდა კითხვა, იყო თუ არა ძალა მოქმედი კანონის შესაბამისად გამოყენებული. ეს აუცილებლად უნდა გავარკვიოთ".**

პლენარულ სხდომაზე ამ საკითხთან დაკავშირებით, ცხელი დებატებია მოსალოდნელი. თუმცა, პლენარულ სხდომაზე ოპოზიცია ისედაც მწვავე გამოსვლებს გეგმავდა. მაგალითად, გოჩა ჯოჯუამ განაცხადა, რომ აპირებს დასვას კითხვა: აქვს თუ არა პარლამენტში დებატების გამართვას აზრი? ოპოზიციონერი დეპუტატი მიიჩნევს, რომ მოსახლეობა უკმაყოფილო და რადიკალურია, პარლამენტი კი თავისი მოსახლეობის ინტერესებს არ გამოხატავს.



**გოჩა ჯოჯუა, „დემოკრატიული ფრონტი": „ხელისუფლება პრობლემებს გარეთ ეძებს და შექმნილ სიტუაციას ხან რუსეთს აბრალებს, ხან სხვას. არადა, პრობლემა შიგნითაა. ხელისუფლება კრიზისშია. თუ ამაზე პარლამენტში არ სურთ ლაპარაკი, მაშინ პარლამენტში ყოფნას აზრი აღარა აქვს".**

შეიძლება ითქვას, რომ საპარლამენტო ოპოზიცია ორ ნაწილად არის გაყოფილი. ოპოზიციაში არიან პოლიტიკოსები, მათ შორის „რესპუბლიკელები", რომლებსაც არ უნდათ, რომ სიტუაცია კალაპოტიდან გამოვიდეს და უმართავი გახდეს. ოპოზიციის მეორე ნაწილი კი აცხადებს, რომ სიტუაცია ახლაა უმართავი და თუ ასე დარჩება, უარესი მოხდება. რაც შეეხება უმრავლესობას, საპარლამენტო უმრავლესობიდან ზოგიერთები საერთოდ, იხტიბარს არ იტეხენ და აცხადებენ, რომ არანაირი სერიოზული მღელვარება ქვეყანაში არ შეინიშნება.

**მზია გელენავა**

◉ ინფორმაცია

## დაჭრილთა სია

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილეში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაჭრილი პატიმრების სიასა და მათ ადგილსამყოფელს:**

მსჯავრდადებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანილი არიან:

**სოსო ჩარგაზია**
**თამაზ საანაშვილი**
**რეზო ცხადაშვილი**
**გოჩა ტატანაშვილი**
**ბაჩო ძირია**
**ედემ წოწორია**

რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანილი არიან:

**ანზორ ამბარდანაშვილი**
**ჯამბულ ხუფენია**
**ვახტანგ ქავთარაძე**
**გიორგი წიკლაური**
**ემზარ მზექალიშვილი**
**ვატო თორთლაძე**
**რობერტ გოგავა**
**მიხეილ შენგელია**
**რეზო მეზურნიშვილი**
**გაგო იანშინი**

№1 კლინიკურ საავადმყოფოში გადაყვანილია:

**ალექსანდრე მაისურაძე.**

**ХО-ЭОВ-ЭВО**

**ბრიფინგი**

# „ბუნტის ვერსია ხელისუფლებამ შეთითხნა“

## დავით გამყრელიძე „სიკვდილის ბრიგადების“ წინააღმდეგ

**„მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ პარლამენტში გუშინ, საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე, ხელისუფლების ვერსიას ციხეში დაგეგმილი ბუნტისა და გაქცევის მცდელობის შესახებ, საკმაოდ „უსუსური“ უწოდა. „კიდევაც რომ ვირწმუნოთ, ეს ვერსია კიდევ უფრო ამძიმებს ხელისუფლებისა და სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბაჩო ახალაიას პირად პასუხისმგებლობას. იმის მაგივრად, რომ მათ ბუნტის პრევენცია მოეხდინათ, პირიქით — საკუთარი ქმედებით ბუნტი გამოიწვიეს და შემდეგ პატიმრები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით ჩახოცეს“, — თქვა დავით გამყრელიძემ.**

მისი აზრით, თუკი არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია ბუნტის თაობაზე, ძლიერი ხელმძღვანელობა უზრუნველყოფდა მის პრევენციას, აღკვეთას და არა აბსოლუტურად წარუმატებელი ოპერაციის ჩატარებას.

დავით გამყრელიძე ბუნტის ვერსიას ხელისუფლების მიერ შემდგომ შეთითხნილს უწოდებს, რადგან ტელევიზიით ნანახ ოპერატიულ მასალაში პატიმრები არსად არ ლაპარაკობენ გაქცევაზე, მხოლოდ გარკვეულ უკმაყოფილებას გამოხატავენ, რასაც უნდა მოჰყვეს ხელმძღვანელობის მოხსნა, ალბათ, გულისხმობენ ახალაიასო. **„ოპერატიულ ჩანაწერში ერთ-ერთი პატიმარი ინვალიდია: ბუნებრივია იგი ინვალიდის ეტლით ნამდვილად ვერ გაიქცეოდა“**, — დაასკვნა გამყრელიძემ.

„მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერი სპეცოპერაციის უმძიმესი შედეგებიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ მოითხოვს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბაჩო ახალაიას გადაყენებას და მის მიმართ სისხლის სამართლებრივ დევნის დაწყებას. ასევე, მას საჭიროდ მიაჩნია ბაჩო ახალაიას ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას სიმთვრალეზე: **„არსებობს უტყუარი ინფორმაცია, რომ იგი ნასვამი ატარებდა და ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციას“.**

დავით გამყრელიძე სასწრაფოდ მოითხოვს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ამ ტრაგიკული მოვლენის შემსწავლელი სპეციალური საპარლამენტო ჯგუფის შექმნას, რომელშიც შევლენ ოპოზიციისა და უმრავლესობის წარმომადგენლები. ეს ჯგუფი დაუყოვნებლივ უნდა შეხვდეს ინციდენტის უშუალო მონაწილეებსა და მოწმეებს, პატიმრებს, ციხის ადმინისტრაციას, დაჭრილებს. ამ ჯგუფმა პარლამენტის პლენარულ სხდომას უნდა მიაწოდოს წინასწარი ინფორმაცია მომხდარზე.

**„ეს არ არის ბაჩო ახალაიას მხრიდან პატიმრებზე ძალადობის პირველი ფაქტი... ჩვენ მოვიპოვეთ ერთ-ერთი პატიმრის იაგო წიქვაძის ჩვენების ასლი, რომელიც მან ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ მისცა. იგი პირადად სცემდა და აწამებდა ამ პატიმარს.**

**აქედან გამომდინარე, მინდა კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ ბაჩო ახალაია და მისი მსგავსი ადამიანები იმ სიკვდილის ბრიგადების სწორედ რომ ხელმძღვანელები და სულისჩამდგმელები არიან, რომლებიც ქვეყანაში ხელისუფლების სახელით მოქმედებენ. ამის შედეგად, ვღებულობთ დაღუპულებს და დასახიჩრებულებს.**

დავით გამყრელიძის თქმით, პატიმრების ცემისა და შეურაცხყოფის ფაქტები არახალია, ძველია. ბაჩო ახალაიას და მე-7 საპყრობილის ხელმძღვანელს ქარდავას, ნასვამ მდგომარეობაში არაერთხელ უცემიათ პატიმრები. ბოლო შეურაცხყოფას კი მოჰყვა პროტესტი, რომელიც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით ჩაახშეს.

„მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერი 30 მარტს დაგეგმილ აქციაზე ილაპარაკებს სწორედ ვანო მერაბიშვილზე, ხელისუფლებაში მყოფ მკვლელებზე და მათ მფარველებზე.

ხოლო თუ ხელისუფლება ოპოზიციას კრიმინალების მფარველობაში დაადანაშაულებს, დავით გამყრელიძის პასუხი ამ ბრალდებაზე ასეთია: **„ნამდვილად სჯობს პატიმრების უფლებებს იცავდე, ვიდრე ხელისუფლების მსგავსად — მკვლელების უფლებებს. საპარლამენტო უმრავლესობაში მყოფი ყველა ის ადამიანი, ვინც გაამართლებს ამ ოპერაციას, თავად იქნება მკვლელობის თანამონაწილე.“**

დაბოლოს, დავით გამყრელიძემ იუსტიციის მინისტრ გია ქავთარაძეზე ლაპარაკი არასერიოზულად მიიჩნია, რადგან მას თურმე მხოლოდ დილით გაუგია, რომ პენიტენციური სისტემა მის სამინისტროს ეკუთვნის.

**თამარ შაიშმელაშვილი**

**ასეთია მათი აზრი**

# პატიმარს თავისი დანაშაულიც ეყოფა...

**პატიმრები დახოცეს! — ეს ინფორმაცია ელვის სისწრაფით გავრცელდა საქართველოში. ემოციის გარეშე მომხდარ ფაქტს არავინ შეხვედრია!**

**ჩვენ ყველანი ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ვიცით, როგორ უჭირს მატერიალურად ჩვენი ახალგაზრდობის უმეტეს ნაწილს, ისიც ვიცით, რომ ჩვენს საპატიმროებში ბლომად არიან ახალგაზრდები, რომლებიც სწორედ გაჭირვებამ მიიყვანა დანაშაულამდე, ისინი — ვინც ვერ გაუძლო ცხოვრების მკაცრ კანონებს.**

**ამ შემაშფოთებელი ფაქტის შესახებ გვესაუბრებიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები — ბატონები — გურამ თევზაძე და ვახტანგ ხარატიშვილი.**

**აკადემიკოსი ვახტანგ ხარატიშვილი** — ვუსმენდი საინფორმაციო საშუალებებს. მომხდარს ყველა არხი თავისებურად აფასებს. ფაქტია, რომ ძალზე ცუდი რამ მოხდა, მაგრამ არაფრის თქმა არ შეიძლება მანამ, სანამ არ დამტკიცდება, რა მოხდა სინამდვილეში და როგორ.

გამორჩეული ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლო სისტემას, იმიტომ, რომ ამ სისტემაში მომხდარი ყველა შეცდომას ტრაგიკული შედეგი მოსდევს ჩვენი სახელმწიფოსთვის, ერისთვისაც.

**აკადემიკოსი გურამ თევზაძე:** ის, რაც მოხდა, სახელმწიფოს სამართლებრივი და ზნეობრივი მხარისთვის კატასტროფული ფაქტია. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურიდან არ მომდინარეობს. ეს არის ზოგიერთი გათავხედებული ჩინოვნიკის მიერ ძალაუფლების გამოყენება იმ ავადმყოფური მიზნების დასაკმაყოფილებლად, რასაც იგი ღირსებას უწოდებს. თანამდებობის ამგვარად გამოყენება კი სამარცხვინოა!




პატიმარი სასჯელს იხდის იმის გამო, რაც დააშავა, მას ეყოფა თავისი დანაშაული და ზედმეტად არ უნდა ისჯებოდეს.

დასჯით და შებრძოლებით არაფერი გამოვა. პირველ რიგში უნდა ამაღლდეს სახელმწიფოში ადმინისტრაციული და ძალოვანი სტრუქტურების კულტურა. ყურადღება უნდა მიექცეს, ვინ ინიშნება თანამდებობაზე. კარგი იქნება, თუ იარსებებს რაღაც საზოგადოება, ინსტიტუტი, რომელიც განსაზღვრავს, რამდენად შესაფერისი კანდიდატია ეს პიროვნება ამ პოსტისთვის. ამ დროს საჭიროა მაქსიმალური გამჭვირვალობა.

**— ბატონო გურამ, ხომ ვიცით, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი ადამიანი მატერიალურმა სიდუხჭირემ გახადა დამნაშავე ისიც ხომ ვიცით, ქურდს ცემით ვერ ათქმევინებ, ქურდი არა ვარო. ეს მათთვის ერთგვარი ღირსების საკითხია.**

— იცით, ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული. ზოგს მართლაც გაჭირვება აიძულებს, ზოგს კი რაც უნდა უჭირდეს, მაინც არ მოიპარავს. ეს ურთულესი საკითხია. ყველა ადამიანი არის ინდივიდი და ყველასთან თავისებური მიდგომაა საჭირო. ეს ყველაფერი ფაქიზად არის ასაწონი.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

**პრესკონფერენცია**

# თეა და თავისუფლებადაკარგული ინსტიტუტი

**არ ვიცი, ხელისუფლების ადვოკატობა თეა თუთბერიძეს ზემდგომი უწყებებიდან დაავალეს, თუ ეს ფუნქცია საკუთარი ნებით იკისრა, მაგრამ ფაქტია, რომ მის გუშინდელ პრესკონფერენციას სხვას ნამდვილად ვერაფერს დავარქმევთ. ციხეებთან ღამენათევს საკმარისი ენერგია ჰქონდა, რათა ჟურნალისტები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოქმედების სისწორეში დაერწმუნებინა, მაგრამ ამისათვის უბრალოდ ფაქტები არ ჰყოფნიდა.**

ალბათ ყველას ახსოვს ახლო წარსული, როცა შოთა კოპაძის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეობისას ციხე-კოლონიებში ძალოვანთა 10-20-კაციანი ჯგუფი ჩხრეკის ჩასატარებლად შედიოდა, თავისუფლების ინსტიტუტი კი პატიმრების დასაცავად პრესკონფერენციას პრესკონფერენციაზე მართავდა. დღეს კი იგივე პატიმრები, თურმე, მათ ურეკავენ და ეუბნებიან, ჩქარა სპეცრაზმი შემოუშვით, გვეშინია, ბუნტი არ მოხდესო. ახალაიას უწყების მიერ პატიმართა ხოცვა-ჟლეტის ფაქტს კი თუთბერიძე ასე აფასებს: — **სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ნებისმიერი ბუნტი, ბუნტის მცდელობაც კი, საწყის ეტაპზევე აღკვეთოს. ჩემი საკუთარი მამა, ძმა რომ იყვნენ ციხეში, მაინც ასეთ განცხადებას გავაკეთებდი**, — ამბობს ის.

**— საბედნიეროდ იყო ოპერატიული ინფორმაცია, რომ ბუნტი იგეგმებოდა, თორემ სხვა შემთხვევაში რა შედეგებით დამთავრდებოდა ყოველივე, არავინ იცის**, — განაცხადა თუთბერიძემ.

ლაპარაკია, ჩანაწერზე, რომელიც ტელეარხებით გვიჩვენეს, სადაც სამი პიროვნება ვითომც ბუნტის სტრატეგიულ გეგმაზე საუბრობდა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჩანაწერი 25 მარტით თარიღდება, ბუნტი კი 27 მარტს ღამით დაიწყეს. ცხადია, ჩნდება კითხვა, ნუთუ არ შეიძლებოდა რაიმე სხვა ღონისძიების განხორციელება და ასეთი ფართომასშტაბიანი არეულობის, მსხვერპლის თავიდან აცილება?..

თუთბერიძეს ამ კითხვაზე ასეთი პასუხი აქვს: — **ასეთ შემთხვევაში ბუნტი არ დაიწყებოდა და ბაჩო ახალაია მცირე სპეცრაზმთან ერთად საპატიმრო დაწესებულებაში რომ შესულიყო, იტყოდნენ მთვრალია და პატიმრების საცემად შევიდაო.**

ასეთი „არგუმენტი“ მომხდარი უბედურებისა და გარდაცვლილი პატიმრების ოჯახებისთვის დიდი ვერაფერი ახსნაა, მით უფრო, რომ ქართული ანდაზისა არ იყოს, „სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო“. ახალაიას სახელი უკვე გატეხილი აქვს, მის სიმთვრალესა და ასეთ დროს პათოლოგიურ ხასიათზე გუშინაც უმალ ალაპარაკდნენ.



არ ვიცით, რა დამსახურებისთვის, მაგრამ ფაქტია, რომ სხვებისგან განსხვავებით, თუთბერიძეს საპატიმრო დაწესებულებაში შესვლა არ გაჭირვებია. მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს ანა დოლიძეს საპატიმროში შესვლის სრული უფლება აქვს, მაგრამ ციხეში არავინ შეუშვა და არც არავინ არ განუმარტა არშეშვების მიზეზი. თუთბერიძე კი ამაყად ამბობს, **ეს მისი პრობლემაა, თვითონ გაარკვიოს რატომ არ შეუშვესო.**

პრესკონფერენციაზე თეა თუთბერიძეს გვერდს უმშვენებდა ფონდ ინტერნიუსის წარმომადგენელი ირინა ცინცაძე. როდესაც თეამ გამოსვლა დაასრულა, სიტყვა ცინცაძეს გადასცა, რომლისგანაც ასეთი „ლოზუნგი“ მოვისმინეთ: — **არაფრის თქმას არ ვაპირებ, მე დედის გინებას ვაპირებდი და ახლა აქ ხომ არ დავიწყებ. შემდეგ კი მოაყოლა, სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა აღიკვეთოს კრიმინალების, ქურდების ბოგინიო.**

თუთბერიძის კოლეგის გამოსვლის კორექტულობის განსჯა თქვენთვის მომინდია, ისე კი, გასაკვირია ასობით არასამთავრობო ორგანიზაციიდან თუთბერიძემ სხვა კომპანიონი ვერ მოძებნა?.. როგორც წესი, მასთან ერთად პრესკონფერენციას 5-7 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი მაინც მართავს ხოლმე...

**მოკლედ, თავისუფლებადაკარგული ინსტიტუტის წარმომადგენელს ხელისუფლების ვექილობაში, ცხადია, ვერ დავადანაშაულებთ, მით უფრო ამის საფუძველი მას აქვს, არაერთი მაღალჩინოსანი ხომ სწორედ თავისუფლების ინსტიტუტიდან დაფრთიანდა. ვინ იცის, იქნებ თავად თუთბერიძეც დაწინაურების მოლოდინშია? ყოველ შემთხვევაში, დღევანდელმა ხელისუფლებამ ხალხს რევოლუციის პერიოდში დროშების ფრიალი დაუფასა და ნუთუ თეას ვექილობას არ დაუფასებს?..**

**ლელა ცქიტიშვილი**

**ხელისუფლება**

# ციხეში მომხდარი ინციდენტი კარგად ორგანიზებული პროვოკაცია იყო

**იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №5 საპყრობილეში გუშინ გამთენიისას განვითარებულ მოვლენებზე იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ სპეციალური განცხადება გააკეთა:**

„დღეს გამთენიისას, დაახლოებით 02.30 საათზე, სასჯელაღსრულების დაწესებულების №5 საპყრობილეში ადგილი ჰქონდა ბუნტს და გაქცევის მცდელობას. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დღეს დილით ჩვენი დედაქალაქი რეალური საფრთხის წინაშე იდგა, რომ უმძიმეს დანაშაულში ბრალდებული ადამიანები გაქცეულიყვნენ ციხიდან. ჩვენ გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია, რომ გაქცევის მცდელობა, რასაც წინ უძღოდა ბუნტი, იყო კარგად დაგეგმილი და კარგად მომზადებული ოპერაცია და ამის დამადასტურებელი ვიდეოჩანაწერი თქვენ გადმოგეცემათ. ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, თუკი მასობრივი გაქცევა მოხერხდებოდა №5 საპყრობილიდან, ანალოგიური მოვლენები განვითარდებოდა ყველა სხვა დაწესებულებაში. დროულად იქნა მობილიზებული სპეციალური დანიშნულების ნაწილები, ადგილი ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოების კოორდინირებულ მუშაობას. ერთი საათის განმავლობაში ჩვენი სამართალდამცველები აფრთხილებდნენ ბუნტის მონაწილეებს, რომ თუკი არ დაწყნარდებოდნენ და არ დაუბრუნდებოდნენ თავიანთ საკნებს, აუცილებლად დაიწყებოდა ოპერაცია. სამწუხაროდ, ამ გაფრთხილებამ შედეგი ვერ გამოიღო. დაიწყო ოპერაცია, რომელმაც დაახლოებით 2 საათს გასტანა. გულისწუხილით და შეშფოთებით მინდა ვთქვა, რომ ოპერაციის შედეგად არიან გარდაცვლილები. ასევე, დაჭრილია ჩვენი სპეცდანიშნულების რაზმის ორი თანამშრომელი, ხოლო 10 თანამშრომელს მიყენებული აქვს სხვადასხვა დაზიანება“, — განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, ოპერაციის დროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ნაპოვნია ორი ცალი ცეცხლსასროლი იარაღი და სამი ცალი საფანტის ტიპის იარაღი, რაც ცალკე განსჯის საგანია და გამოძიება დაადგენს, როგორ მოხვდა იარაღი ამ დაწესებულებაში.

ქართველმა სამართალდამცველებმა იმოქმედეს კანონების სრული შესაბამისობის ფარგლებში. ისინი მოიქცნენ ისე, როგორ მოიქცეოდნენ ანალოგიურ უმძიმეს შემთხვევაში ნებისმიერი ქვეყნის სამართალდამცავი უწყებები.

იუსტიციის მინისტრის ინფორმაციით, №5 საპყრობილე თავიდან ბოლომდე დანგრეულია, ამოღებულია ყველა კარი და გისოსები. ამდენად, იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო იქ მოთავსებული კონტინგენტის გადანაწილება სხვა დაწესებულებებში, ვიდრე არ აღდგება ეს დაწესებულება.

„ის, რაც დღეს გამთენიისას მოხდა, კარგად ორგანიზებული პროვოკაცია იყო, თუმცა ეს ჩვენ ვერ შეგვაფერხებს. რეფორმები პენიტენციურ სისტემაში დაიწყო და გრძელდება და მას ჩვენ აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე — სასჯელაღსრულების სისტემაში სახელმწიფო სრულ კონტროლს და წესრიგს დაამყარებს“, — აღნიშნა მინისტრმა.

მანვე მედიის წარმომადგენლებს წარუდგინა ვიდეოფირი, სადაც აღწერილია, თუ როგორ მზადდებოდა ციხეში ბუნტი. მინისტრის თქმით, 2006 წლის 25 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. საქმეს საფუძვლად დაედო შემოსული ოპერატიული ინფორმაცია, რომ იგეგმებოდა ბუნტი და გაქცევა. მოხდა ოპერატიული, ფარული ჩაწერა, რომელიც სასამართლოს ნებართვით განხორციელდა. ვიდეოფირზე ნათლად ჩანს, რომ საპყრობილე დაწესებულებაში მოთავსებული ე.წ. „კანონიერი ქურდები“ მალხაზ ზედელაშვილი და პაატა მამარდაშვილი ხვდებიან „ავტორიტეტ“ ზურაბ ვიბლიანს და მოუწოდებენ ბუნტის ორგანიზებისა და უწესრიგობისკენ. „პირდაპირი დავალება იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ პირებზე, რომ ვინც არ მიიღებდა მონაწილეობას არეულობაში, მათ წინააღმდეგ გატარდებოდა უმკაცრესი ზომები. თქვენ, ასევე, ნახავთ კადრებს, თუ როგორ ხდებოდა კონტიგენტის გაფრთხილება, რომ დაბრუნებოდნენ საკნებს და დაეცვათ სიმშვიდე. ნახავთ რამდენიმე კადრს, როგორ მოხდა ჩვენი თანამშრომლების დაჭრა“, — აღნიშნა მინისტრმა.

**მედიანიუსი**

**განცხადება**

***ცეკავშირის თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მეპაიეებისა და მათი წარმომადგენლების საყურადღებოდ***

გაზეთ „24 საათის“ 2006 წლის 25 მარტის №64 (1216)-ის მე-8 ა გვერდზე გამოქვეყნებული თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის დადგენილება არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან 2006 წლის 22 მარტს 16 საათზე უკვე ჩატარდა თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება, რომელზეც ერთხმად იქნა მიღებული დადგენილება.

**თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობა**

◉ ვითხოვ სიტყვას

# უილაჯოთა უჯიათობა

**ქართული წერა-კითხვის მცოდნე საზოგადოება ძალიან გაამხიარულა ხელისუფლების მიერ ოფიციალურად გავრცელებულმა ცნობამ დეპუტატ გელაშვილის პიროմანიით დაავადების შესახებ.**

**აშენდა ხათუნა გოგორიშვილის, მინისტრ ლომაიას, მერი უგულავას და „გელაშვილის ვერსიის" სხვა შემთხზველების ოჯახები — ამ არეულ და მშიერ ქვეყანაში ასე გულიანად რამე თუ გამახალისებდა, აღარ მეგონა.**

ისე, ღმერთო შეგცოდე და, დიდ საპარლამენტო უმრავლესობას ერთი პატარა იალლიში აქაც მოუვიდა — სკოლის გადაწვა დეპუტატისგან ცუდი ტონია, მაგრამ საზოგადოებაზე შთაბეჭდილების მოსახდენად მაინც არ გამოდგება. მასშტაბებია მცირე და იმიტომ. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მაგალითად, სახელმწიფო კანცელარიის შენობა თუ დაიწვებოდა — ნაგებობაც შთამბეჭდავია, იქიდან ავარდნილი ალიც ქალაქის თითქმის ყველა წერტილიდან გამოჩნდებოდა და, რაც მთავარია, ნერონს და ჰეროსტრატეს თავი რომ დავანებოთ, აგერ გვაქვს, ბატონო, ადოლფ ჰიტლერის და მისი ნაციონალური მოძრაობის, მაპატიეთ, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მაგალითი — კომუნისტებზე შურის საძიებლად რაიხსტაგი დაწვეს!

სავსებით გასაგებია, რომ ხელისუფლება დეპუტატ გელაშვილზე ბარბაროსული თავდასხმის პრინციპულად გამოუძიებლობას დეპუტატ გელაშვილის ციხეში გასტუმრებით ამართლებს. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ცდილობს. სავსებით გაუგებარი ის გახლავთ, ხელისუფლებას საკუთარი მოქალაქეები დეგენერატები რატომ ჰგონია. იმიტომ ხომ არა, რომ ძალაუფლება ძალიან იოლად უზოძეს?!

ახია ჩვენზე!

ხუმრობა იქით იყოს და, „გელაშვილის საქმემდე" განათლების და მეცნიერების მინისტრ ლომაიას, მერ უგულავასთან, დეპუტატებთან ხათუნა გოგორიშვილსა და ბიძინა ბრეგაძესთან ერთად, რეფორმატორული მოღვაწეობით შთამომავლობის წინაშე თავმოწონების წულოვანი (პრეზიდენტ სააკაშვილის განსაზღვრებას ვსესხულობძ შანსი ჰქონდათ. ახლა ეს შანსი გაჩნდა — ყველა დასახელებული და კიდევ ბევრი დღევანდელი ქართველი „პოლიტიკური მოღვაწე", ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრების ჩათვლით, უთუოდ შევლენ მშობლიურ ისტორიაში, როგორც რეპერ ლექსენის ეპოქის, ხელისუფლებაში შემთხვევით მოხვედრილი უხიაკი და უჯიათი ბიჭების გუნდი. ძალიან მარტივად და პირდაპირ რომ ვთქვა, როგორც ყოვლად სამარცხვინო ავანტიურის ორგანიზატორები.

სამწუხაროდ, ეს სამარცხვინოობა არ ეხება მხოლოდ ამ კერძო შემთხვევას, ანუ დეპუტატ გელაშვილის „ჩაძირვის" მცდელობას. ეს ეხება ე. წ. საზოგადოებრივი ტელევიზიის პირველ არხთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს, საბაჟო კანონმდებლობაში შესატან აშკარად ანტისახელმწიფოებრივ ცვლილებებს, კიდევ ბევრ რამეს და, რა თქმა უნდა, გახმაურებულ „გირგვლიანის საქმესაც".

იმედია, ამ ცოდნით შეიარაღებული ჩვენი შთამომავლობა ჩვენზე მეტად კეთილგონიერი აღმოჩნდება და არჩევანის წინაშე მდგომი, გულის კი არა, გონების ხმას დაუჯერებს, — მორიგი ბელადის ნაცვლად თავის მსახურს, პრეზიდენტს აირჩევს.

ორიოდე სიტყვა ოპოზიციაზე, კერძოდ, დავითაშვილ-ძიძიგურის ბოლოდროინდელ პოლიტიკურ თამაშებზეც უნდა ითქვას.

როგორც ჩანს, ხელისუფლების მსგავსად, ხალხი, ამომრჩეველი მათაც უგონო და უპიროვნო მასა ჰგონიათ. ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ამ დღეებში მათი ინიციატივით ექსპრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. არ ვიცი, თვითონ რას ფიქრობენ, მაგრამ პატივცემულმა კონსერვატორებმა შევარდნაძის სახელის გამტეხი თითიდან გამოწოვილი და ყოვლად უაზრო ბრალდებებით ერთბაშად წყალში გადაყარეს ყველაფერი, რაც მთლიანად ოპოზიციურმა ძალებმა ერთობლივი მძიმე შრომით მოიპოვეს.

შევარდნაძეს სამშობლოს ღალატს დაუმტკიცებენ თუ არა, ეს სხვა საქმეა. თუმცა, იმ „მამხილებელი მასალებით", რაც მათ გამოაქვეყნეს, ამგვარი დასკვნის გაკეთება ყოვლად წარმოუდგენელია. დავითაშვილ-ძიძიგურის ტანდემმა, ნებსით თუ უნებლიეთ გაატრიზავეს, არარაობად აქციეს მთავარი ოპოზიციური კოზირი — ხელისუფლების უსამართლობა, საზოგადოებისადმი ცინიკური დამოკიდებულება და სოციალური კატასტროფა. თურმე, მთავარი, ყოფილი პრეზიდენტის მორალური სახე ყოფილა. სააკაშვილი და მისი გუნდი უკეთეს საჩუქარს ვერც ინატრებდა!

პოლიტიკურ ინტრიგებს აყოლილ ძვირფას ოპოზიციონერებს რატომღაც დაავიწყდათ, რომ ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა სააკაშვილის „ნაცებს" ხმა იმიტომ მისცა, რომ მათ შორის დღევანდელი ოპოზიციონერებიც იყვნენ. ანუ, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა დღევანდელი ოპოზიციონერების დიდი დამსახურებაცაა. შესაბამისად, ქვეყანაში შექმნილი ვითარებისთვის პასუხისმგებლობა მათაც არანაკლებ ეკისრება. ამიტომ, ელემენტალური სინდისიერება მოითხოვს, სანამ მაგარ-მაგარ განცხადებებს გააკეთებდნენ, ჯერ ბოლიში მოიხადონ მათ მიერ მოტყუებული საზოგადოების წინაშე.

ამის გარდა, ვის-ვის და, ზვიად ძიძიგურს ნამდვილად არაფერი ეთქმის შევარდნაძის ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზე. მესმის, რომ თექვსმეტი წლის წინათ, როცა საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრად ირჩევდნენ, იგი გულანთებული პატრიოტი, მაგრამ ყოვლად გამოუცდელი ბიჭი იყო. ამიტომ, შესაძლოა, თავის მოქმედებას ანგარიშს ვერ უწევდა. ახლა, საქართველოს პარლამენტის წევრი ზვიად ძიძიგური ჭკუადამჯდარი კაცია და თავისი წარსულის კრიტიკულად შეფასებაც უნდა შეძლოს. ბოლოს და ბოლოს, მე, საქართველოს მოქალაქეს, ვინც ამდენი უბედურება გამოვიარე, ხომ მაქვს უფლება ვიკითხო, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოში გაჩაღებული სამოქალაქო ომისთვის ზვიად გამსახურდიას ერთწლიანი მმართველობის ეპოქაში?

მოდი, ნუ დავსვამთ ამ შეკითხვებს. უფრო სწორად, თუ მე, საქართველოს მოქალაქე არ ვსვამ ამ შეკითხვას, ნუ იფიქრებთ, რომ ეს უვიცობის და მეხსიერების დაკარგვის გამო მომდის. არ ვკითხულობ იმიტომ, რომ ახალ დაპირისპირებას ვერიდები და... გაპატიეთ კიდეც, სერ ზვიად!

ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობისგან განსხვავებით, ოპოზიცია, დარწმუნებული ვარ, გაზეთებს კითხულობს და საკუთარი აზრის საჯაროდ გამოთქმას არ დაგვამადლის. ალბათ, არგუმენტებიც ექნება. თუ იტყვის, რომ უნებლიეთ რაღაც შეეშალა, — კიდევ უკეთესი!

ხელისუფლებამ დიდი ხანია და დაბეჯითებით დაამტკიცა, რომ ვერც რამეს ისწავლის (მათ შორის, ვერც კითხვას და ვერც ყურის დაგდებასძ და ვერც რამეს შეცვლის. მე, საქართველოს მოქალაქეს, ძალიან არ მინდა, ოპოზიციამ დაამტკიცოს, რომ ხელისუფლებაზე რიტუალური გამარჯვების მოსაპოვებლად, მზად არის ერი ქარის წისქვილების წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმოს.

**თეიმურაზ ქორიძე**

◉ ფრთხილად!




**გასაკვირი როდია, რომ ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციის საკითხი პარლამენტის დღის წესრიგში დააყენეს დეპუტატებმა. თუმცა, როგორც ამბობენ, მთავრობის წინააღმდეგობის გამო „იარაღის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანაზე მსჯელობა რამდენჯერმე გადაიდო. გადაიდო, რადგან ახალი კანონპროექტი ითვალისწინებს იარაღის რეგისტრაციის გამარტივებას. რაც, ეტყობა, მთავრობისთვის მიუღებელია! მიუღებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ეს გამოიწვევს მოსაკრებლის შემცირებას და ბიუჯეტის „გაღარიბებას"!**

პრესაში ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინათ გამოქვეყნდა ინფორმაცია ამის შესახებ.

მე, რა თქმა უნდა, ვეთანხმები მთავრობის ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ არა იმიტომ, რომ ბიუჯეტი „გაღარიბდება"! ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ განსაკუთრებით დამაინტერესა „იარაღმა" და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში მოვინახულე მაღაზიები, რომლებიც იარაღით ვაჭრობენ. აღმოჩნდა, რომ ასეთი ობიექტები ამ ბოლო წლებში მომრავლებულა და... მიდის გაქანებული ვაჭრობა! მიდის და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ ნავაჭრი, მით უფრო, რომ კანონი არ უკრძალავს მათ ამას, მაგრამ „ვაჭრობის" პარალელურად, არაოფიციალური მონაცემებით, აღმოჩნდა, რომ საკმაო რაოდენობით მატულობს იარაღის შეძენის მსურველთა რიცხვი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ყოველგვარი წესისა და კანონის დაცვით ხორციელდება (ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს!ძ, მაგრამ ჩვენ „ქართველები" ვართ და ხდება სხვა „გადახრებიც". ამ „გადახრებით" კი, როგორც ისევ არაოფიციალური მონაცემები ღაღადებენ, მინიმუმ ოთხჯერ მაინც იზრდება „მიმოქცევაში" მყოფი იარაღის რაოდენობა. ამას კი ის მოჰყვა, რომ (არ შეგეშინდეთ!ძ წელიწადში ცეცხლსასროლი თუ ცივი იარაღით 1500-დან 2000 ადამიანამდე კვდება, იჭრება, სახიჩრდება!

ასე რომ, თუ იარაღის რეგისტრაციას კიდევ უფრო გავამარტივებთ, ბიუჯეტის ზარალს თავი რომ დავანებოთ, მალე ბავშვები სკოლაში ავტომატებით შეიარაღებულები ივლიან. მით უფრო, რა სახის იარაღს არ იშოვით მაღაზიებში, — ავტომატები, პისტოლეტები... და თუ კარგად „მოიძიებთ", იქნებ ტყვიამფრქვევსა და ნაღმტყორცნსაც გამოკრათ ხელი!

ჩვენი ფიქრით, არა თუ გამარტივება, არამედ გამკაცრება უნდა იარაღის ტარების (თუ შენახვისძ ნებართვის გაცემას და კიდევ, — სიმკაცრე და კონტროლი!

ბევრი შეგვედავება, გამარტივება იმიტომ არის საჭირო, რომ ხალხს საშუალება ჰქონდეს, თავისუფლად შეიძინოს ცეცხლსასროლი იარაღი, რათა თავი დაიცვასო! შეიძლება ამაში იყოს სიმართლის ნატამალი, მაგრამ, ჯერ ერთი, ამ „გამარტივებას" „შავები" უფრო გამოიყენებენ, მეორეც, — ვისგან ვიცავთ თავს? რად გვინდა იარაღი? აკი, პოლიცია გვიცავსო? ეტყობა, ნაკლებად აქვს ხალხს პოლიციისა და კანონის იმედი!

ეს, რაც შეეხება ცეცხლსასროლი იარაღის საკითხს, მაგრამ... ჩემდა გასამტყუნრად დაიარეთ თბილისის სხვადასხვა მაღაზიები და მეტროს სადგურები და ნახავთ, იქ ყოველგვარი ნებართვის გარეშე იყიდება ხანჯლები, „ბებუთები", „შტიკები", დასაკეცი და დასაშლელი „მაჩეტეები," „კნოპკიანი" და „უკნოპკო" დანები... ეტყობა, ეს ბიზნესი დუღს და გადმოდუღს საქართველოში... ყიდულობენ მას დიდები და პატარები, სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები, ყველა, ვისაც სჭირდება და არ სჭირდება, და ეს მთვლემარე სიკვდილი უცაბედად იფეთქებს ხოლმე!

იარაღს სიფრთხილე უნდა! როცა სიკვდილის აჩრდილთან გვაქვს საქმე, მარტო ბიუჯეტზე როდი უნდა ვფიქრობდეთ!

**ზაურ ფიფია**

◉ ინფორმაცია

## მიხეილ სააკაშვილი ხორვატიას ეწვევა

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხვალ ხორვატიას ეწვევა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს" პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განუცხადეს, ხორვატიაში პრეზიდენტის პირველი სამუშაო ვიზიტი ხორციელდება.**

**ხორვატიიდან მიხეილ სააკაშვილი იტალიაში 29 მარტს გაემგზავრება, სადაც ევროპის სახალხო პარტიის ყრილობაში მიიღებს მონაწილეობას. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები იტალიის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან.**

**3 აპრილს კი საქართველოს პრეზიდენტი უკრაინას ეწვევა.**

## იულია ტიმოშენკოს გამარჯვება მიულოცეს

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და უკრაინის პირველმა პირმა ვიქტორ იუშენკომ უილია ტიმოშენკოს უკრაინის უმაღლესი რადას არჩევნებში გამარჯვება უკვე მიულოცეს.**

**ტიმოშენკოს განცხადებით, პრეზიდენტებმა სატელეფონო მილოცვის შემდეგ მასთან საუბრისას იმედი გამოთქვეს, რომ „ნარინჯისფერ რევოლუციაში" გამარჯვებული ეფექტური კოალიციური ძალები კვლავ გაერთიანდებიან.**

**— „მიხეილ სააკაშვილს ჩვენი პარტული ბლოკის გამარჯვებაში ეჭვიც არ ეპარებოდა. მან მითხრა, რომ კვლავ შევქმნით ძლიერ კოალიციას და მსოფლიოს უმაღლეს კლასს ვუჩვენებთ", — განაცხადა იულია ტიმოშენკომ.**

## ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს

**ლატვიის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა მარტინს ბიჩევსკისმა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ კონსტანტინე კორკელიამ დღეს, სასტუმრო „თბილისი - მარიოტში" ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლითაც განისაზღვრა ორ ქვეყანას შორის იუსტიციის სფეროში თანამშრომლობის ფარგლები.**

**მემორანდუმით გათვალისწინებულია მხარეთა თანამშრომლობა მოქალაქეობის, პირადი მონაცემების დაცვის, ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ელექტრონული დოკუმენტების კონტროლის, სახელმწიფო რეესტრის, საკადასტრო საკითხების, სასამართლო ექსპერტიზის, ეროვნული კანონმდებლობის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის დარგში გამოცდილების გაზიარების კუთხით. თანამშრომლობის ფარგლებში მოხდება იუსტიციის სისტემების ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციების გაცნობა, ასევე, ექსპერტების, სამართლებრივი ლიტერატურისა და პუბლიკაციების გაცვლა, სემინარების, ლექციებისა და ტრენინგების ორგანიზება.**

**ლატვიის იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია თბილისს დღეს გამთენიისას ეწვია.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ პროტესტი

# პერსონალურ პასუხისმგებლობას უშუალოდ პრეზიდენტს ვაკისრებთ

## საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველოში მეცნიერებისა და განათლების გადარჩენისათვის“ განცხადება

**ჩვენ არაერთხელ მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს, დროზე აღეკვეთა არაკომპეტენტურ ცრურეფორმატორთა თარეში საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში, მაგრამ ყველა ამ მიმართვას პრეზიდენტმა დუმილით უპასუხა. ჩვენს დაბეჯითებულ მოთხოვნებს ადრე თუ გვიან პასუხი მაინც უნდა გასცემოდა და გაეცა კიდევაც.**

კერძოდ, მხედველობაში გვაქვს საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 თებერვლის წლიური საანგარიშო გამოსვლა საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელშიც პრეზიდენტმა ქება-დიდებით მოიხსენია მეცნიერებისა და განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმა? და ამით, ფაქტობრივად, პასუხი გასცა არა მარტო ჩვენს მიმართვებს, არამედ მთელი ქართველი საზოგადოების მოლოდინსაც — საზოგადოებისა, რომელსაც ესმის, რა საბედისწერო საფრთხეს უქმნის მის ეროვნულ ღირსებასა და იდენტურობას, განათლებასა და მეცნიერებას ეს ე.წ. რეფორმა.

შემდგომ ამისა, საზოგადოებასთან დიალოგის ნაცვლად, პრეზიდენტი შეხვდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს და საჯაროდ „დამოძღვრა“. შედეგმაც არ დააყოვნა: მინისტრმა შეუვალი სახით ამცნო საზოგადოებას მთავრობის ვერდიქტი სამეცნიერო ინსტიტუტებისაგან აკადემქალაქის დაცლის თაობაზე. ანუ — გადამწყვეტი მოქმედება დაიწყო მეცნიერების მკვლელობის სახელმწიფო მანქანამ.

ეს ის „რეფორმატორული“ მანქანაა, რომელმაც უკვე „იზრუნა“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნათელ მომავალზე“ და, ნაცვლად იმისა, რომ ამ დამანგრეველი ქმედებებისთვის პასუხი ეგო ქვეყნისა და, მათ შორის, ქვეყნის პრეზიდენტის წინაშე, ჩვეულად — განუკითხავად, აგრესიულად და გაუაზრებლად, მაგრამ „ამბიციური პრეტენზიებით“ — მიადგა ახალ მსხვერპლს — ორ „გაერთიანებულ“ უნივერსიტეტს. სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებით ამცირებს საშუალო სკოლებისა და მასწავლებელთა რიცხოვნობას.

ჩვენ აქამდე გვქონდა ილუზია, რომ საქართველოს პრეზიდენტი გარკვეულ ძალებს იზოლირებული ჰყავდათ მიმდინარე პროცესებისგან და ვთავაზობდით, ერთობლივად აღვდგომოდით წინ ამ ძალებს. მაგრამ პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლამ და მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ გააქარწყლა ეს ილუზია და დაგვარწმუნა, რომ პრეზიდენტი ჩართულია ამ დამანგრეველი რეფორმის რეალიზაციაში და, შესაბამისად, მის საბედისწერო შედეგებზეც ისტორიული პასუხისმგებლობა მას ეკისრება. საქართველოს პრეზიდენტი უნდა ითვალისწინებდეს, რომ განათლება და მეცნიერება ნაციონალური კულტურის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) საძირკველი, ერის შემოქმედებითი ბუნებისა და ნების გამომხატველი, მისი სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელია. ამიტომაც არავის აქვს უფლება, მოშალოს ეს საძირკველი და ქართველობა კულტუროსანი ერიდან განვითარებული ტურიზმის მომსახურე მასად ჩამოაქვეითოს.

ჩვენ წინ აღვუდგებით ეროვნულსახელმწიფოებრივი თვითარსებობის მოშლასა და განადგურებას, ყოველგვარ მცდელობას, რომ ჩვენს ახალგაზრდობას, ერის მომავალს, მოესპოს ცოდნაზე დაფუძნებული განათლების მიღების შესაძლებლობა. ამასთანავე, ვერც იმას დავუშვებთ, რომ ხელიდან იქნეს გაშვებული ისტორიული შანსი — ქართულ მეცნიერებასა და განათლებაში ჩატარდეს ჭეშმარიტი, მეცნიერებისა და განათლების ორგანიზაციის საერთაშორისო სტანდარტებზე, შემოქმედებით პროცესში ჩაურევლობაზე და ცენზურის დაუშვებლობაზე ორიენტირებული რეფორმები, უზრუნველყოფილი იქნეს ქართული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სკოლების მონაპოვრების შენარჩუნება, განვითარება და გავრცელება.

პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს აღვიქვამთ როგორც საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოების აზრის უგულებელყოფის დეკლარაციას. დღევანდელი ხელისუფლება, ფაქტობრივად, გაემიჯნა საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიურ საზოგადოებას. დაუშვებელია, ხელისუფლებამ მოქმედება ძალმომრეობაზე ააგოს. მან უნდა შეძლოს საზოგადოებასთან, მით უფრო, სამეცნიერო-პედაგოგიურ საზოგადოებასთან დიალოგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უპირატესად საკუთარ თავს გამოუტანს განაჩენს!

ვითვალისწინებთ რა არსებულ ვითარებას, თავს მოვალედ ვთვლით, გადავდგათ ადეკვატური ნაბიჯები კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების გამოყენებით. ჩვენდა სავალალოდ, არსებულ რეალობაში უკვე შეუძლებელი გახდა შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვა ჩვენთვის ბუნებრივ გარემოში - საკლასო ოთახებში, აუდიტორიებში, სამეცნიერო კაბინეტებსა და ლაბორატორიებში, რაც გვაიძულებს ჩავებათ ბრძოლაში, რომელსაც ჰქვია ბრძოლა საქართველოს მომავლის გადარჩენისათვის.

ამ ბრძოლაში უკან არ დავიხევთ და მავანთა მოსალოდნელი, უკვე წესად ქცეული დემაგოგიის, მორალური ტერორისა და რეპრესიების შედეგებზეც არა მარადიულ მედროვეთა უპიროვნებო ჯგუფს, არამედ უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტს ვაკისრებთ პერსონალურ პასუხისმგებლობას.

◉ მოწოდება თემაში

**საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოება უკიდურესი შეშფოთებით ადევნებს თვალყურს საქართველოს ხელისუფლების კურსს, რომელიც ქართველ ერს, მის აწყმოსა და მომავალს უთუოდ მიიყვანს ეროვნულ სახელმწიფოებრივ კატასტროფამდე. შექმნილ ვითარებაში საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს სათანადო ნება და წინ აღუდგეს ამ პროცესებს. მეცნიერებს, პედაგოგებს, შემოქმედებით ინტელიგენციას, საზოგადოების უკლებლივ ყველა ფენას, ვისაც აწუხებს საქართველოს მომავალი, მოვუწოდებთ, მონაწილეობა მიიღოს 30 მარტის საერთო-სახალხო აქციაში და ამით აჩვენოს ხელისუფლებას, რომ ქართველი ერი ცოცხალია, მოქმედებისუნარიანია და შეუძლია მტკიცედ დაიცვას თავისი სასიცოცხლო ინტერესები.**

**საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველოში მეცნიერებისა და განათლების გადარჩენისათვის“ საკოორდინაციო საბჭო**

**საკოორდინაციო საბჭოს წევრები:**
**გიორგი ანთელავა; ავთანდილ არაბული; გიორგი გოგოლაშვილი; აველინა დავითულიანი; გელა დოლიძე; შოთა ვაშაკიძე; ვახტანგ კვარაცხელია; ივანე კიღურაძე; მარიამ ლორთქიფანიძე; თამაზ მარსაგიშვილი; ჯემალ მებონია; ნოდარ მითაგვარია; შოთა ნადირაშვილი; მაია ნათაძე; თემურ ნანეიშვილი; გიორგი ნიკოლაიშვილი; მანანა ნიკოლაიშვილი; გიორგი ოთხმეზური; თენგიზ სანაძე; რეზო სირაძე; გრივერ ფარულავა; თორნიკე ქადეიშვილი; დავით ქარქაშაძე; გიორგი ჩაგელიშვილი; ალექსანდრე ხარაზიშვილი; გიორგი ხარაძე; ჯონი ჩქარეული; თამაზ ჯოლოგუა.**

◉ „გამოცხადება“

# ყოფნა, არ ყოფნა, საკითხავი აი, ეს არის!..

**არყოფნას რომ ყოფნა სჯობს, ამაზე არავინ შემეკამათოს! მაგრამ ყოფნაცაა და ყოფნაც. ამდენი მზრუნველის ხელში მარტო მე კი არა, მგონი მთელ საქართველოს ეტირა ყოფა. მთავრობაში ზოგს წითელის, ყვითელის თუ შავის თამაში მოსწონს, ზოგს — დამალობანა, ზოგს — მჭრელობანა, ზოგსაც აიწონ-დაიწონა. (საქმეზე კი ვინ ფიქრობს)?!**

ამათი ჭიის გახარებას კიდევ მოითმენდა კაცი, თამაშის სიაში კიდევ ერთი, უკვე საკმაოდ პოპულარული „ვილობან-სახლობან-მანქანმოგზაურობად“ რომ არ შეეტანათ. ამ თამაშებს, მოგეხსენებათ, საკმაოდ დიდი საფანელი სჭირდება ხელისუფლებაში. ახლახან მოსულთ კი აბა საიდან უნდა ჰქონდეთ საამისო კაპიტალი? პირდაპირ ხომ ვერ იტყოდნენ, აღგნენ და ბებიაჩემის პენსიით დაიწყეს: ბებიაშენს დიდი პენსია რომ არა აქვს, მამაშენის ბრალიაო, კარტოფილს და პამიდორს — კიდევ არაფერი, მაგრამ აი, ტაფებს და ტაშტებს სალარო აპარატების გარეშე რომ ყიდის, სწორედ ესაა ქვეყნისა და ხალხის მთავარი ღალატიო (ჩვენში დარჩეს და, მთლად ასეც არ უთქვამთ — გინდა არ გინდათ „საკასო აპარატი“ უნდა დაიდგათო, — ასე სთქვესძ.

სალარო აპარატის დადგმით თუ ბებიაჩემს პენსია მოემატება, თუ მარინა მასწავლებელს ხელფასი გაეზრდება, ჩემს ინვალიდ მეზობელს უფრო მეტ ყურადღებას თუ მიაქცევენ, დავიდგამ, აბა რას ვიზამ, — ერთის ნაცვლად ორს დავიდგამ. ისე მიყვარს ბებიაც, მარინა მასწავლებელიც და ჩემი ინვალიდი მეზობელიც! „მარა, არ მჯერა მე ეგ, რაღაც“, იმიტომ არ მჯერა, რომ მოგების 32 პროცენტი სახელმწიფოს უნდა გადაუხადოო, თუ სადმე ერთი ლარის აღურიცხავი საქონელი მოიპოვეთ (ხომ შეიძლება გამოგრჩეს, მოკვდავნი ვართ!ძ 500 ლარ ჯარიმას აგაძრობთ, განმეორების შემთხვევაში კი 1500-სო.

მამაჩემის, ბიძაჩემის, მის მეგობრისა და კიდევ მათ მეგობრებისთვის კალკულატორზე ანგარიში რომ მესწავლებინა, ერთი თვის განმავლობაში დაუზოგავად მიწევდა შრომა. ცოტა კი გავარკვიე, მაგრამ მთლად კარგი მასწავლებელი ვერ აღმოვჩნდი. ახლა სალარო აპარატებიო და... მეტი არაა ჩემი მტერი! კალკულატორის შეცდომას კიდევ გაუძლებს კაცი, სალარო აპარატისას კი, ხომ გახსოვთ, ჯერ 500-იო, მერე 1500-იო... და დაგვექცევა, აბა რას იზამს, ამდენი წლის ნაამაგარი ოჯახი, დაგვემშევა ნორმალური პენსიის მოლოდინში დარჩენილი ბებიაჩემი, შრომის დაფასების მოლოდინში, მარინა მასწავლებელი, ისევ მეზობელ-ნათესავების შემწეობის ამარა — ჩემი ინვალიდი მეზობელი...



ერთი თუ ორი გულისხმიერი, თუ რა ვიცი რა ჰქვია მაგათ, პარლამენტში გამოჩნდა. უცებ მონათლეს „მამებმა“ „ბაზრის პოლიტიკოსებად“. სხვისსას ვერ გეტყვით, მაგრამ მე კი დამაფიქრა ამ სიტყვებმა. ბაზარი და ბაზრის პოლიტიკოსი რომ ახსენეს, არც ისე შორეული წარსული გამახსენდა: **საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ჩვენი დღევანდელი პირველი ლედი სანდრა რულოვსი ისნის ბაზრობაზე ვნახე ბუკლეტებით ხელში — მხარი დაუჭირეთ ჩემს მეუღლესო (ჰოდა, დაუჭირა კიდეც მხარი მთელმა საქართველომ!ძ.**

ეს ამბავი ტყუილად არ მიხსენებია. ავდგები ახლა მე, გავთხოვდები სასწრაფოდ, მერე დავბეჭდავ ბუკლეტებს და მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წინადღეებში დავდგები ლილოს ბაზრობაზე. ლილოს ბაზრობაზე იმიტომ, რომ უფრო დიდია და მყიდველ-გამყიდველიც, შესაბამისად, უფრო ბევრია (თუ გააჩერეს მანამდე ეს ბაზრობაძ და ისევე მოკრძალებულად, როგორც ეს მაშინ ვნახე, ყველას მივეხმატკბილები, მხარი დაუჭირეთ ჩემს რჩეულს-თქო. იმედია, გამიმართლებს, ხომ უკვე ნაცადი ხერხია.

როგორია? — ხომ ვარ ჭკვიანი? ყველა ასე ჭკვიანურად თუ გაუძლვებით თქვენს ცხოვრებას, მერე მართლა აღარ შემეკამათებით, რა ჯობია: ყოფნა თუ არყოფნა.

**იზა მახარაშვილი,**
**თბილისის მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის მესამეკურსელი.**

◉ ინფორმაცია

### „იმედზე“ ზეწოლა იგეგმება?

**პარლამენტის წევრი გია თორთლაძე მეხუთე საპყრობილეში განვითარებულ მოვლენებში ხელისუფლებას ადანაშაულებს.**

**როგორც მან განაცხადა, თუ ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო დაგეგმილი ბუნტის შესახებ ინფორმაცია, მას ყოველნაირი ღონე უნდა ეხმარა, რომ პროცესები სისხლისღვრამდე არ მისულიყო.**

**გია თორთლაძე სპეცსამსახურების მიერ გაკეთებულ ვიდეოჩანაწერში ტელეკომპანია „იმედის“ ხსენებას უკავშირებს სამომავლოდ ტელეკომპანიაზე შესაძლო ზეწოლას.**

### მინისტრის განცხადება სიცრუეა?!

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კერვალიშვილი იუსტიციის მინისტრის მიერ გავრცელებულ განცხადებას მე-5 იზოლატორში პატიმართა მასობრივი გაქცევის მცდელობის შესახებ აბსურდულ სიცრუეს უწოდებს.

— პატიმართა ბუნტის მიზეზი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბაჩო ახალაიას სადისტური საქციელი გახდა. ყველასათვის ცნობილია, რომ ახალაია საპყრობილეში შედიოდა და პატიმრებს სასტიკად უსწორდებოდა. პატიმრებმა მისი სისასტიკე აღარ მოითმინეს და ბუნტი ამიტომაც მოაწყვეს, — განაცხადა გიორგი კერვალიშვილმა.

იგი იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბაჩო ახალაიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს.

### ბუნტის საფრთხეს შეისწავლიან

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი „ჯი-ეიჩ-ენთან„ საუბრისას აცხადებს, რომ საპყრობილეებში მოსალოდნელი ბუნტის საფრთხისა და სპეცოპერაციისას გამოყენებული ძალის კანონზომიერებას შეისწავლიან.

მისი განცხადებით, ძალისმიერი მეთოდით საპყრობილეში მომხდარი ბუნტის ჩახშობა უფრო ადეკვატური რეაქცია იყო იმაზე, რა პროცესებიც სასჯელთაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარეობდა.

მისივე თქმით, ციხეებში არსებული ვითარება დაიძაბა მას მერე, რაც თანამდებობიდან სასჯელთაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი შოთა კოპაძე გადააყენეს.

### დიდსულოვნება გამოიჩინეს

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა თბილისის მე-5 საპყრობილეში განვითარებულ მოვლენებს უპრეცედენტოს უწოდებს.

— ხელისუფლებაში არიან გაუწონასწორებელი ფსიქიკის, მანიაკური მიდრეკილებების მქონე ადამიანები, რომლებიც მზად არიან, თავიანთ ავადმყოფურ მოთხოვნილებებს ზვარაკად შესწირონ ადამიანთა სიცოცხლე. ასეთ დაწესებულებებში ასეთი ფორმით განხორციელებულ მკვლელობებს პრაქტიკულად არ იცნობს საქართველოს ისტორია. ეს არის სააკაშვილის სისხლიანი გზის გაგრძელება, რომლითაც ის ხელისუფლებაში მოვიდა, — აცხადებს გუგავა.

მისივე აზრით, ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზე იმყოფებოდა. ისევ პატიმრების ახლობლებმა გამოიჩინეს დიდსულოვნება, რომ ეს მოვლენები სამოქალაქო დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო.

ХО-ЭОВ-ЭБО

◉ მიწისძვრა ჩვენს სულებში

# შვილები რა, მეძავებად და მკვლელებად გავზარდოთ?!

***მიხაროდა, ჩემმა შვილმა ცოლი რომ შეირთო. 17 წლის ლამაზი, მოხდენილი გოგონა იყო, მაგრამ ცარიელი გარეგნობა რად გინდა? — ერთ თვეში შეძლო და ყველას თავი მოგვაბეზრა უსაქციელობით: საოცრად უხეში და მოურიდებელი იყო, კაცივით იგინებოდა, მისი კევის ღეჭვის ხმა კი, მგონი, მეზობელ კორპუსებშიც ესმოდათ... 5-6 თვის შემდეგ რაღაც წვრილმანების გამო წაგვეჩხუბა და თავის სახლში გაიქცა... ამგვარი ისტორია არცთუ იშვიათი მოსასმენი გახდა თანამედროვე საქართველოში!***

***მართლაც, საიდან იჩეკებიან ეს აგრესიული, უხეში „თინეიჯერები“?***

***მართალია, ამის გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს, რომელთაც ამ წერილში დაწვრილებით ვერ შევეხები, მაგრამ ამჟამად მსურს, ყურადღება გავამახვილო მხოლოდ ერთ ფაქტორზე, რომელზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პიროვნების ჩამოყალიბება. ეს გახლავთ სულიერი საზრდო.***

***რით საზრდოობენ, რას კითხულობენ ან კითხულობენ კი ისინი რამეს საერთოდ?***

თინა ბურდული უკვე დიდი ხანია საგაზეთო ჯიხურში მუშაობს, ვერაზე, პრესტიჟულ უბანში, სადაც ე. წ. „ელიტა“ ცხოვრობს. სამწუხაროა, მაგრამ ახალგაზრდობა გაზეთებს აღარ კითხულობს, თუმცა გაზეთს ვინღა ექებს, ზოგიერთმა მათგანმა ქართველი კლასიკოსებიც კი დაივიწყა, — გულისტკივილით მითხრა მან. ადრე თვითონ მშობლებიც დაინტერესებული იყვნენ, ყიდულობდნენ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებს. ახლა კი თვეობით მიდევს ასეთი სახის ლიტერატურა. მშვენიერი გამოცემებია — „დილა“, „12 მტრედი“, „შოკოლადი“, მაგრამ რად გინდა? — არავინ კითხულობს.

**თამარ ილურიძე** — 7 წელია, რაც გაზეთების ჯიხურში ვმუშაობ. ახალგაზრდობას აინტერესებს სპორტული გაზეთები და ყვითელი პრესა. ვფიქრობ, ძალიან დაეცა მკითხველის გემოვნების დონე. მხოლოდ სოლიდური ასაკის ხალხი კითხულობს სერიოზულ გამოცემებს. ე. წ. „თინეიჯერებს“ კი მიაქვთ „ოსკარი“, „ბომონდი“, „რეიტინგი“, „ვარსკვლავები“ — ჟურნალ-გაზეთები, რომლებშიც თანამედროვე მომღერლებისა და მსახიობების შესახებ არის მოთხრობილი. პოლიტიკა, ლიტერატურა და ხელოვნება მათ არ აინტერესებთ. ხშირად კითხულობენ ეროტიკულ, პორნოგრაფიულ ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ მე, პირადად, ამ სახის პრესა არ მომაქვს.

**მერი ინასარიძე** — 1983 წლიდან გაზეთების ჯიხურში ვარ და ამ საქმეს ვემსახურები. სპეციალობით მუსიკოსი ვარ, მოხდა ისე, რომ სამსახური ჩემი პროფესიის მიხედვით არ გამომიჩნდა, აქ მოვედი, ახლა კი ჩემი საქმე ძალიან მიყვარს, ხშირად ვფურცლავ ჩემს საყვარელ ჟურნალ-გაზეთებს. ბევრს ვკითხულობ, აი, რაც შეეხება ახალგაზრდობას, მათ მხოლოდ მსუბუქი ხასიათის ჟურნალ-გაზეთები მიაქვთ, ან სულ არაფერს არ კითხულობენ.

ახლა კი ჩემს გულისტკივილზე გიამბობთ: შვილიშვილების პატრონი ვარ და ხშირად ვფიქრობ, როგორ ადამიანებად ჩამოყალიბდებიან. წარმოიდგინეთ, 10-12 წლის გოგონა კითხულობს როგორ გათხოვდა მისი საყვარელი მომღერალი, ან მსახიობი 5-ჯერ, როგორ იცვლიდა საყვარლებს ცხვირსახოცებივით და ეს კარგი ჰგონია. ტელევიზორს ჩართავ და იქაც მრუშობის და



მაიმუნობის მეტს ვერაფერს ხედავს ადამიანი. ჩემი აზრით, ეს არის გარყვნილება, როგორ შეიძლება 4-5-ჯერ გათხოვდეს ქალი, არც ერთხელ არ გაუმართლოს და ეს უბედურებად კი არა, ღირსებად მიაჩნდეს?! გამოჭენდებიან გაზეთებში და ისეთ რამეებს ამბობენ, რაც ნებისმიერი ღირსეული ადამიანისათვის შეურაცხმყოფელია. მეც ადამიანი ვარ და ადამიანური ჩემთვის უცხო არაფერია, მაგრამ უბედურება ბედნიერებად მიგაჩნდეს, ეს ჩემთვის პირადად გაუგებარი რამ არის.

ჰომოსექსუალიზმს, მრუშობას და ნარკოტიკებს ამდენი ლაპარაკი და პროპაგანდა არ სჭირდება. იმდენი იძახეს, სუბოტექსი, სუბოტექსიო, რომ ყველამ გაიგო ეს რა წამალია და დადიან ახლა გათიშულები. ლამის მთელი საქართველო განარკომანდა, ქუჩები კი მეძავებით აივსო!

მეძავები ყოველთვის არსებობდნენო მეტყვიან, ალბათ, კი ბატონო, ამ კატეგორიის ხალხი ყოველთვის იყო, მაგრამ თავისთვის ცხოვრობდნენ, ახლა კი პირდაპირი აგიტაცია მიდის: როდესაც შენ ამაყად აცხადებ, რომ ოთხჯერ გათხოვდი და შეიძლება ბედი კიდევ მრავალჯერ სცადო — ე. ი. შენ მოწოდებული ხარ იმისათვის, რომ კაცები იცვალო და ჩემს შვილს, რომელიც ყურადღებით გისმენს, თავ-გზას ნუ უბნევ! ასეთია ყველა გონიერი ქართველის აზრი.

ახლა ახალი კანონი შემოვაო, მითხრეს. თურმე ამ კანონის ძალით, შენი 18-19 წლის (ე. ი. სრულწლოვანიძ გოგო შინ დილის 4-5 საათზე რომ დაბრუნდეს — პატარა საყვედურიც არ უნდა აკადრო, თორემ წავა და სასამართლოში გიჩივლებს თავისი უფლებების დარღვევის გამო, მითხარით, ეს სადაური კანონი და სამართალია?

მოგვეცით უფლება, ჩვენი შვილები თვითონ გავზარდოთ. არ გვჭირდება ამ საქმეში პრესისა და ტელევიზიის „დახმარება“, არც ის ამაზრზენი რეკლამები და კლიპები მოგვწონს, რაც თითქმის ყოველ წამს გადის ნებისმიერ არხზე: როგორ კოცნიან ლესბოსელები ერთმანეთს, როგორ გადადიან ყირაზე უცხოელი „ვარსკვლავები“. უკვე სიშიშვლეც ღირსებად ითვლება. პირველყოფილი ადამიანებიც კი არ დარბოდნენ ტყე-ღრეში მთლად შიშვლები და ფოთლებს იფარებდნენ, სირცხვილის გრძნობა მათაც კი აწუხებდათ!

ჩვენი შვილები რა, მეძავებად და მკვლელებად გავზარდოთ?!

სიყვარულს, ოჯახს, ერთგულება და გაფრთხილება უნდა, — ასეთია ჩვენი, ქართული წესი, ტრადიცია და რატომ ცდილობთ ეს ბრძნული, ქრისტიანული ტრადიცია მოშალოთ, დაანგრიოთ.

**მე თითქმის უცვლელად შემოგთავაზეთ ქალბატონ მერის სიტყვები. გამოგიტყდებით, ყველაფერში ვეთანხმები, თანაც, მჯერა, ვეთანხმები მარტო მე კი არა, ბევრი, სხვათა შორის, ჩემზე უფრო ჭკვიანი და დასაფასებელი ადამიანიც საქართველოში.**

**ამ საკითხებზე, ალბათ, კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა უნდა იფიქროს. იქნებ მთელმა საქართველომაც!**

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◉ რაღაც ხდება

# სანუხარია შენობას მოწყვეტილი აგურის ბედიც...

**ყოველი დღე სავსეა სიახლით.**

**ქალაქი დუღს.**

**აგებენ გზებს.**

**ღებავენ ფასადებს.**

**აწყობენ აქციებს.**

**კლავენ ყაჩაღებს და ძალიან ბევრი ამაზე გულწრფელად წუხს. კმაყოფილებიც არიან, მომავალსაც იმედით უყურებენ და არც მალავენ თავიანთ ამაღლებულ განწყობილებას.**

**არაფერია გასაკვირი — ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს იქ, სადაც რაღაცას ესხმება ხორცი, რაღაც კეთდება კიდეც, ოღონდ ძნელადშესაფასებელიც ზომაზე მეტია...**

...იმ დღეს კონსტანტინე გამსახურდიას გამზირზეც ხალხმრავლობა იყო. შორიდანაც ჩანდა, რომ მოღრუბლული ამინდის მიუხედავად, შეკრებილები არ უჩიოდნენ განწყობილებას.

ვერ ვძლიე ცდუნებას.

გადავჭერი ქუჩა უადგილოდ.

გადავრჩი ღვთის წყალობით. მშვიდობით გადავედი მეორე მხარეს და საოცრად მხიარულ სახეებს შევუერთე ჩემი შემკრთალი მზერა.

მიტინგი არ იყო.

არც აქციაზე მიმავალს ჰგავდა ვინმე. უბრალოდ, იდგნენ და მხიარულად უცდიდნენ რაღაცას.

მოვიდა ისიც — გრძელკისერა, ახლადშეღებილი თუ სულაც ახალთახალი ამწე, მიადგა ერთ პატარა გაზონში ახლად ჩადგმულ ერთსართულიან შენობას, რომელიც შელესილიც კი არ იყო ჯერ.

ხალხი ახმაურდა. უფრო შემჭიდროვდა ამწის გარშემო. მომერიდეთო, — თქვა მეამწემ და რკინის რაშს აანევინა ხორთუმი, მოიქნია და ვეებერთელა „კოვში“ მთელი ძალით აძგერა ცემენტის ბლოკებისგან აგებულ კედელს. დალიც დაასვა. პირველი ნახვრეტიც გაჩნდა.

მერე ყველაფერი იოლი აღმოჩნდა.

სულ ადვილად დაიფშვნა მეორე, მესამე, მეოთხე კედელი.

15 წუთში მოთავდა ყველაფერი.

ამწე შეტრიალდა და ტროტუარიდან აუჩქარებლად გადავიდა.

მეამწის სახე კარგად არ ჩანდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დახრილი ექნებოდა თავი.

ჩადენილის გამო თავს ნამდვილად უხერხულად იგრძნობდა წესიერი კაცი.

შეკრებილები სულ მეზობელი კორპუსების მცხოვრებლები აღმოჩნდნენ და ხალისიანი ყიჟინით გააცილეს ჯერ კიდევ მოუწყობელი შენობის პირისაგან მიწისა აღმგველი.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი ტელეკამერებისკენ შეტრიალდა და ბრძანა: ამ შენობის მეპატრონეს აქ მაღაზია უნდა გაეხსნა ისე, რომ ნაგებობის პროექტი, სავაჭრო დაწესებულების გახსნის ნებართვა არ ჰქონდაო.

— სიბინძურის კერა მოისპოო, — დაასკვნეს შეკრებილებმა და კმაყოფილები დაიშალნენ.

ცხადი იყო ყველაფერი...

არ არის სადავო:

ქალაქის იერის დამაუშნოებელი ყოველი შენობა უნდა დაინგრეს, მით უმეტეს უპროექტოდ, უნებართვოდ აშენებული.

რაც მთავარია, აღსრულდეს კანონი, თუ მისი აღსრულების გარეშე არ მოისპობა სიბინძურე, არც ქალაქს ექნება ლამაზი იერი და არც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს შეემატება რამე.

ერთმა შემზარა მხოლოდ — ალტაცებული სახეების სიმრავლემ.

უკანონოდ, მაგრამ უკვე აშენებულის, დასამშვენებლად გამზადებულის მოსპობით გამოწვეულმა აღტკინებამ.

არც მეპატრონის გვარ-სახელი ვიცი, არც მისი განზრახვა დამიზუსტებია.

ალღომ მიღალატა და არც ის გამირკვევია, საიდან უნდა გაჩენილიყო აქ ადგილის დაბინძურების საშიშროება, რომელიც გარშემო მოსახლეებს შეაწუხებდა.

არც ის მახსოვს, თუ რომელ მწერალთან ამოვიკითხე ფრაზა მაშინ, როცა ჯერ კიდევ ყველაფერი მყარად იდგა და არც არაფერი ინგრეოდა კაცის თუ ბუნების ნებით. ასეთი რამ ეწერა იქ: იმ საზოგადოების მომავალიაო შესაშური, სადაც თითოეულ ადამიანს აწუხებსო შენობას მოწყვეტილი ყოველი აგურის ბედი.

აქ კიდევ აშენებულის ნგრევით ხარობდა ვილაც.

არ ვიცი, სად ან ვინ ითვლის შენობიდან გადმოვარდნილი აგურის რაოდენობას, ვის აწუხებს მისი ბედი.

შეიძლება არც არავის, რადგან ადამიანების შეგნებაში ხდება რაღაც ისეთი, რასაც, ალბათ, სახელიც არ ჰქვია ჯერ ან თქმას ვერ ბედავს ვერავინ.

ჯერჯერობით ვერც მე ვამბობ.

მეშინია: ვერ ვიპოვნი თანამგრძნობს.

სხვისი საქმე არავის აწუხებს. გაიშვიათდა თანადგომა და იმიტომ.

ესეც ნიშანდობლივია — დღევანდელობისთვის დამახასიათებელი.

მართლა ხდება რაღაც...

**რობერტ ძერია**

◉ ინფორმაცია

## ენგურჰესი გაჩერდება

**ენგურჰესი დღეს საღამოს 10 საათზე გაჩერდება. როგორც საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ ენერგეტიკის სამინისტროში განუცხადეს, აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და ის უკვე შეთანხმებულია აფხაზურ მხარესთან და ენგურჰესის ხელმძღვანელობასთან.**

**ენგურჰესის გამორთვისთანავე დაიწყება რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზით „კავკასიონი“ 200 მეგავატი ენერგია შემოვა, ხოლო „სალხინოთი“ — 80 მეგავატი.**

**შეგახსენებთ, რომ ენგურჰესი ივლისის შუა რიცხვებამდე სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციის მიზნით ჩერდება.**

## აფხაზეთში იარაღის საწყობები გაძარცვეს

**გუდაუთის რაიონში მდებარე იარაღის საწყობიდან კალაშნიკოვის სისტემის ათეულობით ავტომატი და დიდი რაოდენობით საბრძოლო ჭურვი დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს.**

**აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის შს მინისტრის ოთარ ხეციას ინფორმაციით, ნიღბიანი ბანდიტების რვაკაციანმა ჯგუფმა, ჯერ საწყობის დაცვა განაიარაღა, ამის შემდეგ კი საწყობი გაძარცვა.**

**მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.**

## „კავკასიონი“ კვლავ დაცხრილეს

**ელექტროგადამცემ ხაზ „კავკასიონზე“ დივერსია მოხდა. როგორც საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ ენერგეტიკის სამინისტროში განუცხადეს, გუშინ დილის 7 საათზე დაუდგენელმა პირებმა სოფელ საკენთან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს მაღალი ძაბვის 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი“. შედეგად ხაზი გამორთულია.**

**როგორც სამინისტროში აცხადებენ ამ ეტაპზე „კავკასიონის“ საშუალებით რუსეთიდან მხოლოდ 20 მეგავატი ენერგიის იმპორტი ხორციელდებოდა.**

## საომარი მოქმედებების განახლებას არ დავუშვებთ

**საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას განცხადებით, ქართული მხარე ქართულ-ოსურ კონფლიქტში საომარი მოქმედებების განახლებას არ დაუშვებს.**

**— შეიარაღებული დაპირისპირება აღარ განმეორდება და არავის მივცემთ საბაბს მსგავსი ქართულოსურ კონფლიქტში ძალისმიერი მეთოდები გამოიყენოს. თუ ძალადობრივ მეთოდებს კვლავ ადგილი ექნა, ღია საინფორმაციო სივრცე გამოავლენს, თუ ვისგან მოდის ამგვარი აგრესია, — განაცხადა გოგა ხაინდრავამ ვლადიკავკაზში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის დაწყებამდე.**

**ხაინდრავას თქმით, საქართველოს ხელისუფლება ამჟამად კონფლიქტის შედეგად მიყენებული ზარალის აღრიცხვის შესახებ კანონს განიხილავს.**

**— გვინდა კანონის განხილვაში ოსი კოლეგებიც ჩაერთონ. მათ შეუძლიათ თავიანთი შენიშვნები გამოთქვან და ამის შემდეგ მივიღებთ ამ კანონს, — განაცხადა ხაინდრავამ.**

**ჯი-ეიჩ-ენი.**

ასეთი აზრებით გაეშურნენ ისინი მორავიაში, სლოვაკეთში და ქვემო ავსტრიაში, სადაც მიდიოდნენ, გარს ახალგაზრდებს იკრებდნენ, რომელნიც უფრო მეტად პირში შესცქეროდნენ იმათ, იმის მაგივრად, რომ ესმინათ, რასაც ისინი ელაპარაკებოდნენ. ერთ-ერთი მოწაფისთვის მეთოდემ ლამაზად დაჭრელებული არგნის ჩუქება იზრახა. ყველა ფიქრობდა, ალბათ, უკეთესს მისცემსო, და მარჩიელობდნენ, ნეტავი სახელდობრ ვისაო. მეთოდემ არგანი ყველაზედ უარესს გადასცა. და თქვა: „უკეთესნი ყველაზედ ნაკლებად სწავლობენ. ბევრად დიდხანს მასწავლებელი ცუდ მოწაფეებთან რჩება. ჭკვიანები სწრაფად ითვისებენ...“

ძმებს უგვანი შუღლი დაუწყეს. აქა-იქ ესხმობდნენ. პირველად ეს ამბავი მეთოდემ თავის სენაკში შეიტყო, რომლის კოლბოხნარი იატაკი ავად უკაწრავდა შიშველ ფეხთ. დაიწყო შეხლა-შემოხლა სამენოვანებთან, გერმანელებთან, რომელნიც დაბეჯითებით ითხოვდნენ, საწესო მხოლოდ სამი ენა უნდა იყოსო (ბერძნული, ლათინური და ებრაული). პანონიაში, ბალატიონზედ — ტბაზედ, სადაც ზამთარში თმა თმას ეყინება, ხოლო ქაფათარი ქარი თვალებს სადილისა და ჩაის კოვზთ ამგვანებს, — მეთოდე ძმასთან ერთად იქაური თავადის — კოცელის სატახტოში გაჩერდა. კოცელის მეომარნი ბრძოლაში ისევე მწარედ იკბინებოდნენ, ვითარცა ბედაურნი და აქლემნი, გველთ ისინი წკეპლის ცემით ჭარ-პერანგთ აძრობინებდნენ, ხოლო იმათი დიაცნი ჰაერში მშობიარობდნენ სადმე წმინდა ხეზედ ჩამოკიდებულნი, ისინი პანონიის ჭაობების ტალახში ათვინიერებდნენ თევზთ და საიდანღაც ჩამოხენცილ გარმიანელთ მავან ბერიკაცს ახილვებინებდნენ, რომლის ლოცვა ის იყო, რომ ტალახიდან თევზი ამოჰყავდა, ხელისგულზედ იწვენდა და იმდენს უჩიჩინებდა, სანამ არააფრენდა, ვითარცა სანადირო შევარდენს. და ცად აჭრილი ჰკრავდა ისიც კამარას, თან ტანიდან ტალახს იბერტყავდა და ლაყუჩთ ფრთებსავით ხმარობდა.

მიმდევრებთან და მოწაფეებთან ერთად 867 წელს ძმები ერთ-ერთ ისეთ მოგზაურობას შეუდგნენ, როცა ყოველი ნაბიჯი ასოა, ყოველი ბილიკი — ფრაზა, ყოველი გაჩერება კი ერთი დიდი წიგნის სათავალავი. ვენეციაში, 867 წელს, ისინი მონაწილეობდნენ სამენოვანებთან გამართულ ახალ დავაში, ამის შემდეგ კი რომში მივიდნენ, სადაც პაპმა ადრიანე ||| სოლუნელ ძმათა მოძღვრება სწორ მოძღრებად ცნო და სლავი მოწაფენი წმინდა პეტრეს ეკლესიაში აკურთხა. ამასთანავე ლიტურგია სრულდებოდა სლავურ ენაზედ, რომელიც ის-ის იყო მოეთვინიერებინათ და, როგორაც მცირე რამ ნადირი, გლაგოლიცურ ასოთა გალიაში მჯდომარე, ბალკანეთის სანახებიდან მსოფლიოს დედაქალაქში ჩამოეყვანათ. აქ, რომში, 869 წლის ერთ საღამოს, ვიდრე იმისი მიმდევარნი სლავნი ერთმანეთს პირში აფურთხებდნენ, მეთოდეს ძმა გარდაეცვალა, კონსტანტინე, იმჟამად უკვე წმინდა კირილე. დააგდო მაშინ მეთოდემ იქაურობა და პანონიაში დაბრუნდა. მეორედ რომში იგი 870 წელს იყო, როცა პაპისგან პანონია-სრემის არქიეპისკოპოსის წოდება იბოძა, რის შემდეგაც ზალცბურგელ არქიეპისკოპოსს ბალატონის ნაპირები უნდა დაეტოვებინა. როდესაც 870 წლის ზაფხულში მეთოდე მორავიაში დაბრუნდა, გერმანელ ეპისკოპოსთ იგი საპყრობილეში გამოამწყვდიეს, სადაც მან ორი წელიწადი გაატარა ოდენ დუნაის ხმაურის ყურისგდებაში. მერმე იგი საეკლესიო კრების სამსჯავროს გადასცეს რეგენსბურგში, იქ გვემდნენ, აწამებდნენ და ტიტველი გაჰყავდათ ყინვაში გარეთ. ვიდრე ტაჯგანალს ურტყამდნენ ხოლმე, ისე ილუნებოდა, წვერით მიწას ეხებოდა და სულ იმის ფიქრში იყო, რომ ჰომეროსი და წმინდა ილია წინასწარმეტყველი ერთმანეთის თანამედროვენი იყვნენ, რომ ჰომეროსის პოეტური სახელმწიფო უფრო დიდი იყო, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის იმპერია, იმიტომ რომ პონტოდან მოკიდებული ჰიბრალტარის საზღვარს სცილდებოდა. და კიდევ იმაზედაც ფიქრობდა, რომ ჰომეროსს ვერ ეცოდინებოდა ყველაფერი, რაც იმ თავისი სახელმწიფოს ზღვებსა და ქალაქებში მოძრაობდა და არსებობდა, როგორც რომ ალექსანდრე მაკედონელს ვერ ეცოდინებოდა ყოველივე, რასაც ეგების თავის იმპერიაში გადაჰყროდა. შემდეგ ფიქრობდა, როგორ ჩაწერა ჰომეროსმა ერთხელ თავის ქმნილებაში ქალაქი სიდონიც, და თავადაც არ უწყოდა, რომ ამ ქალაქთან ერთად წინასწარმეტყველი ილიაც ჩაწერა, რომელსაც უფლის ნებით ჩიტები ასაზრდოებდნენ. ფიქრობდა აგრეთვე, რომ ჰომეროსს თავის უზარმაზარ პოეტურ სახელმწიფოში მრავლად ჰქონდა ზღვები და ქალაქები, მაგრამ არ იცოდა, რომ ერთ-ერთ ქალაქში სიდონში ბინადრობდა ილია წინასწარმეტყველი, რომელიც ერთხელაც სხვა პოეტური სახელმწიფოს მოსახლე გახდებოდა, ისეთივე ვრცელი, მარადიული და ძალუმი სახელმწიფოსი, როგორიც ჰომეროსისა იყო, — მეთოდე *საღმრთო წერილს* გულისხმობდა. და თავის თავს ეკითხებოდა, ნეტავი თუ შეხვედროდნენ ერთმანეთს ორი თანამედროვე — ჰომეროსი და წმინდა ილია თიშბელი — გალაადში, ორივე უკვდავი, ორივ ოდენ სიტყვით შეჭურვილი, ერთი — წარსულისკენ პირმიქცეული და ბრმა, მეორე — მომავლისკენ ფიქრგატყორცნილი და ნათელმხილველი, ერთი — ბერძენი, რომელმაც ყველა პოეტზედ უკეთესად უმღერა წყალსა და ცეცხლს, მეორე — ებრაელი, რომელიც წყლით აჯილდოებდა და ცეცხლით სჯიდა, მოსასხამს კი ხიდსავით იყენებდა. დედამიწის ზურგზედ არის ერთი სარტყელი, ფიქრობდა ბოლოდ მეთოდე, არცთუ უფრო განიერი, ვიდრე ათი აქლემის სიკვდილია, რომელ სარტყელზედაც ორი ადამიანი ერთმანეთს ასცდაო. ეს არის სივრცე, სივრცე ამ ორი ადამიანის ნაბიჯთა შუა, უფრორე ვიწრო, ვინემ დედამიწის ზურგზედ რომელიმე ყოვლის უფროისად უგანო ორწუხი ან კლდე-კარიაო. ორი ასეთი დიდი პიროვნება ერთმანეთთან უფრო ახლოს არცროდის ყოფილაო. ან არადა ჩვენ ვცდებით, როგორც ყველანი, ვისი მხედველობაც მოგონებათა სამსახურშია და არა ჩვენთა ფეხთა ქვეშ არსებული დედამიწისაო...

### მილორად პავიჩი



## წითელი წიგნი

### ქრისტიანული წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ

პაპის ჩარევის წყალობით მეთოდე 880 წელს გაათავისუფლეს, რომში მან მესამედ დაასაბუთა მართლმორწმუნეობა ყოველივესი, რასაც იცავდა, კერძოდ, სლავური წირვა-ლოცვისა, ხოლო პაპმა თავისი უსტრით კიდევ ერთხელ დაადასტურა სლავური ღვთისმსახურების კანონიერება. დაუზმანუსი, უკვე მოხსენიებული ტაჯგანალით მეთოდეს ცემის ამბის გარდა, იმასაც გვაუწყებს, რომ იგი სამჯერ განიბანა რომის მდინარე ტიბრში, როგორც წესია დაბადების, ჯვრისწერისა და სიკვდილის ჟამს, და რომ იქ იგი სამი სამისნო პურით ეზიარა. 882 წელს მეთოდე უმაღლესი პატივით მიიღეს ცარგრადში, ჯერ სამეფო კარზედ, მერმე კი საპატრიარქოში, რომელსაც იმისი ახალგაზრდობის მეგობარი, ხოლო ახლა პატრიარქი და ფილოსოფოსი ფოტიოსი მეთაველობდა. მეთოდე აღესრულა 885 წელს მორავიაში და სიკვდილის შემდეგ დატოვა *საღმრთო წერილის, ნომოკანონის* (კანონთა კრებულის) და წმინდა მამების ქადაგებათა თარგმანები.

როგორაც ხაზარული მისიის მონაწილე და კონსტანტინე ფილოსოფოსის შემწე, მეთოდე ორჯერ გვევლინება ხაზარული პოლემიკის ქრონისტად. მან სლავურად გადაენა ხ ა ზ ა რ უ ლ ი  ქ ა დ ა გ ე ბ ა ნ ი და, კირილეს ცხოვრების წიგნის სტილისდა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რვა ნაწილად დაუყვია ისინი და რედაქციაც გაუწევია. ვინაიდან კირილეს ხ ა ზ ა რ უ ლ ი  ქ ა დ ა გ ე ბ ა ნ ი არ შემონახულა არც ბერძნული დედნით, არც მეთოდეს სლავური თარგმანით, ხაზარული პოლემიკის უმნიშვნელოვანეს დამამოწმებელ წყაროდ რჩება კონსტანტინე ფილოსოფოსის (კირილეს) სლავური ცხოვრება, თავად მეთოდეს თვალოვნობისა და ზედამხედველობის ქვეშ დაწერილი. ამ ცხოვრებაში მოყვანილია პოლემიკის თარიღიც (861 წელი) და წვლილად არის გადმოცემული კირილესა და იმის მოწინააღმდეგეთა გამოსვლების შინაარსი, თუმცა დასახელებულნი არ არიან ის მოწინააღმდეგენი — ებრაელი და მუსულმანი მისიონერები. დაუზმანუსს მოჰყავს შემდეგი გამონათქვამი, რომელიც მეთოდეს ეხება: „ყოვლის უფრო ძნელი სხვისი ხოდაბუნისა და საკუთარი ცოლის გათერძვაა, გინდა ხვნა თქვი, — წერს იგი, — მაგრამ ყოველი კაცი რაკი გაკრულია საკუთარ ცოლზედ ვითარცა ჯვარზედ, გამოდის, რომ ყოვლის უფროისად ძნელი სხვისი კი არა, საკუთარი ჯვრის ტარებაა. აგრე იყო მეთოდეს თავსაც, რომელსაც არცროდის უტარებია თავისი ძმის ჯვარი... რამეთუ მრწემი ძმა სულიერ მამად ერგებოდა...“

**მესვეტე (ბრანკოვიჩი გრგური)** (1676-1701) — თვითონ სიტყვა „მესვეტე“ აღმოსავლურ ქრისტიანობაში ნიშნავს განდეგილს, დაყუდებულს, რომელსაც აღთქმული აქვს გოდლის (სვეტის) თავზედ ცხოვრების ლოცვაში გატარება, რაც შეეხება გრგურ ბრანკოვიჩს, სრულიად საგანგებო რამ მიზეზისა გამო შეერქვა მესვეტე. გრგურ ბრანკოვიჩი იყო ასისთავი, ელდერელ ბრანკოვიჩთა ნაშიერი, XV|| საუკუნის მხედართმთავრის, დიპლომატიურ სამსახურში მყოფი აბრამ ბრანკოვიჩის✝ სიყრმის შვილი. მან თავის მამაზედ სულ თორმეტი წლით მეტხანს იცოცხლა. ცნობილია, რომ ის ჯიქივით ხალებიანი იყო და მუდამ იმარჯვებდა ღამეულ ბრძოლებში, ხმალი ფასდაუდებარი ჰქონია, სამოცდაათი ილეკროს ფირფიტისგან დამზადებული, რომელი ფირფიტებიც მჭედელს იმის მერე გამოეჭედა, ცხრაჯერ ზედიზედ რომ წარმოეთქვა „მამაო ჩვენო“. ზედწოდება მესვეტე თავად არცროდის გაუგონია, რადგან სიკვდილის შემდეგ ეწოდა, უფრო ზუსტად, იმის მერე, რაც თურქთა ტყვეობაში აწამეს. თუ რარიგ დაიღუპა, საზარბაზნე საქმეთა ოსტატმა ჰასან აგრიბირდი-უმრწემესმა აღწერა და ხალხმა სიმღერა გამოუთქვა, თავად გრგურ ბრანკოვიჩი კი ზედწოდებისა წყალობით ქრისტიანობის წმინდა განდეგილთა ერთ მწკვრივში ჩადგა. დაღუპვით, როგორც ამბობენ, ასეთნაირად დაღუპულა: რამდენიმე მხედართან ერთად ბრანკოვიჩი დუნაის შორიახლო იბედივად თურქთა რაზმს გადაჰყრია. თურქნი ის-ის იყო მოვიდნენ თურმე ნაპირთან და ცხენებიდან ჩამოუხდომლად, პირდაპირ ამხედრებულნი აფსამდნენ მდინარეში. ბრანკოვიჩს შეუმჩნევია თუ არა ისინი, ოტებულა. თურქთა რაზმის მეთაურს თვალი კი მოუკრავს ოტებულისთვის, მაგრამ თავისი საქმე არ შეუწყვეტია და, მხოლოდ სრულად რომ დაცლილა და ბოლო წვეთები ჩამოუბერტყავს, მერელა გამოსდგომია ბრანკოვიჩს და წარუტყვევნია. შუბ-ლიბანდაკთა რტყმით აძრახებული დოლის ბრახაბრუხში მიუყვანიათ გათოკილ-გაკოჭილი ბრანკოვიჩი თურქთა ბანაკში. თურქთ ტყვევნილი ბერძნული სვეტის თავზედ აღუმართავთ, და სამ მშვილდოსანს ბრძანება მიუღია, დააყარეთ მაგას ისარ-ბოძალნიო. სანამ სროლას დაუწყებდნენ, თურმე შეჰპირდნენ, უკეთუ მეხუთე ისრის შემდეგ ცოცხალი დარჩი, სიცოცხლესაც გაჩუქებთ და მშვილდსაც მოგიბოძებთ თავის ისარ-კაპარჭიანად, რათა ზემოდან იმ სამს დაუშინო, ვისაც აწ მიზანში ამოუღიხარო. მაშინ ბრანკოვიჩი შენუკვია, ერთჟამიერად ორ-ორს ნუ მესვრით, რადგან „გამოსროლილი ისრები უნდა ვითვალო და არა ტკივილიო“. რაღა ბევრი გავაგრძელო, იმ სამს სროლა დაუწყია, ბრანკოვიჩს კი თვლა. პირველი ისარი თურმე ზოსტერის, ანუ ქამრის აბზინდის ზევით მოხვდა, მუცელი განუგმირა და შიგ სრულად ის ტკივილი გაუღვიძა, მთელი ცხოვრება რომ დაჰგროვებოდა. მეორე ისრისთვის ხელი უტაცია, მესამეს ყური გაუხვრეტია და ბიბილოში გაჩრილი საყურესავით დაჰკიდებია, ის კი იდგა თურმე და ითვლიდა. მეოთხეს გვერდზედ ჩაუზუზუნია, მეხუთე მუხლზედ მოხვედრია, ასხლეტილა და მეორე ფეხში გასვლია, ის კი იდგა თურმე და ითვლიდა. მეექვსეს კვლავ გვერდზედ ჩაუვლია, მეცხრეს ზედ მიულურსმავს ხელისგული, ბარძაყზედ რომ ჰქონია მიდებული, ის კი იდგა თურმე და ითვლიდა. მეთერთმეტეს კინაღამ მკლავი იდაყვში წაუწყვეტია, მეთორმეტე საზარდულში შერჭმია, ის კი იდგა თურმე და ითვლიდა. ჩვიდმეტამდე დაუთვლია და სვეტიდან მკვდარს ბრაგვანიც მოუდენია, იმ ადგილას ველურ ყურძენს უხარია, კრიკინას, რომელსაც არცროდის ყიდიან და არცროდის ყიდულობენ, ეს ცოდვიან საქმედ ითვლება.

**სევასტ ნიკონი** (XV|| საუკუნე) — თქმულებაა, რომ ერთ დროს ბალკანეთში, მორავიას ნაპირის მიმდგომ მეცხვარის ხეობაში, უჩვეულოდ მშვიდობიანი სატანა ცხოვრობდა, რომელიც არცვის არას ერჩოდა, სუყველას თავის საკუთარ სახელს ეძახდა და ცხოვრების სახსარს წმ. ნიკოლოზის მონასტერში მოირეწდა, სადაც მწერალ-მწიგნობართუხუცესად მოღვაწეობდა. რა ადგილასაც არ უნდა დამჯდარიყო, ადგომის მერე იქ ორი მავანი პირის ანაბეჭდი რჩებოდა, კუდის მაგივრად კი ცვხირი ება. ადრე, წინა ცხოვრებაშიო, ამტკიცებდა, ეშმაკი ვიყავი ებრაულ ჯოჯოხეთშიო და ველიალსა და გაბრიელს ვმსახურებდიო, ბევრი ვინმე მყავს დამარხული სინაგოგათა თავან-სხვენებშიო, და ერთხელაც შემოდგომაზედ, როდესაც ფრინველის სკინტლი შხამიანი იყო და, რასაც ეცემოდა, ფოთოლთ თუ ბალახს, ყველაფერს ხრუკავდა, სევასტს კაცი ექირავებინა, რათა მოჰკვლევინებოდა. ამ გზით იმას ებრაულიდან ქრისტიანულ ჯოჯოხეთში გადაბიჯება და მერმე ახალ ცხოვრებაში ეშმაკის მსახურება ეწადაო...

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 51-60.

# სახიობა

თეატრალური გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური დამატება

№2 (201)


> ...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.
>
> სანდრო ახმეტელი.

# 27 მარტი – თეატრის საერთაშორისო დღეა

## დონ კიხოტი საქართველოში



როდის შემოაბიჯა პირველად საქართველოში სერვანტესის გენიალურმა „დონ კიხოტმა“?! საამისოდ XIX საუკუნის მიწურულს უნდა გადავხედოთ, როდესაც ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა, მთარგმნელმა და თეატრალურმა მოღვაწემ ნიკოლოზ ავალიშვილმა (1844-1929წ – შილერის პიესების, სენკევიჩის „ვიდრე ხვალ უფალო“, – სუმბათაშვილის „ღალატის“ მთარგმნელმა სერვანტესის „დონ კიხოტი“ გადმოაქართულა. ესპანელი მწერლის ამ უკვდავი ნაწარმოების პირველ 32 თავს 1869-71 წლებში გაეცნენ ქართველები ჟურნალ „მნათობში“, რომელსაც თვით ნიკო ავალიშვილი რედაქტორობდა. თარგმანის პირველი წიგნი ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, მწერალმა და პუბლიცისტმა ალ. სარაჯიშვილმა ფრანგულ თარგმანს შეადარა და 1906 წელს „ცნობის ფურცლის“ პრემიად დაბეჭდა წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობამ. რაც შეეხება II წიგნის გამოცემას, ავალიშვილმა ვეღარ მოასწრო – ხელნაწერად დარჩა.

1915 წლითაა დათარიღებული კოტე მაყაშვილის ტკივილიანი ლექსი – „მშობლიურ დონ კიხოტს“.

„დავიცალეთ სისხლისაგან! დღე ერთი და ასი ჭირი!
კვლავ ეწვია ქართვლის კერას განსაცდელი, გასაჭირი!
...
ომი გვმუსრავს უწყალოდა... გარეთ ვწუდებით, შინაც ვწუდებით!
უპატრონოდ, უჩივლელად, გმირულად და ჩუმად ვკვდებით...“
...
შენ კი, დიდო დონ კიხოტო, რაინდობ და შმაგად გმირობ,
წისქვილს ებრძვი, თუ ჯადოქარს, არცა არჩევ, არცა ჭკვირობ!

და ა.შ.

ასე რომ, პოეტი მწუხარე სახის რაინდში თავისიანს ხედავს.

ასევე თავისიანივით მიმართავს ამ შორეულ გმირს ჩვენი დროის თვალსაჩინო პოეტი შოთა ნიშნიანიძე. ლექსში „დონ კიხოტის სტუმრობა ზემო იმერეთში“.

„იმერეთო, ვივა, ვივა!
ვითომ ესპანეთი ხარო,
ერთი სიხარული გტკივათ,
ერთი სატკივარით ხარობთ.
შენ ლამანჩავ, ვაშა, ვაშა!

... შესძახებს პოეტი – იმერეთი მელამანჩაო და ამიტომაც ლამანჩაც უფრო ტკივა...

ასეთივე თანაზიარობამ და „ნათესაურმა“ გრძნობამ – „კლდიაშვილის ესპანეთო, სერვანტესის იმერეთო!“ – დააწერინა ცნობილ დრამატურგს ვალერიან კანდელაკს პიესა „დონ კიხოტი საქართველოში“ საქართველოში მოგზაურობისას „მწუხარე სახის რაინდი“ მრავალ კომიკურ ამბავს გადაეყრება... თავის დონ კიხოტი ჰყავს მორის ფოცხიშვილსაც...

... იქნებ ეს არასრული ჩამონათვალია დონ კიხოტის გაქართულებული ბედისა, მაგრამ იმის ხომ არ ნიშნავს, რომ დონ კიხოტი ჩვენებურიც არის! ამიტომაც ვერ დარჩა გულგრილი ამ რომანის მიმართ ცნობილი კინორეჟისორი რევაზ ჩხეიძე, რომელმაც ჩინებული ფილმი მიუძღვნა დონ კიხოტს – თვით გმირის სახე კი კახი კავსაძეში დაინახა!

ამიტომაც მოგვევლინა სამართლიანობისათვის მებრძოლი და თავგანწირული გმირი ხელახლა ქართულ სცენაზე! ისიც ხომ ნიშანდობლივია, რომ შარშანდელი წელიწადი ესპანეთში „დონ კიხოტის“ იუბილესთან დაკავშირებით ფართოდ აღინიშნა.

**ნანა ღვინეფაძე**

---

# უკვდავი თემა!..

**მიგელ დე სერვანტეს საავედრა ღარიბი ოჯახის შვილი იყო. ბევრი გაჭირვებაც გადაიტანა. ომში ცალი ხელი დაკარგა, მერე მეკობრეების ტყვეობაში აღმოჩნდა. რამდენჯერმე უშედეგოდ სცადა გაქცევა. მის მშობლებს ფული არ ჰქონდათ, რომ გამოესყიდათ. 10 წლის წვალების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ხან შიკრიკი იყო, ხან გადასახადების ამკრეფი. მუდამ ვალებში მყოფი ციხეში მოხვდა და სწორედ იქ დაწერა საოცარი ნაწარმოები „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი“.**

ციხეში დაიწერა მხიარული, სევდიანი და სულიერებით აღსავსე ნაწარმოები. მთავარ გმირს თავში უცნაური აზრი მოუვიდა. საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნია მოგზაური რაინდი გამხდარიყო, ცხენზე ამხედრებულს იარაღი აესხა და ფათერაკების საძებნად კიდით-კიდემდე დაევლო მთელი ქვეყანა. ძირფესვიანად აღმოეფხვრა ყოველგვარი უსამართლობა და ათასნაირ განსაცდელსა თუ გაჭირვებასთან ჭიდილში სახელი და დიდება მოეხვეჭა...

დეილ ვასერმანისა და ჯო დერიონის პიესა „ლამანჩელი“ (მიუზიკლის კომპოზიტორი მიჩ ლიძ, ამ 30-ოდე წლის წინათ გიგა ლორთქიფანიძემ აღმოაჩინა. საგანგებოდ რიგაში წავიდა პიესის და მუსიკის პარტიტურის ჩამოსატანად და გადაწყვიტა რუსთავის თეატრში დაედგა სპექტაკლი, მაგრამ კინომ შეუშალა ხელი. შემდეგ რეჟისორებმა ნუგზარ გაჩავამ და გია ანთაძემ განახორციელეს ამ პიესის დადგმა.

დონ კიხოტი იყო ოთარ მეღვინეთუხუცესი, სანჩო – ლეო ანთაძე, დულსინეა – ზაზა ლებანიძე. ამ შესანიშნავი მსახიობების წყალობით სპექტაკლმა საკმაო წარმატება მოიპოვა.

**– სერვანტესმა ეს ნაწარმოები იმ რომანების საწინააღმდეგოდ დაწერა, სადაც რაინდების გმირული თავგადასავლებია აღწერილი, – გვესაუბრება ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესი, დონ კიხოტის პირველი შემსრულებელი ქართულ სცენაზე – მე ვფიქრობ, მისი შექმნის იდეა თვითირონიიდან დაიბადა. ყოველთვის სულიერებისკენ და სისუფთავისკენ მიისწრაფვოდა, ცხოვრება კი სულ ჩაგრავდა. ალბათ, თავის ბედს ცოტა სასაცილოდ ხედავდა, ამიტომ გაჩნდა ასეთი გმირი, რომელსაც უნდა სიკეთე აკეთოს, მაგრამ პირიქით გამოსდის. უნდა ბოროტება მოსპოს და ამისთვის იბრძვის, მაგრამ მარტო კაცია და რა უნდა მოახერხოს? პიესაში მოგვხიბლა იმან, რომ თავად ნაწარმოების პოეტურობას მუსიკალური მხარეც უწყობდა ხელს. მოქმედება ციხეში ხდება და გოგი გუნიას დეკორაციები სახიერი იყო, სერვანტესმაც ხომ ციხეში დაწერა რომანი. დიდი სიყვარული გვქონდა ამ ნაწარმოების მიმართ და ამიტომ არის დონ კიხოტი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი როლი. იმისთანა ანდამატი აქვს, რომ შეუძლებელია არ გიყვარდეს.**

**სალვადორ დალის აქვს ნახატი, სადაც დონ კიხოტს შუბის წვერზე პეპელა უზის. აი, ეს არის ჩემთვის დონ კიხოტი! ამ როლზე მუშაობისას იმისკენ ვისწრაფვოდი, რომ მებრძოლი და წმინდა ადამიანი მეჩვენებინა. ასეთი იშვიათი პიროვნებები გამოისყიდიან აუარებელ ცოდვას ჩვენს გარშემო. ისინი იცავენ და ინახავენ სიწმინდეს, სისუფთავეს, პრინციპულობას, სამართლიანობას. ალბათ, ყოველთვის ვერ გაიმარჯვებენ, მაგრამ ბრძოლა აუცილებელია!**

– ამ როლმა ბევრი სიხარული მოგიტანათ და ახლა, როცა იხსენებთ, კვლავ გაქვთ ის განცდა?





**– ზოგჯერ იმ ემოციების თითქმის იმავე სიმძაფრით აღდგენაც კი შეგიძლია, როცა ამაზე დაფიქრდები. ეს უფრო მაშინ ხდება, როდესაც მარტო ხარ. არტისტისთვის ყველაზე ძვირფასი მაინც თავად პროცესია. ის სიხარული და სიამოვნება, რაც პროცესს ახლავს ტაშზე, პრემიებზე, ალიარებაზე მეტია. ისე, რაც განმიცდია ჩემთან არის, სად გამექცევა.**

* * *

შარშან, ნოემბრის თვეში სანდრო ახმეტელის სახელობის მუნიციპალურმა დრამატულმა თეატრმა პრემიერად მიუზიკლი „ლამანჩელი“ შესთავაზა მაყურებელს. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის დავით ანდღულაძის შეთავაზებით სპექტაკლი დადგა გიგა ლორთქიფანიძემ, რომელმაც თავისი დიდი ხნის სურვილი აისრულა. თეატრის მხრიდან ეს იყო კეთილი ნება და პატივისცემის გამოხატვა ბატონი გიგას მიმართ და რეპერტუარს კიდევ ერთი შესანიშნავი სპექტაკლი შეემატა. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუზიკლი „ცოცხალი“ შესრულებით მიდის.

**დავით ანდღულაძე: – ადამიანი იდეალების გარეშე ვერ იარსებებს, დღევანდელი რეალობა კი სამწუხაროდ ასეთია – ახალგაზრდა ოცნებობს იმაზე, რათა გახდეს მეზაჟე ან ბანკირი, ან რაიმე შემოსავლიანი ადგილი დაიკავოს, მათთვის ორიენტირები ხდებიან საეჭვო დონის პოლიტიკოსები, ვისაც რეკლამას ტელევიზია და პრესა უწევს. ყველაფერი ინტრიგაზეა აგებული. ამ დროს ახალგაზრდებისთვის სწორედ დონ კიხოტები უნდა გახდნენ იდეალები. მე ძალიან მახარებს, რომ ახმეტელის თეატრში (მეშვიდე სეზონია ვმუშაობ) მაყურებლების დაახლოებით 70 პროცენტი ახალგაზრდობაა. ჩვენი თეატრის და საერთოდ თეატრის მთავარი ამოცანა ისაა, რომ მაღალმხატვრული და იდეალებზე დაფუძნებული ნაწარმოებები წარმოაჩინოს, რომლებიც კვალს დატოვებენ მაყურებლის სულში. ახმეტელის თეატრი ამ სპექტაკლით კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის პოზიციას.**

სპექტაკლი გამოირჩევა მსახიობთა ჩინებული შესრულებით, მათ რთული ვოკალური პარტიებიც წარმატებით დაძლიეს. ნუგზარ ყურაშვილი (დონ კიხოტი) ცნობილი ოსტატია, კახა გოგიძე (სანჩო) ნიჭიერი კაცია, იგი ახალციხის თეატრიდან მოიწვია გიგა ლორთქიფანიძემ, მაია ზედგინიძე (დულსინეა) როგორც მსახიობი კი ახლად დაიბადა.

**– დონ კიხოტი უკვდავი თემაა,** – ბრძანებს რეჟისორი **გიგა ლორთქიფანიძე**, – მე რომ მკითხოთ, საერთოდ კაცობრიობა იწყება დონ კიხოტიდან. ქრისტეს შემდეგ ასეთი წმინდა კაცი არ მეგულება მსოფლიოს ისტორიაში. ჩემთვის ეს სპექტაკლი აქციაა, რათა დავუბრუნდეთ სიწმინდეს, სილამაზეს, მშვენიერებას. ვიყოთ კეთილები, ერთმანეთის მოსიყვარულენი და რაც მთავარია, ბრძოლის უნარი გვქონდეს სიკეთისათვის და სიმართლისათვის. როდესაც ადამიანი თავის აზროვნებით და ზნეობით წინ უსწრებს კაცობრიობას, იგი აღიქმება როგორც არაპრაქტიკული და გიჟი. ერთხელ ვთქვი, რომ თუ ჩემი სტუდენტი მეტყვის დონ კიხოტი გიჟიაო, მასთან ურთიერთობას შევწყვეტ. მე მგონი, არავინაა მაგისთანა ჭკვიანი!

... მსახიობი სპექტაკლის შემდეგ თუ შინაგანად არ დაიცალა ის უკმაყოფილოა, ხოლო თუ სათქმელი ბოლომდე მიიტანა მაყურებელთან, მაშინ ბედნიერია. ნუგზარ ყურაშვილი ბედნიერი მსახიობია.

**– ნაწარმოები ამაღლებულია და თანადროული. ასეთია კლასიკის ხვედრი. დღევანდელ გაუცხოებულ გარემოში ეს კაცი საოცრად მომხიბლავია თავისი გულწრფელობით და ბავშვურობით. თეატრი ჩემი აზრით, რაღაც დოზით ბავშვობაში მიბრუნებაც არის. „ლამანჩელი“ ლამაზი ზღაპარია. არ არის აუცილებელი ყოველთვის რეალობაში ვიცხოვროთ, ამიტომაც თანაუგრძნობს მაყურებელი უცნაურ რაინდს.**

**იხ. მე-9 გვ.**

# უკვდავი ფუმა!..

(მერვე გვერდიდან)

**ზოგჯერ ხდება ისე, რომ მთავარ როლს თამაშობ, მაგრამ როლი არ გიყვარს, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გაქვს. დონ კიხოტი ჩემთვის სიმპატიურიც არის და საყვარელიც.**

კახა გოგიძემ 30 მთავარი გმირის სახე ითამაშა სხვადასხვა თეატრების სცენებზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საყვარელი როლი არ ჰქონდა. სწორედ სანჩო ქცეულა მისთვის პირველ საყვარელ გმირად...

**— ამ როლზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ გაირკვა, რომ სანჩო ჩემში ზის. ამას მუშაობის დროს მივხვდი, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო სახეა, რომ გამიჭირდა. ძნელი იყო სტერეოტიპების დარღვევა, ამას ვერ გავექეცი. ყველას ნათამაშევი თან დამდევდა, მეტადრე ჩემი ძალიან საყვარელი და ახლო მეგობრის მამუკა კიკალეიშვილის სახე ამ როლში, ამიტომ გავაცოცხლე მისი ზოგიერთი თვისება. მახსოვს ბატონი გიგას სიტყვები ბოლო „პრაგონზე“**

**ამის მერე, მე ველარაფერს გეტყვით. აბა, თქვენ იცით, თავი არ მომჭრათ და არ მომკლათ. პრემიერის შემდეგ მომილოცა და დიდი მადლობა გადამიხადა. ამაზე მეტი დაფასება, ალბათ, არ არსებობს.**

ქარის წისქვილებთან მებრძოლი მწუხარე სახის რაინდი დონ კიხოტ ლამანჩელი და მისი ერთგული მსახური სანჩო კვლავ იძლევიან სულიერ საზრდოს და ასე იქნება მუდამ, ოღონდ არ დავივიწყოთ ისინი. აი, რა ბრძანა სპექტაკლის შემდეგ ბატონმა **თამაზ კვაჭანტირაძემ.**

**— ბედნიერი კაცი ვარ, რომ ვნახე ამ დიდი იდეის კიდევ ერთი გამონაშუქი. ვინ იცის, დღეს, ამ პრაგმატულ გარემოში ყველაზე აქტუალური სწორედ დონკიხოტობა იყოს. ეს სიგიჟე არ არის, ეს ღვთაებრივი სიშლეგეა. გაუმარჯოს ღვთაებრივ სიშლეგეს!**



**ნანული ზოტიკიშვილი**

სურათებზე: სცენები სპექტაკლიდან.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

**◎ ხელოვნება**

# ...იყო ერთი მსახიობი ქალი...



**...იყო ერთი მსახიობი ქალი — ასული საამაყო თეატრალური ოჯახისა — დედა მაკო საფაროვა, მამა — ვასო აბაშიძე — პირმშოს მშობლებმა უწოდეს ანასტასია — ქართული საზოგადოებრიობა კი მას მოფერებით ტასოს ეძახდა. ტასო შინ თუ ტასო სცენაზე... დიახ, სცენაზე — მაშ დიდი მსახიობების შვილს „სხვა რა გზა“ ჰქონდა — ნახევარი საუკუნე ილვაწა ქართულ თეატრში; მართალია, მისი სახელოვნო განათლება მუსიკით დაიწყო, — გიმნაზიადამთავრებული ქალიშვილი პარიზის კონსერვატორიაში ეზიარა მუსიკალურ სამყაროს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებისთანავე გულმა სცენისკენ გაუწია.**

29 მარტი 125 წლის ტასო აბაშიძის დაბადების დღეა — ამ თარიღს შეგვახსენებს ახალი საუკუნის ქართველობას თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის წლევანდელი კალენდარი, რომლის რედაქტორია ცნობილი თეატრმცოდნე ალექსანდრე შალუტაშვილი.

წლების მანძილზე ტასო აბაშიძე მოღვაწეობდა თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, თბილისის მოგზაურთა დასის თეატრებში. მისი ბოლო სადგური კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრი იყო.

..ბიოგრაფიულ ცნობარში ხაზგასმულია ის, რომ ტასო ერთნაირი სიძლიერითასრულებდა როგორც ტრაგიკულ, ისე დრამატულ და კომიკურ როლებს — მათი რიცხვი კი 250-ზე მეტია! დავასახელოთ რამდენიმე გამორჩეული სცენური იერსახე: ნუცა (ვ. გუნიას „ალლუმი“-ძ, გაიანე (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“-ძ, ელიკო (ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“-ძ, რიფსიმე (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“-ძ, ნატალია (ა. ოსტროვსკის „ბედნიერი დღე“-ძ, მარია (ნ. გოგოლის „რევიზორი“-ძ, ოფელია (შექსპირის „ჰამლეტი“-ძ, კლეოპატრა (ბ. შოუს „კეისარი და კლეოპატრა“-ძ, ფრაუ მილერი (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“-ძ, მარსელინა (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“-ძ, პასკვალა (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“-ძ — იგი მომხიბვლელი იყო როგორც დრამატული თეატრის სცენაზე, ასევე ოპერებსა და ოპერეტებში — კარმენის პარტიაც კი შეუსრულებია ბიზეს ოპერაში, პერიკოლა-ოფენბახის „მოჭიკჭიკე ჩიტებში“, გულჩორა — ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალანში“ — ლეგენდად შემორჩა ტასო აბაშიძის კისკისის ხელოვნება — მას კიდეც ესესხებოდნენ თურმე დამწყები მსახიობი ქალები, რათა მათ ნაცვლად გადაეკისკისებია კულისებში...

კინოშიც დატოვა თავისი კვალი — ალექსანდრე წუწუნავას ფილმში „ხანუმა“, ქაბატოს თამაშობს. საქართველოს სახალხო არტისტის შთაგონებული პორტრეტი შეუქმნია ცნობილ მხატვარს სიდამონ-ერისთავს — მსახიობი სარკის წინ დამჯდარა, თითქოს სურდა სარკეში დაენახა მისი სცენური სახეები... ანუ წარსული — აი, მისი ნაღვლიანი გამოხედვის მიზეზი.

**ნანა ღვინეფაძე**

**◎ პრემიერები**

# გაუთლელი, უზრდელი, ხეპრე და... ტყის დათვი

**„სარდაფის“ კამერულ სცენაზე თამაშობს ოთხი მსახიობი... ერთმოქმედებიანი კომედია იწყება ლოცვით...**

რა შეიძლება დღეს შესთხოვო წმინდა მარიამს? — დღეგრძელობა, კეთილდღეობა, ფული, სიყვარული... რა შეიძლება ისურვოს ქალმა, რომელიც „იმარხავს თავს ოთხ კედელში? — სექსი...“ ვინ შეიძლება შეცვალოს ამ მკვდარი სულის უინტერესო არსებობა? — მამაკაცმა, რომელიც ჩეხოვის ენით უნდა იყოს „გაუთლელი, ურჩხული, ხეპრე და... ტყის დათვი“... ვინ არის ჩეხოვის ეს მკვდარი პერსონაჟი? — ერთი დეპრესიული ქვრივი ნატაშა, რომელიც მომაბეზრებლად საუბრობს სიწმინდეზე, ერთგულებაზე... თუმცა მისი ერთგულება ისეთივე ყალბი და მოჩვენებითია, როგორც მთელი ცხოვრება... მაგრამ რა ქნას? ისევ ეს ცრუ ნიღაბი ურჩევნია, თავისი უსიამოვნო რეალობის აღიარებას... ცრუ პათოსი, არაფრისმთქმელი ფილოსოფიური მონოლოგი — ეს მისი ცხოვრების თანამგზავრი რემარკებია... რა გასაკვირია, ჩეხოვის ასეთი კომიკური ტიპაჟები თანამედროვეობაში მრავლად არიან. მათ არ ემორჩილება არც დრო და არც სივრცითი განზომილება... ისინი კარგად თამაშობენ როგორც თეატრალურ, ასევე რეალურ ავანსცენაზე და, მათი შეცნობა ჩვენში მხოლოდ სიბრალულს იწვევს. ასეთ ქალებს „ხეპრე“ მამაკაცი, ანუ „დათვი“ უცენზუროდ ახასიათებს: ის არის **„მანჭია, გლეხი, შურიანი, ჭორიკანა, მატყუარა, წვრილმანი და აღმაშფოთებელია თავისი ლოგიკით... შეხედავ პოეტურ ქმნილებას და ქალღმერთია პირდაპირ, მერე ჩახედავ სულში და, სუფთა, სუფთა ნიანგი. თავი მომჭერი თუ ასეთ ქალს, გარდა კატებისა და ძაღლებისა, ვინმეს სიყვარული შეეძლოს...“**

სიყვარულის ცნება ნატაშას ქალურ ბუნებაში, მიწურული შემოდგომის ერთ სევდიან საღამოს, რევოლუციურ გარდატეხას განაპირობებს... მისი რევოლუცია უცხო მამაკაცია — მოულოდნელად გამოჩენილი „ტყის დათვი“, რომელიც გონებას აურევს, ყველას დაავიწყებს და სექსუალურ ვნებებს გაუღვიძებს...

სიუჟეტურ ქარგაში, ერთადერთი საერთო განცდა, რაც ანტონ ჩეხოვის ცოცხალ გმირებს გააჩნიათ, არის სულიერი სიმარტოვის შეგრძნება. მარტოსულებს ცხოვრებამ მოჩვენებითი ილუზიებით თავბრუ დაახვია, იმ ჯოჯოხეთურ სახლში გამოამწყვდია, სადაც კედლებს ყურები აქვს და ჰაერიც კი მოწამლულია. ისინი ჩვენი ახლობლები არიან, რომლებზეც არაჩვეულებრივად გვესაუბრება რეჟისორი რამაზ ზურაბაშვილი, გვიყვება მათსავე ცხოვრების ისტორიას იუმორისტული პასაჟებით, ხანაც ირონიული ტონით, რათა ჩვენ ასეთ ადამიანებს მსუბუქად მაინც თანადგომა გამოვუცხადოთ. ჩეხოვის „დათვი“ — სარდაფში ეს რამაზ ზურაბაშვილის სადებიუტო რეჟისორული ნამუშევარია, რომელიც ონისე ონიანის, თამრიკო ბუხრიკაშვილის, დავით ხახიძისა და კეკე ქაიხოსროშვილის საინტერესოდ შექმნილ აქტიორულ სახეებში გაიხსნა. ახალგაზრდა რეჟისორი პოლონა რუდჩიკის საოცრად ლამაზი სცენოგრაფიის ფონზე წარმოგვიდგენს მისი რჩეული გმირების სევდიან კომედიას...

რობერტ სტურუას რეჟისორული ნამუშევარი **„12 განრისხებული მამაკაცი“** ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორის სიდნეი ლუმეტის გახმაურებული ფილმის თეატრალური რიმეიკია. რეჯინალდ როუზის ამავე სახელწოდების დეტექტიური პიესის ფაბულა საინტერესო აქცენტებით, თანამედროვეობას პირდაპირ უკავშირდება — ნაფიც მსაჯულთა საზოგადოებაში, როცა ადამიანის სიცოცხლეზეა საუბარი, როგორ უპირისპირდება ერთმანეთს ანტაგონისტ მოსამართლეთა მორალი და ფსევდომორალი. ეს სპექტაკლი თავისი აქტუალობით, არა მხოლოდ გენიალური რეჟისორის, არამედ დღევანდელი საზოგადოების ირონიულ-კრიტიკული დამოკიდებულებაა იმ ხალხის მიმართ, ვინც მოსამართლედ არ გამოდგება, ვინც სხვის ბედს განაგებს და ვინც კანონის ენით გვესაუბრება.

რუსთაველის თეატრში 12 განრისხებული მამაკაცის საიდუმლო სერობა ყოველგვარი მორალური თუ ზნეობრივი კანონების ჩარჩოებს



სცდება... სცენაზე დგას 12 ნაფიცი მსაჯული, რომელიც ცდილობს „სამართალი“ უმრავლესობის ერთსულოვნებით აღასრულოს, არადა ჭეშმარიტებას მარტო უმრავლესობის აზრით ხომ ვერ დაადგენ?!.. აქ, დაძაბული დიალოგი დეტექტიური სიუჟეტის განვითარების თითქმის ერთადერთ ხერხად არის ქცეული. აქ, მოსამართლეებმა ოღონდ საკუთარი სურვილები და კაპრიზები დაიკმაყოფილონ და, მზად არიან უკადრებელი იკადრონ — უდანაშაულო ადამიანი დამნაშავედ გამოაცხადონ, ნორმალური გიჟად შერაცხონ... რა მნიშვნელობა აქვს პროფესიას, უზრალო პრინციპია, — როცა ადამიანი ბუნებით სადისტია, შეუძლებელია მან სწორი აზრი დააფიქსიროს, სწორად იმსჯელოს და სწორი სამართალი გამოიტანოს. ეს არის სპექტაკლის ვერდიქტი და პიესის ძირითადი არსი.

სიმბოლურია ის, რომ პიესაში ავტორმა არც სახელი და არც ეროვნება არგუნა თავის ანტაგონისტ პერსონაჟებს, ანუ ამით უპიროვნო მასას დაუპირისპირდა თავისი სამართლებრივი პრინციპით და პირადი პასუხისმგებლობის პიროვნით. ეს პრობლემა კი სპექტაკლის რეჟისორმა თანამედროვეობაში მნიშვნელოვანი აქცენტებით გადმოიტანა, შესანიშნავი გათამაშებით, 12 მსახიობს შორის საიდუმლო სერობა შემოგვთავაზა.

ერთმოქმედებიან სპექტაკლში, ყველაზე ზნეობრივ გმირს, 12 ნაფიც მსაჯულს შორის, ზურაბ ინგოროყვა ანსახიერებს. ამ მეამბოხე, დაუმორჩილებელ პერსონაჟში, ანუ მერვე მსაჯულში პიროვნება არსებობს, და ეს ძლიერი პიროვნება უკვე ეწინააღმდეგება სხვა დანარჩენს — სოსო აბრამიშვილის, დავით კვირცხალიას, მურმან ჯინორიას, თემურ ჭიჭინაძის, ლევან ხურციას, ირაკლი მაჭარაშვილის, დავით დარჩიას, დავით პაპუაშვილის, ტრისტან სარალიძის, ბაჩო ჩაჩიბაიას და ვანო გოგიტიძის თეატრალურ სახეებს — არშემდგარ მსაჯულებს.



ლევან წულაძე რთულ, ფსიქოლოგიურ ფანტასტიკაზე მუშაობს... ამზადებს უცნაური, თუმცა საინტერესო ჟანრის პიესის პრემიერას... აკაკი ხიდაშელის **„მედეასა და იაზონის თავისუფლება“** თანამედროვეობისა და ანტიკური ხანის აქტუალურ პრობლემებს შეეხება — ბაქტერიოლოგიური ომი, რომელიც დღეს აპოკალიფსურ შეგრძნებებს იწვევს ადამიანებში და კოლხი მედეას ტრაგიკული მითის უარყოფა. პრობლემის გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია სიუჟეტის თემა — რა ჩარჩოებში ექცევა ადამიანების პირადი არჩევანის თავისუფლება?! — როგორც ცნობილია, მამაკაცი გონებით აღიქვამს მოვლენებს, ქალი — ინტუიციით, და როგორც ირკვევა, ხშირად გონება უფრო ცდება ვიდრე, გული.

— ჩემთვის საინტერესოა, როგორ დაიწყო კაცობრიობამ მსგავს მოსაზრებებთან თამაში. — ამბობს რეჟისორი ლევან წულაძე. — ბაქტერიოლოგიური ომის თემა ჯერ კიდევ 60-იან წლებში გაჩნდა, მაშინ ხალხში არასერიოზული დამოკიდებულება არსებობდა ამ პრობლემისადმი, რომელმაც რეალობაში საშიში სახე მიიღო. ეს პიესა არის მეცნიერზე, რომელიც ცხოვრობს თავის საყვარელ მანდილოსანთან ერთად და ეს ქალი თვლის, რომ მათი ცხოვრება იაზონისა და მედეას ინკარნაციაა. ეს მეცნიერი გამოიგონებს საშინელ იარაღს და პიესის მსვლელობისას ირკვევა, რომ ამ ადამიანს აქვს საშინელი ზრახვები, თავიდან დაიწყოს კაცობრიობის ისტორია, მოსპოს დედამიწაზე ხალხი... მის ამ ვერაგულ განზრახვას ეწირება მედეა, მაგრამ ეს არ არის თვითმკვლელობა, ეს უფრო მისი თვითშეწირვაა, კაცობრიობის ბედნიერებისა და სიმშვიდისათვის. მედეას თემა აქ, სიმბოლურია, რადგანაც პიესის ავტორი, აკაკი ხიდაშელი თვლის, რომ მედეას ცილი დასწამეს ანტიკურ პიესაში, და ეს მართლაც ასეა, მას ბავშვები არ მოუკლავს, ევრიპიდემ ეს დაწერა სიუჟეტის გამძაფრებისთვის... და ჩვენი მხრიდან, ეს პიესა არის მცდელობა დოკუმენტალურ, რეალურ, ისტორიულ, ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, მედეას ჩამოვწმინდოთ ეს საშინელი სახელი.

**— ბატონო ლევან, რატომ დაინტერესდით ამ რთული, ფსიქოლოგიური ფანტასტიკით?**

— იცით რა, ეს ჩემთვის მართლაც ძალიან საინტერესოა, და კიდევ უფრო დამაინტერესა მისმა ინსცენირებამ. მერე, როცა მსახიობი არის ავტორი, ესეც რაღაცას ნიშნავს... თავიდან აკაკი ხიდაშელმა წამიკითხა და, ფაქტიურად, უკვე ითამაშა ჩემს წინაშე იმდენად ჰქონდა ეს ყველაფერი განცდილი...

...მიუხედავად იმისა, რომ ეს ფსიქოლოგიური ფანტასტიკა აკაკი ხიდაშელს წინასწარ ჰქონდა არტისტულად გააზრებული, მის ფსიქოლოგიურ პორტრეტში რეჟისორი მაინც რაღაცეებს ცვლის და მედეას ქალურ ნებას კი არ ეხება.

თეატრალურ სარდაფში (რუსთაველზე) სულ მალე პრემიერა შედგება... აკაკი ხიდაშელისა და თეო თავაძის ტრაგიკული გმირები იაზონისა და მედეას პირადი არჩევანის თავისუფლებაში მოექცევიან.

**მზექა მახარაძე**

**სურათებზე: სცენები სპექტაკლებიდან — ჩეხოვის „დათვი“ და რეჯინალდ როზის „12 განრისხებული მამაკაცი“.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული დემოკრატიის ფუჭი ბრუნები

**„ნებისმიერი მთავრობა, რომელიც ეცდება დიალოგის ხელოვნურად შეზღუდვას, აუცილებლად დამარცხდება“**

**მიხეილ სააკაშვილი**

**საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა ოპოზიციასთან დებატებში მონაწილეობაზე. ოპოზიციონერი პოლიტიკოსების და უბრალო მოკვდავთა აზრით, ხელისუფლების დემარშს განაპირობებს ის, რომ მას უკვე არაფრით აღარ შეუძლია გასცეს პასუხი ოპონენტების „მომაკვდინებელ“ არგუმენტებს. მაგრამ არსებობს აზრი, რომ „ზედა ფენებში“ მიღებული გადაწყვეტილება ნიშნავს ქვეყანაში ყოველგვარი სხვაგვარად აზროვნებისათვის ბოიკოტის გამოცხადებას. ოპოზიციასთან ტელედებატებში მონაწილეობაზე უარი ოფიციალურად გამოაცხადა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი არძელაძემ.**

რომელიმე სხვა ქვეყანაში ასეთი განცხადება, ალბათ, არ გამოიწვევდა პოლიტიკოსების, ინტელიგენციისა და უბრალო ადამიანების მწვავე რეაქციას. მაგრამ შეუძლებელია ეს არ მომხდარიყო საქართველოში, ქვეყანაში, სადაც ბოლო 11 წლის განმავლობაში დაამხეს ორი პრეზიდენტი და რომლის მოსახლეობაც ძალზე პოლიტიზებულია — უბრალო ბაზრის მოვაჭრეები იქნებიან ისინი, დიასახლისები თუ სანტექნიკოსები.

დღეს ხალხი იხსენებს პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვებს: „ჩვენი ძალა იმაშია, რომ არ გვეშინია ნებისმიერი დისკუსიების და დებატების, რადგან, ჩვენ დღეს თქვენს გვერდით ვდგავართ“; „გპირდებით, რომ გავიმარჯვებთ ყველა დებატებში“; „ჭეშმარიტება იბადება კამათში. და ნებისმიერი მთავრობა, რომელიც ეცდება დისკუსიების ხელოვნურად შეზღუდვას, აუცილებლად დამარცხდება“. ეს ყველაფერი ანბანური ჭეშმარიტებაა. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ტელედებატების წყალობით, რომლებითაც შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს სავსე იყო ქართული ტელეეთერი, გახდა კიდეც სააკაშვილი და მისი გუნდი ფართოდ ცნობილი მთელს ქვეყანაში, რამაც შეუწყო კიდეც ხელი ხელისუფლების სათავეში მათ მისვლას.

რა შეიცვალა ამ დაახლოებით ორი წლის განმავლობაში „მმართველთა“ მსოფლმხედველობაში, რომლებსაც თავის დროზე საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ზარზეიმით შეეგება? რატომ მოხდა, რომ გზების, ხიდების, გვირაბების, სკოლების, შადრევნების, სკვერების მშენებლობის, პენსიების დროულად გაცემისა და ზოგიერთი სხვა პოზიტიური ცვლილებების ფონზე, ქვეყანა მიტინგომანიამ მოიცვა, სააკაშვილის და მმართველი პარტიის რეიტინგი სულ უფრო ეცემა, ოპოზიცია კი ახალ-ახალ მომხრეებს პოულობს? რა არის ეს — ხალხის უმადურობა, თუ ობიექტური რეალობა?

ალბათ, უფრო მეორე: ხელისუფლებას, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ სახელმწიფოს სათავეში მოსვლისას, ხალხს პირდებოდა ტოტალურ დემოკრატიასა და სამართლიანობას, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას. მაგრამ როგორც კი აღმოჩნდა კვარცხლბეკზე, იგი ვეღარ ხედავს თავისი ხალხის გასაჭირს, აღარ ესმის არც ხალხის და არც ოპონენტების, რომლებიც გამოხატავენ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ნება-სურვილს და აზრს. იქნებ, სწორედ ამანაც განაპირობა ის, რომ მმართველმა პარტიამ უარი თქვა ოპოზიციასთან გულახდილ დისკუსიაზე.

ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ ოპოზიციის ბოიკოტი იმასაც უკავშირდება, რომ ხელისუფლებას არ სურს კიდევ უფრო პოპულარული გახადოს თავისი ოპონენტები, რომელთა უმეტესობა დამაჯერებლად იმარჯვებს ტელედებატების დროს. მაგრამ, როგორც ზუსტად შენიშნა ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა და სცენარისტმა მერაბ კოკოჩაშვილმა, ტელედებატებზე უარის თქმა არის კონფრონტაციისკენ მიმავალი პირდაპირი გზა: როცა არ არსებობს დიალოგი, ამას ყოველთვის მოჰყვება ბრძოლა და ომი.

ასე რომ, ხელისუფლების დემარში დროთა განმავლობაში, როგორც იტყვიან, მის წინააღმდეგვე ამოქმედდება. ვგულისხმობთ, არა მარტო ოპოზიციური აზრის უგულებელყოფას, არამედ იმასაც, რომ ხელისუფლებას არ ექმნება სერიოზული ასპარეზი თვითრეკლამისთვის. წარმოქმნილი ვაკუუმის შევსება მოუწევთ პრეზიდენტის ბრიფინგებით, მზრუნველობას მოკლებული ბავშვების სახლებსა და მოხუცთა უფასო სასადილოებში მისი ვიზიტებით, სააკაშვილის გამოსვლებით სპორტული მოედნების გახსნის დროს და ა. შ.

თუმცა, პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის პროგნოზით, ხელისუფლება ალბათ დაარღვევს დუმილს, რადგან ეს მისთვის აშკარად არ იქნება ხელსაყრელი. ტელეკომპანია „იმედის“ ერთ-ერთ თოქშოუში მან განაცხადა: „ეს ხელისუფლება შეუქმნის დისკომფორტს, რადგან დებატები რეკლამაა. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ეს ჯერჯერობით არ იცის. მსოფლიოში ვერსად ვერ ნახავთ ისეთ ტელევიზიას, როგორიც საქართველოშია — აქ პოლიტიკას დღე-ღამეში 24 საათი ეთმობა. ამით ყველა პოლიტიკოსია განებივრებული. ტელეგადაცემებში მონაწილეობა ასე ხელმისაწვდომი რომ არ ყოფილიყო, ისინი, ალბათ, ამაზე უარს არ იტყოდნენ“.

სხვათა შორის, ეგრეთ წოდებული „ვარდების ხავერდოვანი რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს სამ წამყვან ტელეკომპანიაში დახურეს ოთხი ყველაზე მწვავე და მაღალრეიტინგული პოლიტიკური პროგრამა. ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერ მოიცალა ქვეყანაში პოპულარული ტელეკომპანიის „იმედისთვის“, რომელიც უზარმაზარ აუდიტორიას აგროვებს, კერძოდ, ამ ტელეარხის თოქშოუები „რე-აქცია“, და „პირველები“. იმასაც ამბობენ, რომ მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა მინისტრებს, გუბერნატორებს და მმართველი პარტიის წარმომადგენელ დეპუტატებს აუკრძალეს იმ ტელეგადაცემებში მონაწილეობა, რომელშიც ოპოზიციური პოლიტიკოსებიც გამოდიან.

სააკაშვილისა და მისი გუნდის ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებას უბრალოდ, არ ძალუძს გასცეს პასუხი მათ ხშირ შემთხვევაში, სამართლიან მოთხოვნებს და საყვედურებს, და ამიტომაც, ერთი შეხედვით, აირჩია მარტივი გზა — დუმილი. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელები და მათი გუნდის წევრები კარგავენ ფორმას, კავშირს ხალხთან, პერსპექტივისთვის კი დაკარგავენ იმასაც, რისთვისაც ასე აქტიურად იბრძოდნენ — ძალაუფლებას.

საქართველოში, რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, რომლებიც არ იზიარებენ ასეთ პოზიციას. მათ მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებას უბრალოდ მობეზრდა ოპოზიციის გაუთავებელი ლაპარაკი ერთსა და იმავე თემაზე, და დროა, ყოველივე ამას ბოლო მოეღოს. მათი აზრით, ოპოზიციის გადარწმუნება შეუძლებელია, და ამიტომაც, ხელისუფლების რეაქცია სავსებით ადეკვატურია.

დაახლოებით ასევე მსჯელობს არველაძეც. გარდა ამისა, მან ოპოზიცია დაადანაშაულა „ისტერიის ილუზიისა და მასობრივი საპროტესტო აქციების შექმნაში“, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი — ამ პროცესების აქტიურ მხარდაჭერაში. არველაძე დარწმუნებულია: ოპოზიციის ცდა, გამოეყვანა ხალხი ქუჩებში, ჩაიშალა, რადგან, ადამიანები მათ მხარს არ უჭერენ, ხალხს ხომ არა აქვს სერიოზული საფუძველი უკმაყოფილებისთვის.

რაც შეეხება დებატებს, „ხელისუფლება არ ილაპარაკებს გარკვეულ თემებზე“. ასეთ თემებად იგულისხმება საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს თვითნებობა, სასამართლო ხელისუფლების სისუსტე, მცირე მეწარმეობის ინტერესების შელახვა, აგრეთვე, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები სხვადასხვა სფეროებში.

ერთი სიტყვით, საქართველოს მმართველმა ზედა ფენებმა აშკარად თქვეს უარი თვით სახალხო ხელისუფლების იმიჯზეც კი და იქცნენ რაღაც ხელშეუვალთა კასტად. ამ ადამიანებმა ძალზე სწრაფად აითვისეს მკაცრი იმპერატივი, და, ყოველივე ის, რასაც ამბობენ, მათი ღრმა რწმენით, წმინდა წყლის ჭეშმარიტებაა.

ზოგიერთებში ასეთი მდგომარეობა შემწყნარებლურ ღიმილს იწვევს, სხვებში კი გაღიზიანებას და აგრესიას. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი საქართველოს სწორი გზით მიუძღვებიან და ქვეყანას სჭირდება „რკინის ხელი“. ზოგიც საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტს სიამაყით ადარებს სტალინს და მასში ხალხების ბელადის საქმის გამგრძელებელს ხედავს.

ამავე დროს კი საქართველოს რამდენიმე დიდი ოპოზიციური პარტია ყველა განაწყენებულსა და უკმაყოფილოს იწვევს 30 მარტს თბილისში დანიშნულ მიტინგზე. ოპოზიციის ლიდერების განცხადებით, საპროტესტო აქცია ძალზე მასშტაბური იქნება. თუმცა, შესაძლოა, ეს მთლად ასე არ მოხდეს: ყველაზე გავლენიანი პარტიების ლიდერები უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ მიტინგზე არ სურთ იხილონ პრორუსულად განწყობილი ოპოზიციის წარმომადგენლები, და, შესაბამისად, მათი მხარდამჭერი კონტინგენტი.

ერთი სიტყვით, როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია, ერთი და იმავე სენითაა დაავადებული — არანაირი ტოლერანტულობა და ეგრეთ წოდებულ სხვაგვარად მოაზროვნეთა უფლებებისა და თავისუფლებათა უგულებელყოფა. მოკლედ რომ ვთქვათ, „დემოკრატია ქართულად“ სულ უფრო უმატებს ფუჭ ბრუნებს.

**ანდრეი ნიკოლაევი,**
**„როსბალტის“ საინფორმაციო სააგენტო.**

# „გაგიმარჯოს, ძვირფასო უკრაინელო დაო!“

**ერთ თვეზე მეტია, რაც საქართველოდან დავბრუნდი. ამის შემდეგ ყოველ კვირას მესმის მობილური ტელეფონით: „გამარჯობა, ძვირფასო უკრაინელო დაო, როგორ ხარ?“ ვერც კი წარმოვიდგინე, რომ ქართული ღვინოებისა და უამრავი შესანიშნავი ფოტოსურათის გარდა, სამშობლოში ამ მოგზაურობიდან ასეთი გულთბილი მეგობრობაც გამომყვებოდა.**

ჩვენი გაცნობიდან რამდენიმე დღის შემდეგ ლევანი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ფინანსისტი გამომიტყდა: „როგორც კი დაგინახე აეროპორტში, მაშინათვე გავიფიქრე, ეს ხომ ჩემი და ჩამოფრინდა!“ ამაში ლოგიკას ნუ ეძებთ. უბრალოდ, ქართველები ასეთი ხალხია — რასაც გრძნობენ, იმას ამბობენ კიდეც. თუ ქართველებს მოეწონეთ, შეიძლება აღარ გეშინოდეთ არც სიცივის, არც წყურვილის — სტუმარ-მასპინძლობის წესები ხომ მათ ყველაზე კარგად იციან.

...თბილისში, რაც თვალში მომხვდა, იყო ის, რომ ქალაქი ძალზე მოუვლელი ჩანდა.

მაგრამ ღვინის პირველი ყლუპისთანავე დავრწმუნდი, რომ ამ ქვეყნის მომავალი ძალზე ოპტიმისტურია. აი, როგორი სადღეგრძელო წარმოსთქვა თამადამ ვახშმის დროს:

„ერთ თბილ, მზიან დღეს, უფალი ხალხებს მიწებს ურიგებდა. ქართველებს დააგვიანდათ და რიგის ბოლოში აღმოჩნდნენ. ღმერთმა ყველა ერს მისცა მიწა, მარტო ქართველები დარჩნენ უმიწაწყლოდ.

— სად იყავით? — ჰკითხა ღმერთმა შავგვრემან ბიჭებს, რომლებიც დარცხვენილები მალავდნენ ზურგს უკან ყანწებს.

— როგორ თუ სად? შენს სადღეგრძელოს ვსვამდით! — გულწრფელად უპასუხეს ქართველებმა.

ეს ღმერთს მოეწონა და მან თქვა:

— არის კიდევ ერთი კუთხე, რომელსაც ჩემთვის ვინახავდი, რადგან იგი ნამდვილი სამოთხეა! მაგრამ თქვენ მომეწონეთ და გჩუქნით მას! მაშინ შევსვათ ჩვენი ტურფა საქართველოს სადღეგრძელო!“.

სამშობლო, ალბათ, მარტო აქ თუ უყვართ ასე. ქართველთა წარმოდგენით კავკასიის მთები ეროტიკულ თეთრეულში გამოწყობილი ლამაზი ქალია, შავი ზღვა ყველაზე ლამაზია და, ალბათ, დაისიც არსად არ არის ისეთი, როგორც აქ. არც თბილისის გოგირდის აბანოები უნდა დაგვავიწყდეს, მაგრამ ქართველებს ყველაზე უკეთ ბანკეტებზე მოლხენა ეხერხებათ.

ქართული კერძების ჭამის რაიმე განსაკუთრებული წესი არ არსებობს. მთავარია, ხელები კარგად დაიბანო ვახშმის წინ. იქ ხაჭაპურსაც, ხინკალსაც და მწვადსაც ხელით მიირთმევენ. შემდეგ თამადა წამოდგება, აწევს ჭიქას, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი მოჰყვება მორიგ ლეგენდას მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქვეყნის, ყველაზე ერთგული მეგობრობის და სიყვარულის შესახებ. და კიდევ: ქართველებს უყვართ უკრაინასთან მტკიცე ურთიერთობის სადღეგრძელოს დალევა. ეს შეიძლება ავხსნათ მრავალი ფაქტორით: ისტორიულით, ფსიქოლოგიურით თუ ემოციურით. ამჯერადაც თამადამ რიხიანად განაცხადა: ერთად ჩვენ 55 მილიონი ვართ!“ და ყველამ ერთხმად შესვა სადღეგრძელო.

ქართულ-უკრაინული მეგობრობის თემა თბილისის ფარგლებს გარეთაც გაგრძელდა. კურორტ გუდაურის სამთო-სათხილამურო ტრასაზე ნამქერიდან ჩემი ამოყვანა ქართველ მოთხილამურეებს სულ ცოტა ათჯერ მაინც მოუწიათ. როცა გაიგებდნენ, რომ კიეველი ვიყავი, ღიმილით მეუბნებოდნენ: „შენ ხომ ჩვენი და ხარ!“.



გასულ წელს გუდაურში დაამონტაჟეს თანამედროვე საბაგირო გზა. თხილამურების აღებაც ადგილზევე შეგიძლიათ, სულ რაღაც 20 ლარად დღეში. სასტუმროს ნომერი დღეში 35 დოლარი ჯდება თავისი ორჯერადი კვებით. მაგრამ კერძო სექტორში შეიძლება კაცმა იქირაოს ოთახი 20 ლარად და დიასახლისს მოურიგდე, რომ სადილად ხინკალი დაგახვედროს. გუდაურში ბევრი გასართობი არ არის — საუნა და დისკოთეკა. ალბათ, ეს უკეთესიც არის, რადგან იქ ნამდვილად ისვენებ კაცი ყოველგვარი ხმაურისგან...

რასაც ვერ ვიტყვით ბაკურიანზე, ჯერ კიდევ საბჭოური დროიდან სახელგანთქმულ სათმო-სათხილამურო კურორტზე, სადაც დასასვენებლად ოჯახებით ჩადიან. იქ ისმის ბავშვების გამაყრუებელი ჟრიამული, საბაგიროსთანაც დიდი რიგები დგას. მაგრამ რომელიმე ბავშვი თუ ურიგოდ გაძვრომას მოისურვებს, მას ამისთვის არავინ არ დატუქსავს, რადგან, ბავშვები ხომ ქართველებისთვის წმიდათაწმიდაა. 2012 წლისთვის ბაკურიანში სურთ ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის გამართვა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე შეიტანა ოფიციალური განაცხადი.

სათხილამურო ტრასების ქვემოთ გაშლაგებულია საკურორტო დაბები, რომელთაგან ერთ-ერთი არის ბორჯომი. ახლა იქ მრავალი სანატორიუმი უკავიათ აფხაზეთიდან ლტოლვილებს, რომლებმაც ეს შენობები მუდმივ საცხოვრებელ ბინებად გადააკეთეს. მართალია, კურორტის დიდ ნაწილს აკლია მზრუნველი პატრონის ხელი, მაგრამ ირგვლივ მინც სიცოცხლე ჩქეფს, რადგან მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. უკვე ახლა შეიძლება ბორჯომში თანამედროვე სანატორიუმში დასვენება, სადაც კვალიფიციური ექიმები დაადგენენ, თუ რა რაოდენობით უნდა მიიღოთ სახელგანთქმული მინერალური წყალი „ბორჯომი“ და რა რაოდენობით ...ქართული ჭაჭა. როგორც მითხრეს, იქ ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ტურისტი ჩადის.

კავკასიის მთების კიდევ ერთი გმირია იოსებ სტალინი. ქართველები დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ თავიანთ თანამემამულეს. ამიტომ, არც არის გასაკვირი, რომ ქალაქი გორი, სადაც დაიბადა სტალინი, შეტანილია ტურისტული მარშრუტების პროგრამაში. ეს, ალბათ, ერთადერთი ქალაქია, რომლის ცენტრალურ მოედანზეც აღმართულია სტალინის ძეგლი. სულ რამდენიმე ნაბიჯზე კი მდებარეობს ბელადის მსოფლიოში ერთადერთი მუზეუმი.

განუმეორებელი სითბოთი ვიხსენებ ადამიანებს, რომლებსაც ჩვენ ვუყვარვართ მხოლოდ იმიტომ, რომ უკრაინელები ვართ.

**დარია ავერჩენკო,**
**„ზერკალო ნედელი“ (ყოველკვირეული, უკრაინა).**





# არჩევნებში იანუკოვიჩის პარტია ლიდერობს

**იმის მიუხედავად, რომ სოციოლოგები უკრაინის საპარლამენტო არჩევნებში პირველ ადგილს ვიქტორ იანუკოვიჩის რეგიონების პარტიას უწინასწარმეტყველებენ, ანალიტიკოსებს არჩევნების რეალურ გამარჯვებულად ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს ბლოკი მიაჩნიათ.**

უკრაინის წამყვანი სოციოლოგიური სამსახურების მიერ განხორციელებული გამოკითხვის მონაცემებით, რეგიონთა პარტიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 32 პროცენტმა. იულია ტიმოშენკოს პოლიტიკურმა პარტიამ, სოციოლოგთა აზრით, მოაგროვა ხმების 23,4 პროცენტი და მნიშვნელოვნად გაუსწრო პროპრეზიდენტულ ბლოკს „ჩვენს უკრაინას“, რომელსაც პროგნოზის თანახმად, უპირატესობა ამომრჩეველთა 14,5 პროცენტმა მიანიჭა.

თუ ამომრჩეველთა გამოკითხვის შედეგებს ვენდობით, სამპროცენტიან ბარიერს დაძლევს კიდევ სამი პოლიტიკური ძალა – სოციალისტური პარტია, რომელმაც ხმების 5,7 პროცენტი მიიღო, ოპოზიციური კომუნისტური პარტია – 3,5 პროცენტი და უკიდურესი მემარცხენე ბლოკი „სახალხო ოპოზიცია“, რომელსაც ნატალია ვიტრენკო ხელმძღვანელობს – 3,1 პროცენტი.

ანალიტიკოსთა აზრით, ასეთმა შედეგებმა შეიძლება აიძულოს პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და „ჩვენი უკრაინა“ დათანხმდნენ თანამშრომლობას ტიმოშენკოსთან – პოლიტიკოსთან, რომელსაც ისინი ძალზე ხშირად აკრიტიკებდნენ წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

თუ სოციოლოგთა შედეგები დაემთხვევა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებს, იულია ტიმოშენკოს ბლოკს და „ჩვენს უკრაინას“, აგრეთვე, სოციალისტურ პარტიას ექნებათ პარლამენტში ხმათა საკმარისი რაოდენობა უმრავლესობის კოალიციის ჩამოსაყალიბებლად.

ამომრჩეველთა გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ „ჩვენი უკრაინის“ და იულია ტიმოშენკოს ბლოკის წარმომადგენლებმა დაიწყეს „ნარინჯისფერი კოალიციის“ – ძალების გაერთიანების შექმნის საკითხის განხილვა, რომლის წყალობითაც ვიქტორ იუშჩენკომ მიაღწია წარმატებას წინა საპარლამენტო არჩევნების დროს. ამასთან, ექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ უკრაინის ახალი პრემიერ-მინისტრი კვლავ შეიძლება გახდეს იულია ტიმოშენკო, რომელმაც, პრინციპში, მიიღო ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა „ნარინჯისფერ“ პოლიტიკოსთა შორის.

მაგრამ რეგიონების პარტიაც აცხადებს პრეტენზიას მომავალ სამთავრობო კოალიციაში ხელმძღვანელ როლზე. ამ გაერთიანების ლიდერის ვიქტორ იანუკოვიჩის თქმით, იგი მზად არის, იმუშაოს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან. რეგიონების პარტია ძირითადად ეყრდნობა რუსულენოვანი ამომრჩევლების მხარდაჭერას, რომლებიც ცხოვრობენ უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ ოლქებში, აგრეთვე, ყირიმში.

არჩევნები გაიმართა ამომრჩეველთა დიდი აქტიურობის პირობებში, მრავალ საარჩევნო უბანში მთელი დღე რიგები იდგა. წინასწარი მონაცემებით, ამომრჩეველთა გამოცხადებამ 67 პროცენტს გადააჭარბა.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ამ კამპანიას უწოდა ქვეყანაში გამართული პირველი დემოკრატიული არჩევნები.

# ბელორუსიის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული




ბელორუსიის მილიცია ქვეყნის პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატს ალექსანდრე კოზულინს სისხლის სამართლის დამნაშავედ აცხადებს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე 25 მარტს ოპოზიციის უსანქციო გამოსვლის ფაქტთან დაკავშირებით.

„ამ სისხლის სამართლის საქმით გადიან ასევე გასულ შაბათს ოპოზიციის უსანქციო აქციის ყველაზე აქტიური მონაწილეები და ორგანიზატორები“, – აღნიშნეს მინსკის შინაგან საქმეთა სამმართველოში.

როგორც დააზუსტეს, საქმე აღძრულია ბელორუსიის სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მიხედვით (ისეთი ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიური მონაწილეობაც. ეს მუხლი ითვალისწინებს სასჯელს ჯარიმის სახით, ან ექვს თვემდე ვადის პატიმრობას, ან თავისუფლების შეზღუდვას 3 წლამდე ვადით.

მინსკის რაიონულ სასამართლოებში განიხილეს 24 მარტს ოქტომბრის მოედანზე უსანქციო საპროტესტო აქციის დაკავებულ მონაწილეთა საქმეები. თუმცა, შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების წარმომადგენლებს არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, თუ ქალაქის რომელი რაიონების სასამართლოებში მოხდება საქმეების გარჩევა. მათ ასევე არ დაასახელეს სასამართლო პროცესების დაწყების ვადები.

როგორც ცნობილია, 25 მარტს მინსკში დააკავეს კიდევ 52 კაცი, მათ შორის, ქვეყნის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ალექსანდრე კოზულინიც.

# ამერიკელი ასტრონავტები მთვარეზე მოემზადებიან მარსზე გასაფრენად

**1972 წლის შემდეგ პირველად ამერიკელები გეგმავენ მთვარეზე გაფრენას. მაგრამ მთვარეზე ხანმოკლე ვიზიტის ნაცვლად, ასტრონავტები აპირებენ იქ მუდმივი ბაზის მშენებლობას და ცხოვრებას ისტორიაში ყველაზე ამბიციური წამოწყების – მარსზე ადამიანის გაფრენისთვის.**

2004 წელს პრეზიდენტმა ბუშმა გამოაქვეყნა გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ახალი კოსმოსური ხომალდის მშენებლობას, 2020 წლისთვის მთვარეზე გადასვლას, შემდეგ კი – მარსზე გაფრენას.

იმის მიუხედავად, რომ აერონავტიკის ცენტრალური სამმართველო (ნასაძ ახლა მთელი ძალებით მუშაობს ახალი ხომალდის დაპროექტებისთვის და ხარჯავს ბიუჯეტის დაახლოებით 40 პროცენტს შატლის და საპლანეტათშორისო კოსმოსური სადგურის შექმნისთვის, მაინც გრძელდება მთვარის ექსპედიციის დაგეგმვა.

მეცნიერები და ინჟინრები მუშაობენ ტექნოლოგიებზე, რომლებიც ჯერ არ არსებობენ და ცდილობენ მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტას: როგორ გაართვან თავი მთვარის დასახლებაში ფსიქოლოგიურ სტრესს; როგორ ააგონ მთვარის ბულდოზერები; თუ გამოიწვევს დედამიწის მიზიდულობის ერთი მეექვსედის პირობებში მთელი წლის განმავლობაში მუშაობა რთულ პრობლემებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის; როგორი იქნება ადამიანების რეაქცია მცირე სივრცეში და სახიფათო პირობებში ნახევარი წლის განმავლობაში ცხოვრებაზე და ა. შ.



მთვარეზე უფრო ადვილია იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც შემდეგ წამოიჭრება მარსზე ექსპედიციის დროს. მთვარე უფრო „გულმოწყალეა“ ასტრონომების მიმართ, რადგან იგი ჩვენთან გაცილებით უფრო ახლოსაა: დედამიწიდან მთვარემდე 250 ათასი მილია, როცა მარსამდე – 34 მილიონი მილი და ისიც, მხოლოდ იმ მომენტში, როცა ეს პლანეტა მაქსიმალურად უახლოვდება დედამიწას. მთვარეზე ვინმეს თუ დახმარება დასჭირდება, მისი ჩატანა იქ შესაძლებელი იქნება სულ რაღაც სამი დღის განმავლობაში, როცა მარსამდე ფრენას რამდენიმე დღე დასჭირდება თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოყენებული იქნება ჯერჯერობით არარსებული ძრავები.

მეორე მიზეზია ის, რომ ამერიკელები თუ არ დაბრუნდებიან მთვარეზე, ეს შეიძლება გააკეთოს სხვამ. „ჩინეთი აცხადებს, რომ აპირებს მთვარეზე კოსმონავტების გაშვებას. იქ გაფრენა სურთ ევროპელებს, რუსებს, ასე, რომ, ჩვენ თუ არ გავფრინდებით, შეიძლება გაფრინდნენ ისინი ჩინელებთან ერთად, – განაცხადა მარსის ინსტიტუტის პრეზიდენტმა პასკალ ლიმ. – განა შევძლებთ ჩვენ მარსზე გაფრენას მთვარის გვერდის ავლით მაშინ, თუ მთვარეზე გაფრენა სურთ ინდოელებს და ჩინელებს? ვფიქრობ, რომ ვერა“.

# მოკლედ

ერაყის ქალაქ მოსულში მომხდარი ტერაქტის შედეგად დაიღუპა სულ ცოტა 40 კაცი. აფეთქება მოხდა ერაყის არმიის გასაწვევი პუნქტის მახლობლად. გარდა ამისა, დაიჭრა კიდევ 20-მდე ადამიანი. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ტერაქტი მოთარეშე-კამიკაძემ განახორციელა.

* * *

„რუსეთი აშკარად ეწევა ორმაგ თამაშს. ერთი მხრივ, ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს არ სურთ მოსკოვ-ვაშინგტონის ურთიერთობის დაძაბვა და ამიტომ მხარს უჭერენ ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკების გამართვას. მაგრამ მეორე მხრივ, რუსებს სურთ, მისცენ ირანს დრო ბირთვული იარაღის შესაქმნელად“, წერს „ვაშინგტონ ტაიმსი“.

* * *

თუ 1990-იანი წლების დამდეგისთვის ესტონეთში „არამოქალაქეთა“ რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის 30 პროცენტს შეადგენდა, ახლა მათი რიცხვი 10 პროცენტს არ აღემატება, განაცხადა ესტონეთის ელჩმა რუსეთის ფედერაციაში მარინა კალიურანდმა. ელჩის თქმით, „არამოქალაქეები“ სარგებლობენ ისეთივე კულტურული და სოციალური უფლებებით, როგორც ქვეყნის მოქალაქეები. გარდა ამისა, ეს ადამიანები შეიძლება აირჩიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

* * *

ბელგიელმა ჟურნალისტმა ქალმა კატლინ პირაერმა ექსპერიმენტის სახით სცადა „ბერეტას“ სისტემის პისტოლეტის და „პლასტმასის ბომბის“ შეტანა ბრიუსელის იმ სასტუმროში, რომელშიც გაჩერებული იყვნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ანგელა მერკელი. უნდა ითქვას, რომ ჟურნალისტმა ეს ადვილად შეძლო. აღსანიშნავია, რომ ეს ჟურნალისტების მიერ მომზადებული „პირველი საწვრთნელი ტერაქტი“ არ არის.

* * *

მძღოლის ერთიან მოწმობებს ევროკავშირში 2013 წლიდან გასცემენ. ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის დირექტივით, რომლის საბოლოო ვარიანტიც მოიწონეს ამ რეგიონული ორგანიზაციის 25 წევრი-ქვეყნის ტრანსპორტის მინისტრების ბრიუსელის შეხვედრის დროს.

* * *

ბელორუსიაში პოლონეთის ყოფილ ელჩს მიუსაჯეს 15 დღის პატიმრობა საპროტესტო აქციაში მონაწილეობის გამო. მინსკის ლენინის რაიონის სასამართლომ მარიუშ მაშკევიჩი ბრალეულად ცნო უსანქციო პოლიტიკურ აქციაში მონაწილეობისთვის. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მაშკევიჩმა ჟურნალისტებს განუცხადა: „მე ვამაყობ, რომ აქციაზე ვიყავი“.

* * *

ინგლისელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თევზის ქონი ჯანმრთელობისთვის უსარგებლოა. აღმოსავლეთი ინგლისის უნივერსიტეტის და კიდევ რვა ორგანიზაციის თანამშრომლებმა გააანალიზეს თევზის ქონის მთავარი კომპონენტის – „ომეგა-3“ ცხიმების გამოკვლევის შედეგები, რომლებიც, როგორც აქამდე ითვლებოდა, ადამიანის ორგანიზმს იცავდნენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებისგან. მეცნიერებმა ვერ შეძლეს დაედასტურებინათ ორგანიზმზე მათი დადებითი მოქმედება.

* * *

ამერიკულ სამხედრო გამოკვლევაში, რომელიც პენტაგონმა გამოაქვეყნა, ხაზგასმულია, რომ რუსეთის ელჩი ერაყში სადამ ჰუსეინს აწვდიდა დოჰაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ცენტრალურ სარდლობაში შეკრებილ ინფორმაციას. რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური კატეგორიულად უარყოფს ამ ბრალდებას.

* * *

როგორც ცნობილია, ნიგერიელმა ამბოხებულებმა 18 თებერვალს ქვეყნის სანაპირო წყლებში შეიპყრეს „შელის“ კომპანიის ცხრა თანამშრომელი. ამბოხებულებმა მთელი რიგი პოლიტიკური მოთხოვნების შემდეგ, მძევლები გაათავისუფლეს. ბოლოს მათ ხელში კიდევ სამი ტყვე დარჩა – ორი შეერთებული შტატების და ერთი დიდი ბრიტანეთის მოქალაქე. ამბოხებულებმა ბოლო მძევლებიც გაათავისუფლეს.

◎ კოსმოსი და ჩვენ

# მნათობთა მეფე შემოგვწყრა?!

## 29 მარტს მზე სრულად დაბნელდება

**მზე და მთვარე ცის უკაშკაშესი მნათობებია, მზისა და მთვარის დაბნელებანი კი — უმნიშვნელოვანესი ასტრონომიული მოვლენები, რომლებიც უშორესი წარსულიდანვე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ადამიანებზე.**

მაიას ტომებმა დააფიქსირეს მთვარის დაბნელება, რომელიც მოხდა ჩვ. წ.-მდე 3379 წლის 15 თებერვალს. ბაბილონელებმა 3000 წლის წინათ აღმოაჩინეს დაბნელებათა განმეორებადობის პერიოდი — საროსი (დაახლოებით 18 წელიძ, რის წყალობითაც შესაძლებელი გახდა დაბნელებების წინასწარმეტყველება. ჩვ. წ.-მდე 585 წ. 28 მაისს მოხდარი მზის დაბნელება ბერძენ მეცნიერ თალეს მილეთელს უწინასწარმეტყველებია. არისტარქე სამოსელმა კი (III ს. ჩვ. წ.-მდეძ მთვარის დაბნელების მოვლენის გამოყენებით განსაზღვრა მთვარის და მზის სიდიდე და მათი მანძილები...

ამ მოვლენისადმი ინტერესი არც დღეისთვის განელებულა.

წელიწადში მზის დაბნელებათა რიცხვი შეიძლება იყოს 2-დან 5-მდე. სრული დაბნელებები კი თითქმის ყოველწლიურია. XXI საუკუნის I ნახევარში 38 მზის სრული დაბნელება მოხდება, მაგრამ დედამიწის მოცემულ წერტილში სრული დაბნელება მხოლოდ მრავალ ათეულ წელიწადში მეორდება. მკითხველთა ნაწილს ეხსომება მზის დაბნელება კახეთში 1954 წლის 30 ივნისს. ახლო წარსულში (1999 წლის 11 აგვისტოძ სრული დაბნელების ზოლმა გაიარა ჩრდ. ატლანტიკიდან, თურქეთის გავლით, ინდოეთისაკენ...

რაც შეეხება მიმდინარე წლის 29 მარტის მზის სრულ დაბნელებას, მისი ზოლი დაიწყება ბრაზილიის აღმ. ნაწილში, გადაივლის ატლანტის ოკეანის ჩრდ. ნახევარს, აფრიკის ჩრდ.-დას. ტერიტორიებს, ხმელთაშუა ზღვის აღმ. ნაწილს, თურქეთს, შავი ზღვის აღმ. რაიონს, საქართველოს შავიზღვისპირეთს, კასპიის ზღვის ჩრდ. ნაწილს, აგრძელებს გზას რუსეთის ფედერაციაში და დასრულდება ბაიკალის ტბის დასავლეთით. სრული დაბნელების ზოლში ჰყვებიან ქალაქები: კისლოვოდსკი, ესენტუკი, მინერალური წყლები, ასტრახანი, ნალჩიკი, ანტალია... საქართველოდან: სოხუმი, ზუგდიდი, ფოთი... ზოლის შუახაზი სადღაც სოხუმსა და ზუგდიდს შორის გადის. აქ მაქსიმალური ფაზა მსოფლიო დროით 11 სთ. 15 წთ-ზე მოდის (თბილისის დეკრეტული დროით 15 სთ. 15 წთ.ძ. სრული ფაზის ხანგრძლივობა ცენტრალურ ხაზთან 3 წთ-ს ჭარბობს, ზუგდიდსა და სოხუმში 2 წთ-მდეა, ფოთში — 1 წთ-მდე.

შუა და აღმ. საქართველო ნაწილობრივი დაბნელების ზოლში ხვდება. თბილისში დაიფარება მზის დიამეტრის 95 პროცენტამდე, გორში 96 პროცენტამდე, ბათუმსა და ქუთაისში — 98 პროცენტამდე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კი, უკიდურესი აღმოსავლეთის ჩათვლით, 90 პროცენტზე მეტი.

მზის დაბნელებას, სანახაობრივს გარდა, დიდი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს. ამ დროს ჩნდება მზის გარე ფენები — ქრომოსფერო და გვირგვინი, რომელთა დამზერა ძვირფას ცნობებს იძლევა მზეში მიმდინარე პროცესებზე. ამიტომ მზის ყოველი სრული დაბნელებისას დაბნელების ზოლისკენ მიემართებიან მსოფლიოს ასტრონომები. ქართველ ასტრონომებს მრავალი დაბნელების დაკვირვებაში მიუღიათ მონაწილეობა და ისინი ახლაც იტყვიან თავის სათქმელს.






მზის დაბნელება უჩვეულო და გრანდიოზული კოსმოსური მოვლენაა. ირღვევა ბუნების მშვიდი რიტმი, ნელ-ნელა ჩაბნელდება, დღისით დადგება ღამე, ბნელ ცაზე პლანეტები და კაშკაშა ვარსკვლავები აციაფდებიან. ამ ფაქტზე შეშფოთებით რეაგირებენ ფრინველები, ცხოველები, თითქმის მთელი ბუნება. მას ინტერესით დააკვირდება საქართველოს მოსახლეობაც, ოღონდ ამისთვის უნდა გამოვიყენოთ სპეციალური მუქი სათვალეები, გამჭვარტლული მინა ან სხვა მოწყობილობა. დაბნელების არც ერთ ფაზაში მზეზე უბრალო თვალით შეხედვა არაა სასურველი — მას შეუძლია გამოიწვიოს თვალის დამწვრობა ან სიბრმავე.

შემდეგი უახლოესი მზის დაბნელებები იქნება 2008 წლის 1 აგვისტოს (არქტიკა, შუა რუსეთი, ჩინეთიძ, 2009 წლის 22 ივლისს (აზიის სამხრ. ნაწილიძ, 2010 წლის 11 ივლისს (წყნარი ოკეანე და ამერიკის კონტინენტის უკიდურესი სამხრეთიძ და ა. შ. ჩვენთან კი დაბნელების ლოდინი დიდხანს მოგვიწევს. კერძოდ, 2025 წლამდე მზის სრული დაბნელების ზოლი არათუ საქართველოში, ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ გაივლის...

**შალვა საბაშვილი,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის გამგე.**

◎ ჯანმრთელობა

# მრავალ გაზიან სასმელში აღმოჩენილია კანცეროგენული ბენზოლი



### საშიში სასმელების დასახელებები არ ხმაურდება

**აშკარა ხდება, რომ ამჯერად გაზიანი სასმელების მწარმოებლები „მაგრა გაებნენ“. შიშისმომგვრელი აღმოჩენით შეშფოთებულები არიან სამთავრობო სააგენტოები, რომლებიც აკონტროლებენ საკვებ პროდუქტებს აშშ-ში, ინგლისში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. მათი შეშფოთება სავსებით გასაგებია — ბენზოლს ხომ სისხლისა და ლიმფური სისტემის ავთვისებიანი სიმსივნეების გამოწვევა შეუძლია. აშშ-ს და ევროპის სამთავრობო ლაბორატორიებში აქტიურად ატარებენ გაზიანი სასმელების ტესტირებას. მრავალი სასმელი 1 ლ-ში 25-50 მკგ ბენზოლს შეიცავს, 2,5-5-ჯერ მეტია მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ სასმელი წყლისთვის დაშვებულ ზედა ზღვარზე. ასეთი ბენზოლიანი წყალი სამზარეულოს ონკანში რომ მოდიოდეს, მოხელეები განგაშს უნდა ტეხდნენ და მოსახლეობას მისი მოხმარების საშიშროების შესახებ უნდა ესაუბრებდნენ. სასმელების შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარადაა — მათ დასახელებებსაც კი არ ახმაურებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ჩვენგანი რისკავს, როდესაც გაზიან სასმელს სვამს, რადგან შეიძლება ის კანცეროგენს შეიცავდეს.**

გაზიან სასმელებში ბენზოლის დიდი დოზები პირველად 1990 წელს აღმოაჩინეს აშშ-ში. მაშინ მწარმოებლებმა აღუთქვეს ხელისუფლებას, რომ წყნარად, მშვიდად და უხმაუროდ გაერკვეოდნენ პრობლემაში და საშიშ ნივთიერებას სასმელიდან ამოიღებდნენ. დანაპირებს 15 წელი ელოდნენ და ალბათ კიდევ დიდხანს მოუწევდათ ლოდინი, რომ არა ერთი შემთხვევა. გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელ უმსხვილეს კომპანიაში მომუშავე ერთ-ერთი ქიმიკოსის ხელშეწყობით მოხდა ბენზოლის პრობლემასთან დაკავშირებული კონფიდენციალური დოკუმენტების გადინება. იმავდროულად ამ ადამიანმა დამოუკიდებლად შეისწავლა გაზიანი სასმელები და მათში კვლავ აღმოაჩინა ბენზოლი. ამის შემდეგ ამერიკის საკვები პროდუქტებისა და წამლების დეპარტამენტის მოხელეებს აღარაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ ახალი გამოძიება დაეწყოთ.

თითქმის 15 წლის განმავლობაში ამ პრობლემას ისე ოსტატურად მალავდნენ, რომ ევროპაში სპეციალისტებმაც კი არაფერი იცოდნენ მის შესახებ და როდესაც 1998-1999 წწ. ბელგიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში გაზიან სასმელებში შემთხვევით აღმოაჩინეს ბენზოლი, მწარმოებლები არწმუნებდნენ მოხელეებს, მომწოდებლებმა მოგვატყუეს, ბენზოლით დაბინძურებული ნახშირმჟავა გაზი მოგვაწოდესო.

### სხვა გზა არ არის – რეცეპტურა უნდა შეიცვალოს

**და მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს აშკარა თაღლითობა არ იყო. მწარმოებლებმა ხომ ჯერ კიდევ 1990 წლიდან მოყოლებული იცოდნენ, ბოთლებში ბენზოლის წარმოქმნის მექანიზმი. ამისათვის საჭიროა ორი ნივთიერება: ნატრიუმის ბენზოატი, რომელიც კონსერვანტად გამოიყენება და ასკორბინის მჟავა (C ვიტამინიძ. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსებმა დაადგინეს რეაქციები, რომელთა შედეგადაც ბენზოინმჟავას ბენზოლის რკალი სცილდება და იმავდროულად წარმოიქმნება წყალი და ნახშირმჟავა.**

ამას გაზიანი სასმელების შენახვის პირობებიც უწყობს ხელს. თბილ ატმოსფეროში და სინათლეზე იგი გაცილებით მეტი რაოდენობით წარმოიქმნება. მაგალითად, პრესაში გამოქვეყნებულ ერთ-ერთი კომპანიის საიდუმლო დოკუმენტებში მოტანილია ასეთი ციფრები: ერთ ბოთლ დიეტურ კალორიულ გაზიან წყალში 25 მკგ ბენზოლი იყო, ხოლო მას შემდეგ რაც ის 30-გრადუსიანი სითბოს პირობებში სინათლეში იდგა, კონცეროგენის რაოდენობა 3-ჯერ და მეტადაც გაიზარდა — 82 მკგ. ამასთან, ყველაზე კანცეროგენური სწორედ შაქრის შემცვლელზე დამზადებული დიეტური გაზიანი სასმელები აღმოჩნდა. ბედის ირონიით ასეთი სასმელები უფრო და უფრო მეტი მოთხოვნილებით სარგებლობს იმ ადამიანებში, რომლებიც ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევენ. ისინი ზედმეტ კალორიებს კი გაურბიან, მაგრამ სამაგიეროდ შხამიან ბენზოლს ილებენ მეტს. იზრდება გაზიანი სასმელების მოხმარება რუსეთსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებშიც. თუ ადრე სხვადასხვა სახის ლიმონათებს უფრო სადღესასწაულო სუფრაზე ჰქონდა გასავალი, დღეს ისინი ჩვეულებრივ ყოველდღიურ სასმელად, ბევრისთვის კი სითხის მთავარ წყაროდაც კი იქცა. სხვათა შორის იმდროინდელი გაზიანი სასმელები უფრო უსაფრთხო იყო: მათში კონსერვანტები არ იყო და მაშასადამე, არც ბენზოლის წარმოქმნის საშიშროება არსებობდა. ბევრ უცხოელ სპეციალისტს მიაჩნია, რომ დროა შეიცვალოს გაზიანი სასმელების რეცეპტურა, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ალბათ ისეთი ეფექტური კონსერვანტის შერჩევა, როგორიც ბენზოლია, გაჭირდება.

სხვათა შორის, ბენზომჟავა და C ვიტამინი შეიძლება ბევრ სხვა პროდუქტშიც შეგვხვდეს, ვთქვათ, იაფფასიან წვენებში, დაკონსერვებულ ხილსა და ბოსტნეულში, თევზის პროდუქტებში, მარგარინებში, მაიონეზებში და ა. შ. სპეციალისტთა ყურადღების არეში ეს პროდუქტებიც მოექცა. ასე რომ, პროდუქტებთან დაკავშირებით ახალ სკანდალებს უნდა ველოდოთ.

როგორ დავადგინოთ, შეიცავს თუ არა გაზიანი სასმელი ბენზოლს?

ყურადღებით წაიკითხეთ სასმელის შემადგენლობა.

ბენზოლის შემცველ გაზიან სასმელებში იმავდროულად აუცილებლად შედის E 300 ასკორბინის მჟავა და ერთ-ერთი შემდეგ კონსერვანტთაგანი:

E 211 ნატრიუმის ბენზოლი.

E 212 კალიუმის ბენზოლი ან E 210 ბენზომჟავა.

E 330 ყურადღება მიაქციეთ მჟავიანობის რეგულატორსაც ლიმონმჟავას (E 330ძ, ხშირად იგი ისევე იქცევა, როგორც ასკორბინის მჟავა.

სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებულ წყალში ბენზოლის შემცველობის ზღვრული ნორმები ასე გამოიყურება: რუსეთში — 10 მკგ. 1 ლ-ზე, აშშ — 5 მკგ. 1 ლ-ზე, ევროკავშირის ქვეყნებში — 1 კმგ. 1 ლ-ზე.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

**კალათბურთი**

# გენერალური რეპეტიცია



**სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით, სავსებით შესაძლებელია, ვაჟთა XV ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალური წყვილი „თბილავიამშენმა“ და რუსთავის „აზოტმა“ შეადგინონ. ამიტომ ამ გუნდების გუშინდელ მატჩს დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა.** წინასაპლეიოფო გენერალური რეპეტიცია, როგორც მოსალოდნელი იყო, უაღრესად დაძაბულად წარიმართა და ავიატორთა გამარჯვებით დასრულდა, რაც ტულუშისა და როდუმტას დამსახურება გახლავთ – 64:50. დამარცხებულთაგან უჩვეულოდ სუსტად ითამაშა გოგობერიშვილმა.

IV წრის XXIV ტურის დანარჩენი შედეგები: სტუ – სსუ 95:65, თსუ „ნიკორა“ – „დინამო“ 108:83. გამოტოვებული შეხვედრა: „მაქაბი“ – სსუ 85:59. დღეს ქუთაისში 14 საათსა და 30 წუთზე ითამაშებენ ქუთაისი – „მაქაბი“.

**მინიფეხბურთი**

# „ანგარიშსწორება“ „ქარიშხალაში“

**ათი წელიწადია, საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის (თავმჯდომარე იროდი ბეჟაშვილი) ინიციატივით რეგულარულად ეწყობა საინტერესო ღონისძიებები ორგანიზაციებს, სამინისტროებსა თუ სხვა უწყებებს შორის. მიზანი ამ დაწესებულებების თანამშრომელთა დაახლოება და კოლექტივებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაა.**

ღონისძიებათაგან განსაკუთრებულ ინტერესს ფეხბურთელთა ორთაბრძოლები იწვევს. ამჯერადაც ასე იყო – ერთი კვირის განმავლობაში „ქარიშხალას“ სპორტული კომპლექსის ტრიბუნები მაყურებლებს ვერ იტევდა. სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის, ასევე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის (თავმჯდომარე დავით ნამგალაური) ერთობლივი თაოსნობით „ქარიშხალამ“ სახელმწიფო და კერძო ბანკების ტურნირს უმასპინძლა, რომელიც სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის მიხეილ ჯოჯუას 80 წლის იუბილეს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში რვა გუნდი მონაწილეობდა. ჯგუფებში დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში პროკრედიტბანკისა და ბაზისბანკის მინიფეხბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს. პროკრედიტბანკის ნაკრებმა (გიორგი სეხნიაშვილი, ლევან ალმასია, ირაკლი კაკულია, გიორგი შათირიშვილი, კოტე კოლონია, თემურ მანჯგალაძე, კოტე მანჯგალაძე, ზვიად ფირცხალაიშვილი, გიორგი ქლიბაძე, ლევან დანელია, ზურაბ მაისურაძე, ლევან ალადაშვილი) 3:1 სძლია მეტოქეს და მთავარ პრიზს დაეუფლა. მესამე ადგილზე გავიდა თიბისი ბანკის გუნდი, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობა საქართველოს ბანკის ფეხბურთელებს მოუგო 2:1.

საუკეთესო მეკარის პრიზი ალექსანდრე ჯავახიშვილმა (საქ. ბანკი) დაიმსახურა, მცველისა – მალხაზ გორგაძემ (თი-ბი-სი ბანკი), თავდამსხმელისა – დავით თავზარაშვილმა (ბაზისბანკი, 9 გატანილი გოლით ბომბარდირისა – ზვიად ფირცხალაიშვილმა, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელისა – ლევან ალმასიამ (ორივე – პროკრედიტბანკი).

– მიხარია, რომ გულშემატკივართა იმედები გავამართლეთ და ტურნირში პირველი ადგილი დავიკავეთ, – მითხრა პროკრედიტბანკის გუნდის კაპიტანმა **ლევან ალმასიამ** – ჩვენი გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან რეგულარულად ვვარჯიშობთ, ვაწყობთ შიდატურნირებს, რაშიც დიდად გვეხმარება ბანკის გენერალური დირექტორი ბატონი ფილიპ ზიგვარტი. უზრუნველყოფილი ვართ სპორტული ფორმებით, ბურთებითა და ინვენტარით. ვეცდებით, სხვა ტურნირებშიც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა ამ ღონისძიების ორგანიზატორებს – სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტსა და მსაჯთა კოლეგიას თემურ დოლიძის ხელმძღვანელობით შეჯიბრების მაღალ დონეზე გამართვისთვის.



**ვაჟა დანელია**

**სურათზე: ტურნირის გამარჯვებული პროკრედიტბანკის გუნდი. რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

**ჭადრაკი**

# იუჰუა სიუ მსოფლიო ჩემპიონია

**ეკატერინბურგში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც „ნოკაუტ-სისტემით“ წარიმართა. მოგეხსენებათ, ფინალში რუსეთელი ალისა გალიამოვა და ჩინელი იუჰუა სიუ გავიდნენ.**

გადამწყვეტი ორთაბრძოლის პირველი პარტია, როგორც გაუწყეთ, გალიამოვას მარცხით დამთავრდა, არადა, რუსეთელი თეთრი ფიგურებით თამაშობდა. ფერის უპირატესობა მეორე პარტიაში ვერც ჩინელმა გამოიყენა და მეტოქეს დაუზავდა. მატჩის მესამე ხელი საბედისწერო გამოდგა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის. ორმხრივი უხეში შეცდომების შემდეგ სიუ უკეთ გაერკვა პოზიციაში და მეორე მარცხი აგემა რუსთა იმედს, რითაც ჩემპიონობაც მოიპოვა. იგი მესამე ჩინელია (სიე ჟუნისა და ჩუ ჩენის შემდეგ), რომელმაც მსოფლიოში უძლიერესის სახელი დაიმსახურა. იუჰუა 30 წლისაა. ორგზის მსოფლიო თასის მფლობელი და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ, გათხოვილია და, როგორც პრესკონფერენციაზე განაცხადა, სექტემბერში პირმშოს ელოდება.



**ფიგურული სრიალი**

# მეთოთხმეტე ადგილით დაკმაყოფილდა



**კანადის ქალაქ კალგარიში დამთავრდა ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც პირველად მონაწილეობდა 16 წლის ელენე გედევანიშვილი.**

ქართველმა მოციგურავემ წლეულს ევროპის ჩემპიონატში მე-5, ხოლო ტურინში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მე-10 ადგილი დაიკავა. ეტყობა, ახალგაზრდა სპორტსმენმა ვერ გაუძლო ამდენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაძაბულობას და მსოფლიო ჩემპიონატზე დებიუტი მე-14 ადგილით (164,92) დაასრულა. მართალია, მისგან მეტს ველოდით, მაგრამ არც ეს შედეგია ურიგო.

ჩემპიონობა ამერიკელმა კიმი მეისნერმა (218.33) მოიპოვა. მეორე იყო იაპონელი ფუმიე სუგური (209.74), მესამე ადგილზე ამერიკელი საშა კოენი (208.88) გავიდა.

ვაჟებში ტიტული შეინარჩუნა ტურინის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა შვეიცარიელმა სტეფან ლამბიელმა (რუსი ევგენი პლიუშჩენკო შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა). მეორე ადგილი ფრანგ ბრაიან ჟუბერს ხვდა. ბრინჯაოს მედალი ამერიკელმა ევან ლისაჩეკმა დაიმსახურა.

სპორტულ წყვილებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ჩინ პანი – ცზიან ტონი, 2. დან ჩჟანი-ჰაო ჩჟანი (ორივე – ჩინეთი), 3. მარია პეტროვა – ალექსეი ტიხონოვი (რუსეთი). **ცეკვები:** 1. ალბენა დენკოვა მაქსიმ სტავისკი (ბულგარეთი), 2. მარი-ფრანს დიუბრეი – პატრის ლოზონი (კანადა), 3. ტანიტ ბელბინი – ბენჟამინ აგოსტო (აშშ).

**ჩოგბურთი**

# სანია მირზა მოინელა

**თექვსმეტი წლის ქართველი სპორტსმენი ანა ტატიშვილი, რომელიც ქრისევერტის ჩოგბურთის აკადემიაში (აშშ) სწავლობს, „უაილდ ქარდით“ მაიამის ღია ჩემპიონატზე მოხვდა სახელოვანი ათლეტების გვერდით.** ანას პირველ წრეში მეტოქედ ჰყავდა მსოფლიო კლასიფიკაციაში 41-ე ჩოგბურთელი ინდოელი სანია მირზა. ქართველმა გოგონამ (იგი რეიტინგით 1144-ეა) ყველასთვის მოულოდნელად 7:6, 1:6, 7:6 მოუგო ძლიერ მეტოქეს და მეორე წრეში გავიდა. აქ კი რუსი ელენა დემენტიევას წინააღმდეგობა ვერ დაძლია (3:6, 1:6) და შეჯიბრებას გამოეთიშა.

საგულისხმოა, რომ რუსმა ჩოგბურთელმა ერთი კვირის წინათ „ინდიან ველსის“ ტურნირის მხოლოდ ფინალი დათმო თანამემამულე მარია შარაპოვასთან. რეიტინგით მსოფლიოს მერვე ჩოგბურთელია და მაიამიში მე-6 ნომრად არის განთესილი.

რადგან ფლორიდულ ტურნირს (საპრიზო ფონდი 3 მილიონ 450 ათასი დოლარი) შევეხეთ, გეტყვით იმასაც, რომ ქალთა ტურნირის მეორე წრეში მოსკოველმა ანა ჩაკვეტაძემ შაჰარ პეერი დაამარცხა – 6:1, 6:2. შეჯიბრებას გამოეთიშა ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი და ფავორიტი კიმ კლაისტერსი. მან ჯილ კრეიბასთან წააგო 5:7, 6:3, 5:7.

**ორბიტაზე**

## წინასწარმეტყველიც ასეთი უნდა

**ყველა გააოცა უცნობმა გულშემატკივარმა, ბი-ბი-სის ინგლისის თასზე „ბირმინგემისა“ და „ლივერპულის“ მატჩის ანგარიში რომ ზუსტად აცნობა. პროგნოზისტმა გამოიცნო არა მარტო საბოლოო ანგარიში – 7:0 – სტუმრების სასარგებლოდ, არამედ ისიც, რომ გოლს პირველსავე წუთზე გაიტანდნენ, პირველ ტაიმში რომ სამი გოლი გავიდოდა, და რომ მასპინძლები მეექვსე გოლს საკუთარ კარში გაიტანდნენ და ბოლოს ჟიბრილი სისე შეხვედრას ბოლო წუთებში გატანილი ბურთით დაავგვირგვინებდა.**

ზოგ რამეში „წინასწარმეტყველი“ მაინც შეცდა, კერძოდ, მას მიაჩნდა, რომ ანგარიშს ხაბი ალონსო გახსნიდა, ეს კი სამი ჰიუპიამ გააკეთა. ავტოგოლი კი ემილ ჰესკის ნაცვლად, საკუთარ კარში ოლივიე ტემილიმ მოათავსა.

ასეთი მიხვედრილი გულშემატკივრის ელექტრონულ მისამართზე ბი-ბი-სის საიტზე მოზღვავდა გულშემატკივართა უამრავი თხოვნა მომავალი ფეხბურთის მატჩებისა და დოლების მოსალოდნელი ანგარიშების გამოცნობაზე, ჯერჯერობით არ ვიცით, რა უპასუხა შორსმჭვრეტელმა მათ.



ერთი კი ცხადია, მას ბუკმეკერების კანტორაში ყოველივე ამაზე ფსონი რომ შეეტანა, ფულით აივსებოდა, ყოველ დადებულ ერთ გირვანქაზე, სულ ცოტა, ასჯერ მეტს მიიღებდა.

## ფეხბურთელები მობეზრდა

**ცნობილმა იტალიელმა მოდელმა ფედერიკა ფონტანამ, გაიტანჯა რა თავისი პოპულარობით სპორტისა და შოუ-ბიზნესის ვარსკვლავთა შორის, გადაწყვიტა, თავისი ბედი აღარ დაუკავშიროს არც ერთ მათგანს.**

ის ირწმუნება, რომ მას ყველაზე მეტად თავი მოაბეზრეს ფეხბურთელებმა, ვისთანაც ყველაზე მეტად არ გაუმართლა. მომხიბვლელი ქერა ლამაზმანმა, გამაოგნებელი ფიგურის პატრონმა – 88-60-90, წლეულს –28 წლისა რომ სრულდება, საქმროს შოვნის იმედი გადაიწყვიტა. მას განსაკუთრებით არ გაუმართლა ფეხბურთელებთან. რომელთა წრეშიც ცდილობდა საქმროს გამონახვას. გული განსაკუთრებით შეუვარდა „მილანის“ ფორვარდ ფილიპე ინძაგიზე, მაგრამ მათი ურთიერთობა, რატომღაც, არ აეწყო. ამის შემდეგ ქერა ქალიშვილმა ორიოდე რომანი გააჩაღა A სერიის სხვა ფეხბურთელებთან, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.



**ფეხბურთი უქმეებზე**

## შინ...

**XVII ეროვნული ჩემპიონატის XX ტური. „ამერი“ – „დილა“ 1:0, „ვიტ ჯორჯია“ – „ზესტაფონი“ 1:2, „სიონი“ – „სოხუმი“ 1:0, „ლოკომოტივი“ – „ბათუმი“ 1:2, „კოლხეთი“ – „ტორპედო“ 0:0, „ბორჯომი“ – „თბილისი“ 2:0, „ცხინვალი“ – „დინამო“ 0:2, „სპარტაკი“ – „კახეთი“ 0:0.**

**სატურნირო მდგომარეობა:** „ვიტ ჯორჯია“, „სიონი“– 48-48, „დინამო“ – 42, „ამერი“ – 41, „ზესტაფონი“ – 40, „ბორჯომი“ – 37, „ბათუმი“ – 35, „ლოკომოტივი“ – 34, „კოლხეთი“ – 25, „კახეთი“ – 23, „დილა“, „ტორპედო“, „ცხინვალი“ – 18-18, „სოხუმი“, „სპარტაკი“ – 11-11, „თბილისი“ – 5 ქულა.

**29 მარტს ითამაშებენ:** „კახეთი“ – „სიონი“, „თბილისი“ – „სპარტაკი“, „დინამო“ – „ვიტ ჯორჯია“, „კოლხეთი“ – „ლოკომოტივი“, „ზესტაფონი“ – „ბორჯომი“, „ცხინვალი“ – „ამერი“, „ბათუმი“ – „დილა“, „სოხუმი“ – „ტორპედო“.

## და გარეთ

**იტალია. XXXI ტური.** „იუვენტუსი“ – „რომა“ 1:1, „მილანი“ – „ფიორენტინა“ 3:1, „პარმა“ – „ინტერი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი“ – 78, „მილანი“ – 70, „ინტერი“ – 65 ქულა.

**ბომბარდირი:** ტონი („ფიორენტინა“) – 25 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ტრევიზო“ – „იუვენტუსი“, „ლეჩე“ – „მილანი“, „ინტერი“ – „მესინა“.

**ესპანეთი. XXX ტური.** „მალაგა“ – „ბარსელონა“ 0:0, „რეალი“ – „დეპორტივო“ 4:0, „ბილბაო“ – „ოსასუნა“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ – 68, „რეალი“ – 57, „ოსასუნა“ – 55 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო („ბარსელონა“) – 22 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბარსელონა“ – „რეალი“, „ოსასუნა“ – „ხეტაფე“.

**ინგლისი. XXXII ტური.** „ჩელსი“ – „სიტი“ 2:0, „მანჩესტერი“ – „ბირმინგემი“ – 3:0, „ლივერპული“ – „ევერტონი“ 3:1.



**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“ – 78 (31 თამაშიდან), „მანჩესტერი“ – 66 (30 თამაშიდან), „ლივერპული“ – 64 ქულა.

**ბომბარდირები:** ანრი („არსენალი“), ნისტელროი („მანჩესტერი“) – 19-19 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბირმინგემი“ – „ჩელსი“, „ბოლტონი“ – „მანჩესტერი“, „ვესტ ბრომვიჩი“ – „ლივერპული“.

**გერმანია. XXVII ტური.** „დუისბურგი“ – „ბაიერნი“ 1:3, „ჰამბურგი“ – „ბორუსია“ 2:4, „ვერდერი“ – „ჰანოვერი“ 5:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ – 65, „ჰამბურგი“ – 56, „ვერდერი- – 53 ქულა.

**ბომბარდირი:** კლოზე („ვერდერი“) – 19 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბაიერნი“ – „კიოლნი“, „შალკე“ – „ჰამბურგი“, „აინტრახტი“ – „ვერდერი“.

**პერიოდიკა**

# ახალი ქმნილებებით დამშვენებული

**ეს „ეროვნული მწერლობის“ ახალი გამოცემის მესამე ნომერია და მკითხველი ყოველთვიურად იხილავს, მით უმეტეს, რომ საჩინო და საყვარელი მწერლების ქმნილებებს შეხვდება მასში — საკმარისია დავასახელოთ გურამ დოჩანაშვილის „ლუბავ, ჩემო სიყვარულო“, ჯანსუღ ჩარკვიანის და მანანა ჩიტიშვილის ლექსები, ჯუმბერ თითმერიას მიერ იაპონურიდან თარგმნილი აკუტაგავა რიუნესკეს „იაპონელი ქალები“...**




ტკივილიანია ჩვენი დროის გამორჩენილი პოეტის ჩანსუღ ჩარკვიანის ლექსები ციკლიდან „განწირული ბედნიერება“. სათაურიდანვე ჩანს ეს სიტკივარი: „ნგრევა ქვეყნისა“, „ქვემეხი თუ სირცხვილი“, „არა სჩანს ნათელმხილველი“, „წყვდიადი“...

**„ისმის წყრომა, ისმის გლოვა,**
**ტირილი და გოდება,**
**ის, რაც იყო, აღარ მოვა,**
**აღარ განმეორდება“.**

...აი, რამხელა დარდის მორევშია პოეტის გული...

დღეს რატომღაც ცერად უყურებენ პატრიოტულ ლექსებს — რატომ?! როგორ მოიშლის ქართველი თავისი ქართველობის და ფუძის ქებას? — მანანა ჩიტიშვილის „ქართლი“ სწორედ ამის დასტურია ზემო, ქვემო, შუა ქართლის მოფერებაა:

**„ქართლო, საქართველოს ძირო,**
**ქართლო, საქართველოს ფარო,**
**არც არავინ გაგიტოლოს,**
**ვერც ვერავინ შეგედაროს.**
**გადავძახი ოთხივ მხარეს,**
**სადაც მზერა გადამიტანს:**
**„საქართველო ქართლით არი!“**
**ზეცა ამბობს:**
**„ჭეშმარიტად“!**

პოეზიაზე, — კერძოდ ვაჟა ოთარაშვილის ერთტომეულზე „ცის სარკმელების“ შესახებ არის საუბარი მაკა დარსაველიძის წერილში „ცა ჩვენი სულის მისამართია“.

მკითხველი გაეცნობა აგრეთვე გიორგი ჩოხელის ლექსებს, მამუკა დოლიძის მოთხრობებს, წერილებს მუსიკაზე (ლექსო ტურიაშვილი — „ჯაზი“ძ, მხატვრობაზე (ირინე აბესაძე — „ჭანჭიკი, ანუ ეროვნული კულტურის დედაბოძი“ძ. სოფიკო ჭიაურელის ახალ სპექტაკლს შთაუგონებია ქალბატონი დალი ფანჯიკიძე, რომელიც აქ ახალ ამპლუაში გვევლინება. „მძიმე ტვირთი ანუ სოფიკო ჭიაურელის ახალი სპექტაკლი — „პლანეტის დაბადება“ სწორედ თეატრალური ხიბლით და განცდით არის გაჯერებული.

საარქივო მასალა ყოველთვის ცნობისმოყვარეობას იწვევს — ასეთია ჟურნალში გამოქვეყნებული მხატვარ შალვა ქიქოძის წერილიც აკაკი ხოშტარიასადმი პარიზიდან (1921 წ, 26. IVძ. როგორც ქველმოქმედ პიროვნებას იგი თავის ზრახვას უზიარებს: — საქართველოში პატარა ევროპული გალერეის შექმნის თაობაზე, რისთვისაც თავისი სურათების შეძენაც შეუთავაზებია...

ახალი გამოცემის პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია ვაჟა ოთარაშვილი, მთავარი რედაქტორი ტარიელ ხარხელაური, მოადგილე კი მანანა მიქელაძე. ნომერი გაფორმებულია მხატვარ-დიზაინერ მალხაზ თავაძის მიერ, გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის ქეთი ჭაბუკიანს. გამოცემის სპონსორია მაგთიკომი.

**ნანა ღვინეფაძე**

**ნატურიდან**

# სკლეროზი?!

**იმდენი უჩხიკინეს, იმდენი ქალბატონ მაია ნადირაძეს, რომ ბოლოს და ბოლოს ათქმევინეს — „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“.**

როგორც შევატყვე, მას სულაც არ უნდოდა ამ დაუნდობელი და შემზარავი გამონათქვამის გამოყენება, მაგრამ, რომ აღარ მოეშვნენ, იფიქრა, სადაც წვრილია იქ გაწყდესო და ეს სიტყვები პირდაპირ პირში მიახალა.

ვის მიახალა, ამას, ვფიქრობ, განმარტება არ სჭირდება, ყველა ხედავს, ბოლო პერიოდში ოპოზიციამ როგორ აიშვა. კოკა დავითაშვილი, მაგალითად, ისე გათამამდა, რომ პარლამენტის უმრავლესობის ლიდერ ქალბატონს კაბინეტის კარზე ძველი წინასაარჩევნო პლაკატი გაუკრა.

მერე, რამე მაინც წერებულიყო ღირებული იმ პლაკატში. უბრალოდ ჩამოთვლილი იყო ქალბატონ მაიას წინასაარჩევნო დაპირებები და მეტი არაფერი. ვითომ კოკას რომ არ შეეხსენებინა, თავად დეპუტატმა არ იცოდა, თავის დროზე რა დაპირებები მისცა თავის ამომრჩევლებს?

არაო, ქალბატონ მაიას (ისევე როგორც პარლამენტის მთელ უმრავლესობასძ სკლეროზი განუვითარდა, ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება და ვიდრე განიკურნებოდეს, პერმანენტულად შეხსენება ყოველთვის დასჭირდებაო — ამტკიცებს ბატონი კოკა დავითაშვილი.

მე პირადად მისი მტკიცებისა არა მჯერა. ქალბატონ მაიას რომ სკლეროზი სჭირდეს, მარტო წინასაარჩევნო დაპირებებს კი არა, ამ საყოველთაოდ ცნობილ გამოთქმასაც („ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“ძ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიხსენებდა. მან კი ეს სიტყვები რამდენჯერმე გაიმეორა! ამას თავი გავანებოთ, ისიც ზუსტად ახსოვს, რომ იმ დაპირებებიდან ყველაფერი „უკლებლივ“ შეასრულა. მათ შორის ზოგი „გადაჭარბებითაც“.

ოპოზიციას კი თვალები დაფსებული აქვს და ვერაფერს ხედავს. ვერც იმას, რომ უმრავლესობის ლიდერი ბინების მიღებაში მარტო მიწისძვრით დაზარალებულებს კი არა, საკუთარ თავსაც ეხმარება. თუმცა ამ უკანასკნელის გახსენება (ეტყობა თავმდაბლობით მოსდისძ რატომღაც არ ეპიტნავება.

არც ის, როცა ეუბნებიან — მეუღლის ბიზნესინტერესებში ხარ ჩართულიო. — როგორ გეკადრებათ, ბატონებო, — აცხადებს საჯაროდ ქალბატონი მაია, — მეუღლის საქმეებში საერთოდ არ ვერევი, რადგან მეშინია, რაიმე დარღვევები არ აღმოაჩნდეს და უნებლიეთ დახმარებაზე ხელი არ წამიცდესო. მარტო მე კი არა, ბექაური რომ ბექაურია, საოჯახო ბიზნესს ისიც კი სათოფეზე არ ეკარებოდაო.

და საერთოდ, რას ედავება ოპოზიცია უმრავლესობას, ვერაფრით დავადგინე. იმას ხომ არა, რომ ისინი (უმრავლესობაძ საქმით გახვითქული არიან, ესენი კი მთელი დრო ყიყინს უნდებიან? აბა მაჩვენონ ერთი ქუჩაც კი სადაც მათ ასფალტი დააგეს, ერთი უფასო სასადილო, რომელიც პრეზიდენტის დაუხმარებლად გახსნეს, ერთი სალარო აპარატიც კი, რომელიც ამათ ქუჩაში მოვაჭრეებს შეუძინეს და ქალბატონ მაიასთან ერთად მეც გავჩუმდები.

არა. როგორც ჩანს, ესენი მანამ არ გაჩუმდებიან, ვიდრე ევროსტანდარტებით დაგებული ავტობანებით სოხუმსა და ცხინვალში არ შევგრიალდებით.

ან მაშინ კი გაჩუმდებიან?!.

**ოტია ჩართოლანი**

**გამოცდა**

# ცირკი - საოცრებათა ქვეყანა

***საქართველოს სახალხო არტისტმა ალექსანდრე თედიაშვილმა თავისი ცხოვრება ქართული ცირკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას მოანდომა. ეს იყო პირველი ქართველი ჯამბაზი, რომელმაც გააქართულა ჩვენი ცირკი. მან დადგა საცირკო წარმოდგენა ქართული ფოლკლორის მოტივებზე „ლურჯი მთების ლეგენდა“. ცირკის გაქართულებისთვის იგი ეცნობოდა ქართულ ფოლკლორს, ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს. 1970-71 წლებში მან მთლიანად ქართული საცირკო წარმოდგენა დადგა. მისი წიგნი „საოცრებათა ქვეყანა“ არაერთი საინტერესო ფაქტისა და მოვლენის შესახებ გვიამბობს.***

რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე წინასიტყვაობაში წერს: **„მე მაშინ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი და რატომღაც მე დამავალეს ქართული ნაციონალური ცირკის ხელმძღვანელობა და რეჟისორობა. შეიქმნა მწერლების, კომპოზიტორების და მხატვრების ჯგუფი: პეტრე გრუზინსკი, კაკი ჭავჭანიძე, ლევან ჭუბაბრია. ოთარ ლითანიშვილი, კოტე პევზნერი. ამას გარდა ქართველი კლოუნის გამოსვლის საკითხიც დადგა. ამ დროს მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრში მუშაობდა, ჩემი აზრით, შესანიშნავი ქართველი კომიკოსი სანდრო თედიაშვილი, საოცარი გამომსახველობით, იუმორით გამორჩეული არტისტი. სწორედ ის მოვიწვიეთ კლოუნად“.**




წიგნის ავტორი საუბრობს საცირკო ხელოვნების წარმოშობაზე, მხატვრულ პრინციპებზე. იგი წერს: „ცირკი წარმოადგენს ხელოვნების განსაკუთრებულ კატეგორიას. იგი ხელოვნების სრულიად დამოუკიდებელი დარგია, რომელსაც აქვს თავისი ღრმად განსაზღვრული სპეციფიკა და თავისი სპეციფიკური საშუალებით აკონტროლებს და აზუსტებს ყველა კლასის იდეოლოგიას. ცირკის მსახიობი უპირველესად ხელოვანია, რომლის მოწოდებაა, შექმნას მშვენიერება. იგი თავის ხელოვნებაში კეთილშობილ და ძლიერ იდეალებს ატარებს“...

სამწუხაროდ, საცირკო ხელოვნება მდაბიოთა ხელოვნებად ითვლებოდა. ეს მცდარი შეხედულებაა, თუნდაც იმიტომ, რომ როგორც ავტორი წერს: „ცირკი არის საოცრების, უმაღლესი სიზუსტის, გართობისა და სიცილის ხელოვნება“.

ცირკის მსახიობს უწინარესად მოეთხოვება უმაღლესი სპორტული განათლება, დაკვირვებულობა, მსახიობის ხელოვნების არსის შეცნობა. სპორტსმენი ცირკის არენაზე მსახიობია.

წიგნში ხაზგასმითაა აღნიშნული კლოუნადის ხელოვნება, რომელიც აგებულია ალოგიკური აზროვნების ლოგიკაზე.

ცირკის მასხარა ცხოვრებისეულ ტიპაჟს უძებნის დამახასიათებელ ნიშანთვისებებს, კომიკურ ფორმაში წარმოგვიდგენს ადამიანის უარყოფით მხარეებს: სიხარბე, სიძუნწე და ა. შ., ხოლო დადებით თვისებებს კი სრული სერიოზულობით გამოხატავს, მაყურებელს აძლევს საშუალებას მოძებნოს ამ თვისებათა შორის განსხვავება და იქცეს დადებით გმირად.

ავტორი საინტერესოდ საუბრობს ფარდაგის კლოუნების შესახებ. ქართული კლოუნის სახელ „კინტოს“ ასახელებს.

კარგი იქნებოდა ავტორს მოეხსენებინა ნიკოლოზ მაცაბერიძე — საჰაერო გიმნასტი, რომელმაც შექმნა საჰაერო „გილიკოპტერის“ აპარატი. ასევე ყურადღება მიექცია სქოლიოებისთვის და შეედგინა ლიტერატურული საძიებელი, რომელსაც ეყრდნობა წიგნი. სასურველი იყო დაესახელებინა ცირკის ყოფილი მსახიობი ვასო კოზელი და მისი ერთადერთი წიგნი ქართულ ენაზე „ცირკის ქართველი ოსტატები“.

მიუხედავად ამისა, ალექსანდრე თედიაშვილის წიგნი უდიდესი შენაძენია ქართული ცირკისა და თეატრალური ხელოვნების სამყაროში.

**დავით სოლომნიშვილი**

**ინფორმაცია**

## ქართველ ჟურნალისტებს თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

**ბელორუსიაში ქართველი ჟურნალისტების, „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ კორესპონდენტის ნინო გიორგობიანისა და ოპერატორ გიორგი ლაღიძის სასამართლო პროცესი გაიმართა. მინსკის სასამართლომ ნინო გიორგობიანს 5 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო გიორგი ლაღიძეს — 15-დღიანი პატიმრობა.**

**ბოლო მონაცემებით, საქართველოს კონსული უკრაინაში ზურაბ კვაჭაძე სასამართლოში იმყოფება და ცდილობს აღნიშნული გადაწყვეტილება ფინანსური სანქციის დაკისრებით შეაცვლევინოს.**

**კორესპონდენტი ნინო გიორგობიანი და ოპერატორი გიორგი ლაღიძე მაშინ აიყვანეს, როცა ისინი მილიციის გამანაწილებელ განყოფილებასთან ოპოზიციის ლიდერებისა და ღამით დაკავებული აქციის მონაწილეების ახლობლებისგან ინტერვიუს იღებდნენ.**

## ბუნებრივი აირის ფასი ძვირდება

**მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის ტარიფის სუბსიდირებისთვის საქართველოს მთავრობამ 30 მილიონი ლარი უკვე დახარჯა.**

**როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, რამდენიმე დღეში გადაწყდება მოსახლეობისთვის გაზის ტარიფის სუბსიდირების შეწყვეტის ვადები.**

**— 2006 წლის 1 იანვრიდან გაზის გაძვირების გამო გაზრდილი ტარიფის სუბსიდირება რეგიონებსა და თბილისში სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძოდ, ენერგეტიკის სამინისტროს ასიგნებებიდან განხორციელდა“, — განაცხადა გილაურმა.**

**ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ბუნებრივი აირის ღირებულების 110 დოლარამდე გაზრდის გამო გაზის გამანაწილებელი კომპანიების ტარიფები გასული წლის ბოლოს 32 პროცენტით გაზარდა. მთავრობამ მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის სუბსიდირების ვალდებულება აიღო, თუმცა მოგვიანებით პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოლაიდელმა განაცხადა, რომ თბილისელების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს „თბილგაზით“ დაინტერესებული ყაზახური კომპანია გადაიხდიდა. ვინაიდან ყაზახურ კომპანიასთან ჯერჯერობით ისევ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თბილისელების სუბსიდირება მთავრობას მოუხდა.**

**თბილისელები 1 კუბური მეტრი ბუნებრივ აირის მოხმარებისთვის 1 მაისიდან 34.2 თეთრს გადაიხდიან, ქუთაისელები კი 36,7 თეთრს. გაზის საფასური 3-4 თეთრით გაიზრდება საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც.**

**ინტერპრესნიუსი**



თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის „თბილისი“ (რექტორი — აკადემიკოსი ნოდარ ბაქრაძე) პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დიდი მწუხარებით იუწყებიან ინსტიტუტის მეანობის № 1 კლინიკური ბაზის ხელმძღვანელის, სახელგანთქმული მეანისა და გინეკოლოგის, გინეკოლოგთა ცნობილი საგვარეულო შტოს გამოჩენილი წარმომადგენლის, ჩინებული ქართველის

გივი აკაკის ძე ბაქრაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის შვილებსა და შვილიშვილებს, თანამშრომლებს, დიდ სანათესაოსა და სამეგობროს.

---

საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის აკად. ლ. ჩარკვიანის სახელობის გინეკოლოგიური კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ტრადიციების მქონე გამოჩენილი მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერების კანდიდატი

გივი აკაკის ძე ბაქრაძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

საქართველოს პერინატოლოგთა და მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია, სს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეან-გინეკოლოგი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და მკურნალი, საქართველოს დამსახურებული ექიმი

გივი აკაკის ძე ბაქრაძე

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

აკადემიკოს პ. სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური ნევროლოგიის და ნეიროქირურგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება თვალსაჩინო კლინიცისტ-ნევროლოგის, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის, ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის

მერაბ გიორგის ძე მარუაშვილის

გარდაცვალებას.

---

შვილი რუბენი, რძლები ვიკი, ნატა, შვილიშვილები სანდრო, მიშა, შვილთაშვილი ანა ჯუჯიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სედა მნაცაკანის ასული ჯუჯიშვილი

პანაშვიდი 28, 29 III 16 სთ, გამოსვენება 30 III 14 სთ, მის: ა. მირცხულავას ქ. 16, ბინა 12.

---



დედა გულიკო საყვარელიძე, მამა ალექსანდრე მუსელიანი, მეუღლე ლიკა მამალაძე, შვილები ანი, მარიამი, სანდრო, ძმა ვახტანგი, რძალი ნინო დოლიშვილი, ძმისწულები ქეთევანი, გიორგი, დაჩი, სიდედრი ცისმარი თოდრია, სიმამრი რამაზ მამალაძე, ცოლისდა ეკა, ქვისლი ანდრო ჭიაბრიშვილი, დეიდა დარეჯანი, ბიძა ზიგმუნდ თურმანიძე, ბიცოლა ციალა სხირტლაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ალექსანდრეს ძე
მუსელიანი

პანაშვიდი 30, 31 III 17 სთ, მის: ქობულეთის ქ.3/15, I სად. გამოსვენება 1 IV 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

---



დედა ნანა, მამა მურადი, მეუღლე ეკა შენგელია, შვილები ეკა, ნინო, და ხათუნა, ძმები დავითი, ირაკლი, რძლები ია, მაგდა ჭოლოკავები, სიდედრი მარინა, სიმამრი ვაჟა, ცოლისდები მაკა, სოფო, ცოლისძმა ვახტანგ შენგელიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, მეგობრები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ დაიღუპა

გია ჭოლოკავა

პანაშვიდი 28, 29 III, 16 სთ. მისამართი: ფალიაშვილის 118. გამოსვენება 30 III, 14 სთ, ვაკის სამების ეკლესიიდან.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს, პოეტ მურად ჭოლოკავას ვაჟის

გია ჭოლოკავას

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

---

დედა მარინა აბაშიძე, ძმა ივანე, ბებია ნადეჟდა, რძალი ხათუნა, მამიდა სოფიო, ბიძები რეზო ჩაჩუა, გოჩა აბაშიძე, ბიცოლა ლამარა, მამიდაშვილები ნინო, თამარი, რუსუდანი, ბიძაშვილები თამარი, ნინო, ნიკუშა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი (იკაჩო) დემურიშვილი

პანაშვიდი 28, 29 IIII 16 სთ-ზე. დაკრძალვა 30 III 14 სთ-ზე. დიღმის მასივი V კვარტალი I კორპუსი, სადარბაზო I, ბინა 1.

---

მამუკა ვაშაკიძე, უშანგ, კაკო ჩომახიძეები, მიშა მესროპიანი, კუსა მოლაშხია სამძიმარს უცხადებენ უახლოეს მეგობარს თემურ (ტიტე) ქვარიანს დედის

მარიამ ქვარიანის

გარდაცვალების გამო.

---

ჯანო ჯანელიძე მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა და

ლეილა ჯანელიძე-დოლბაია

დაკრძალვა 30 III, ფოთი, ილიას ქუჩა №8.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელ სამძიმარს უცხადებს გაზეთის ძველ მეგობარსა და ავტორს, ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და გამოჩენილ პოეტს ჯანო ჯანელიძეს დის

ლეილა ჯანელიძე-დოლბაიას

გარდაცვალების გამო.

---

**განცხადება**

**2006 წლის 3 აპრილს 12 საათზე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დიანა გოგიტიშვილთან დანიშნულია სს „საქაბრეშუმის“ კრედიტორთა კრება. მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის №1.**

## გახსენება



### გიორგი (გიო) ლორთქიფანიძის ხსოვნას

დღეს ორმოცი დღე შესრულდა, რაც უშენოდ ვცოცხლობთ (თუ ამ ყოფას სიცოცხლე ჰქვია) ჩვენო თმახუჭუჭა, თვალხატულა გიო. უკვე ორმოცი დღეა, რაც შენი მხიარული შეძახილი არ მოგვისმენია „ბაბუ, ბები, ხომ კარგად ხართ, ხომ არაფერი გინდათ“, შენი ნათელი ღიმილი არ დაგვინახავს, შენი თბილი, ვაჟკაცური კოცნა არ გვიგრძვნია, შენი ალერსით არ დავმტკბარვართ...

რა ბედნიერები ვიყავით ორმოცი დღის წინ, არც ყინვის გვეშინოდა, არც უგზოობის, არც უშუქობის, არც უფულობის... ერთი შენი დანახვა ყველანაირ დარდს და საფიქრალს გვიქარვებდა, საბრძოლო ხასიათზე გვაყენებდა და გულში იმედს გვისახავდა, რომ ყოველგვარ სიდუხჭირეს გადავიტანდით, რომ „ხვალე ისევ დადგებოდა დილა“.

ჩემო თვალხატულა ბიჭო! შენ ჩემი შვილიშვილიც იყავი, შვილიც, ძმაც, მეგობარიც და მესაიდუმლეც. მიუხედავად 50-წლიანი ასაკობრივი განსხვავებისა, ყველაზე სანუკვარ ოცნებებს და საიდუმლოებებს, როგორც სამსახურებრივს, ასევე პირადულს, ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებდით, რის გამოც ხშირად სხვა ახლობლების უკმაყოფილება დაგვიმსახურებია. შენ უნდა დაგეხუჭა ჩემთვის თვალები („100 წლის მერეო, ბაბუ“ძ, შენ გქონდა ჩემი ანდერძი, ჩემი სეიფის მეორე გასაღები, შენ იცოდი, სად რა საბუთები თუ ნაწერები მქონდა შენახული. რა უნდა გაგენადგურებინა ჩემი სიკვდილის მერე და რა უნდა გამოგემზეურებინა.

შარშან აგვისტოში, საოპერაციოდ რომ გავყავდი სანიტრებს, გულიდან ჯვარი მოისხენი და მკერდზე დამადევი: „ბაბუ, ეს ჯვარი დაგიცავს განსაცდელისგანო“ (უბედურმა მამაშენმა ის ჯვარი უკვე გარდაცვლილს ჩამოგკიდა კისერზე და თან ჩაგატანეთძ. შენს ადრეულად დაქვრივებულ საყვარელ მეუღლეს კი ჩუმად უთხარი: „ბაბუს თუ რამე მოუვიდა, აქვე მოვიკლავ თავს და მის გვერდით დავწვებიო“ ვაი, რომ შენმა ჯვარმა მე ვითომ გადამარჩინა, შენ კი ვერ დაგიხსნა, ჩვენო გიო!

შენს მოძღვარს შევჩივლე „ღმერთმა მე რატომ დამტოვა და გიო რად წაიყვანა, ეს ხომ უსამართლობაა?“ ასე განმიმარტა: „უფალს საუკეთესოები მიჰყავს თავისთანო“. და რომ ეს ასეა შენი დატირების დროს გამოჩნდა...

შარშან, შენი დაბადების დღის წინა საღამოს, ცოტა დაღლილი, ცოტა გაბრაზებული, ცოტა ნერვებმოშლილი ვიყავი და შემოგჩივლე („აღარ შეგვიძლია, შვილო, მე და ბებიაშენს, რაღაც ორიოდე დღე დაგვრჩა, საშუალება მოგვეცით ცოტა დასვენებულები მივიდეთ აღსასრულის დღემდე“. შენი ჩვეული, ნათელი და ოდნავ ნაღვლიანი ღიმილით შემოგვხვიე ორივე მოხუცს ხელები, მკერდზე მიგვიხუტე და ისე გვისაყვედურე: „რას ამბობ ბაბუ, რა დროს თქვენი წასვლაა, ჩემს მაშოს და მომავალ შვილებს ვინ გამიზრდის, მხოლოდ თქვენი იმედი მაქვსო“. სანამ პირში სული გვიდგას, მე და ბების, შენს ძვირფას მაშიკოს და მარიკას არაფერს გავუჭირვებთ, ჩვენო თვალხატულა გიო!

იძინე მშვიდად, ჩვენო ვაჟკაცო, მსუბუქი იყოს შენთვის შენი საყვარელი თბილისის მიწა, ამინ!

**შენი ბები და ბაბუ —
ლილი და გიორგი ლორთქიფანიძეები.**

## ხსოვნა



### ნიკო ბერუჩაშვილი

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ლანდშაფტური ანალიზის კომისიის ხელმძღვანელი, ქართველ გეოგრაფთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრის, მარტყოფის გეოგრაფიული სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის, აეროკოსმოსური მეთოდებით გარემოს მდგომარეობების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკო (ნიკოლოზ) ლევანის ძე ბერუჩაშვილი.

ნიკო ბერუჩაშვილი დაიბადა 1947 წლის 21 აგვისტოს. 1965 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1970 წელს ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1971 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1981 წელს სადოქტორო დისერტაცია - ორივე მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროფესორი ნიკო ბერუჩაშვილი იყო მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა გეოგრაფიული ექსპედიციები მსოფლიოს თითქმის ყველა მთიან რეგიონში. იგი ფუძემდებელია ისეთი სამეცნიერო მიმართულებებისა, როგორიცაა ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსთა სივრცით-დროითი ანალიზი და სინთეზი, ლანდშაფტთა ეთოლოგია და მოდელირება-ექსპერიმენტი. მისი ინიციატივით საქართველოში დაინერგა გეოინფორმაციული ტექნოლოგიები და ექსპერტული სისტემები, სტაციონარული, ნახევრადსტაციონარული და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური გამოკვლევების მეთოდოლოგია და პრაქტიკა, ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო სკოლა.

პროფესორი ნიკო ბერუჩაშვილი ავტორია 200 -ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთაგან სამ ათეულამდე მონოგრაფია და სახელმძღვანელოა. მისი სახელმძღვანელოები ამჟამად წარმატებით გამოიყენება საქართველოს, საფრანგეთის, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის და აზერბაიჯანის უნივერსიტეტების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო პროცესში. პროფესორ ნიკო ბერუჩაშვილის სამეცნიერო შრომების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია რუსეთში, საფრანგეთში, აშშ-ში, გერმანიაში, ბულგარეთში, იტალიაში, დიდ ბრიტანეთში და სხვა ქვეყნებში. იგი იყო საერთაშორისო მნიშვნელობის გამოცემის „კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალის“ ფუძემდებელი და მთავარი რედაქტორი.

პროფესორი ნიკო ბერუჩაშვილი სხვადასხვა წლებში ლექციებს კითხულობდა მსოფლიოს არა ერთი ქვეყნის წამყვან (სორბონის, პარიზის, ტულუზის, გრენობლის, ბარსელონას, ბერლინის, დრეზდენის, ბრნოს, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის და სხვ.ძ უნივერსიტეტებში. იგი რამდენიმე წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა სადისერტაციო საბჭოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის, არა ერთი სამეცნიერო საბჭოს წევრი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია სამ ათეულზე მეტი საკანდიდატო და 5 სადოქტორო დისერტაცია. პროფესორ ნ. ბერუჩაშვილის მოწაფეები წარმატებით მოღვაწეობენ ევროპის მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტებში, სამეცნიერო ცენტრებში, მსოფლიო ბანკში და სხვ.

გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის, პროფესორ ნიკო ბერუჩაშვილის ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრების და აღზრდილების გულში.

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართველ გეოგრაფთა ეროვნული კომიტეტი
საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება**

**ქართველ ბიზნესმენთა საყურადღებოდ**

***ამერიკის შეერთებულ შტატებში — ქ. ნიუ იორკში გამომავალი ქართულ-ინგლისური გაზეთი „დავითის ფარი“ გაძლევთ საშუალებას, განათავსოთ რეკლამები თქვენი საქმიანობის შესახებ. ჩვენთან, ამერიკაში ძალიან აინტერესებთ ახალი ბიზნეს-პარტნიორების გაცნობა და მათთან ერთობლივი ბიზნეს-საქმიანობა. ჩვენი გაზეთის საშუალებით თქვენ გაიცნობთ ბიზნეს-პარტნიორებს და ინვესტორებს, რომლებიც სიამოვნებით დააბანდებენ ფულს ლეგალურ მომგებიან ბიზნესში.***

ჩვენ პარტნიორული თანამშრომლობა გვაქვს საქართველოში გამომავალ გაზეთ „საქართველოს ვარსკვლავთან“, რომლის ტირაჟის ნაწილიც იბეჭდება ნიუ იორკში და ვრცელდება ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში.

ჩვენ ერთობლივად ვიტვირთეთ ახალი ქართულ-ამერიკული ბიზნეს ხიდის კურატორობა, რაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ქართულ-ამერიკული ბიზნესის აღორძინებას.

გთხოვთ, თამამად განათავსოთ სარეკლამო ინფორმაციები. თქვენ აუცილებლად გექნებათ გამოხმაურება და პროგრესი.

ჩვენ გვაინტერესებს ნორმალური, რეალური ბიზნეს-წინადადებები და პროექტები.

**ინფორმაციები შეგიძლიათ ჩააბაროთ:**

**თბილისის ოფისი: მაჩაბლის 15.**

**ტელ: 93 51 81.**

**ნიუ იორკი — 17182755795**

**E-მაილ: georgianstar2005@yahoo.com**

## დარია თუ ავდარია

# 28 მარტი

**დასავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+4^0 - +10^0$, ღამით $+2^0 - +7^0$.



**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+2^0 - +7^0$, ღამით $-2^0 - +6^0$.

**თბილისში** – ღრუბლიანი ამინდი, წვიმა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით $+4^0$ დღისით $+12^0$.

**ბათუმი** – ღ. $+7^0$, დ. $+16^0$; **სოხუმი** – ღ. $+5^0$, დ. $+14^0$; **ქუთაისი** – ღ. $+6^0$, დ. $+14^0$; **ოზურგეთი** – ღ. $+5^0$, დ. $+12^0$, **ზესტაფონი** – ღ. $+6^0$, დ. $+15^0$; **რუსთავი** – ღ. $+4^0$, დ. $+12^0$; **ფოთი** – ღ. $+7^0$, დ. $+15^0$; **მესტია** – ღ. $-1^0$, დ. $+5^0$; **სტეფანწმინდა** – ღ. $+2^0$, დ. $+7^0$; **თელავი** – ღ. $+3^0$, დ. $+11^0$; **გორი** – ღ. $+4^0$, დ. $+10^0$; **ახალციხე** – ღ. $+1^0$, დ. $+10^0$; **ბორჯომი** – ღ. $+2^0$, დ. $+12^0$; **ცხინვალი** – ღ. $+2^0$, დ. $+10^0$; **სამტრედია** – ღ. $+6^0$, დ. $+16^0$; **ზუგდიდი** – ღ. $+4^0$, დ. $+14^0$; **ჭიათურა** – ღ. $+3^0$, დ. $+13^0$.

## ყველაფერი ყველაფერზე

# მეხსიერებაც ამას ჰქვია

**პითაგორას რიცხვი „პი“ (წრეწირის სიგრძის შეფარდება დიამეტრთან) ახსოვთ, როგორც 3,14; ოღონდ ეს მიახლოებითი მნიშვნელობაა: „პი“ ეგრეთ წოდებული ტრანსცენდენტული რიცხვია და ზუსტად ვერ ამოწერ, მძიმის შემდეგ ციფრთა უსასრულო რიგი მიდის. ჰოდა, იმართება შეჯიბრებები, ვის მეტი ახსოვს ზეპირად.**



სხვადასხვა დროს რეკორდსმენები იყვნენ კრასნოდარელი უნიკუმი ნიკოლოზ სკრიპკა, ჩელიაბინსკელი ალექსანდრე ბელიევი. შარშან იაპონელმა ტიბა აკირა ხარაგჩიმ მოახერხა მძიმისშემდგომი 83 143 ციფრის გახსენება. ყველას კი ლვოველი ანდრეი სლიუსარჩუკი „გადაახტა“.

ამ 33 წლის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა და ფსიქოთერაპიის პროფესორმა მეხსიერების უნიკალური შესაძლებლობები გამოაჩინა. ოცი წამის ცქერით მან დაიმახსოვრა და დაასახელა ქაოსურად განლაგებული 400 გეომეტრიული ფიგურა, შემდეგ აღადგინა 5 ათასი ციფრი. მთავარი რეკორდი კი პითაგორას რიცხვზე დაამყარა: „თვალხუჭულა“ დაასახელა მძიმის მარჯვნივ „გამწკრივებული“ მილიონი ციფრული ნიშანი...

## ანეკდოტები

**– მამაკაცებში გავრცელებულია აზრი, რომ ყველა ქერათმიანი მანდილოსანი სულელი და ქარაფშუტაა, – ეუბნება კაცი ქერა ქალს.**



**– მე თმები შეღებილი მაქვს.**

**– ესე იგი, მარტო ქერათმიანები არ ყოფილან ასეთები.**

* * *

**გენერალური რეპეტიციის შემდეგ ერთ-ერთი დამსწრე კომპოზიტორს ეუბნება:**

**– მომღერალმა რაც შეეძლო, გააკეთა. ხომ არ ეტყოდით ორიოდ თბილ სიტყვას?**

**როდესაც მომღერალი მათ მიუახლოვდა, კომპოზიტორმა ხელი გაუწოდა:**

**– თქვენზე ნაწყენი არა ვართ!**

* * *

**ნუ დაუსვამთ მოკრივეს კითხვებს, რომლებზეც იგი სიტყვებით ვერ გიპასუხებთ.**

* * *

**– რა არის ქონების გაყოფა?**

**– ეს ის შემთხვევაა, როდესაც ქალი ერთხელ გაიხდის, შენ კი მას, გარკვეული დროის შემდეგ, ქონებას უყოფ...**

* * *

**ძმაკაცები რესტორანში სხედან. მიხომ შემწვარი ქათამი შეუკვეთა.**

**– შენ რა, ქათმის გრიპისა არ გეშინია? – ეკითხება ერთი.**

**– ეს ქათამი ახლა დახვედრებას თუ დააპირებს, გრიპის კი არა, ინფარქტის უნდა შემეშინდეს...**

* * *

**– მაინც სად ვიპოვო ისეთი ექიმი, რომელიც ღიად და პატიოსნად მეტყვის, რომ ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი რიგზე მაქვს?**

**– მხოლოდ სამხედრო კომისარიატში!**

## ლარის კურსი

### 28 მარტიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2109 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8275 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2264 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0661 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 2,0074 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6112 ლარი. |
| თურქული ლირა | 1 | 1,3720 ლარი. |

## ტელემაყურებლის შენახვილი

# იმედის მტრედები – საქართველოს უმზეო ცაზე

**ქართული ტელევიზია და ქართული პრესა გაყრილი ცოლ-ქმარივით არიან, უფრო სწორად, წლების განმავლობაში უბრად არიან. არც პირველი ძრავს სიტყვას პრესაზე და არც მეორე ტელევიზიაზე. უფრო მეტიც, ერთმანეთის მიმართ თითქოს ჩასაფრებულები არიან. ამით, რასაკვირველია, ერთიც წაგებულია და მეორეც. ორივეზე უფრო კი მაყურებელი და მკითხველი ზარალდებიან, რომელთაც ხშირად ერთგვარი გზამკვლევი სჭირდებათ დღევანდელ საოცრად ჭრელ და, თუ გნებავთ, კარგა გვარიანად დაბინძურებულ, უღრან ინფორმაციულ ტყეში სამოძრაოდ.**

არ დავმალავ, ჩემი მართლაც არა ერთი კეთილი იმედის გამჩენი არხია თავადაც „იმედი“, რომელიც ჩემს თვალში ისევე ამართლებს თავის სახელს, როგორც ლამაზი ქალი, რომლისთვისაც ნათლიას სახელად „მზექალა“ დაუნათლავს.

მაგალითისთვის თუნდაც მარტო გიორგი თარგამაძის „დროება“ ვთქვათ, ანდა ვაკაჭინიუსი, ან „ეტალონები“. უსაკუთრესად ცალკე უნდა გამოვყო ჩვენი ჩინებული მწერლის აკა მორჩილაძის საოცრად საჭირო, ნამდვილად სულზემოსწრებული საუბრები. **ერთი სიტყვით, ამ არხზე უწინარესად ქართული სული ზეობს, რომელიც არცთუ სახარბიელო დღეშია ამჟამინდელ ათასგვარ სულთა ომში...**

ამ პატარა წერილის დასაწერად კი, როგორც იტყვიან, კალამი ხელში ამაღებინეს იმედის მტრედებმა, ამ ბოლო დროს შაბათობით ჩვენს მართლაცდა უმზეო ცაზე რომ გამოჩნდნენ ისევ „იმედის“ ხელშეწყობით. ეს ძვირფასი გადაცემაა, მეგობრებო, ნაღდი ქართული გადაცემა, რომელმაც, სულაც არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, იქნებ თავის ჩამოსახრჩობად ჩამობმული თოკიც კი ჩამოახსნევინოს სამშობლოს ბედით გულშეძრულ ქართველს...



ამ ჩვენი პატარა გოგო-ბიჭების ენა-პირით თვითონ ხვალინდელი და ზეგინდელი საქართველო მღერის, ის საქართველო მღერის, რომელსაც ბევრი რამის გამო არც ემღერება და გულთან ერთად ცრემლიც ყელში აქვს მობჯენილი, მაგრამ ჯერჯერობით უმზეო ცაზე იმედის მტრედები გამოუჩნდნენ, და იმათი ხმაც ამიტომ თითქოს მომავლიდან მოისმის...

მერე რა კარგები არიან, რა კარგები! მერე რა გულიანად ოცნებობენ კარგ საქართველოზე! გამოყოფით ვერც ერთს ვერ გამოვყოფ, რადგან მტრედი მტრედია... ოღონდ სიმღერა ამ პატარა ქართველების „ხობი“ კი არ არის, ბატონებო, გატაცებაა, გატაცება! მოდით, ნურც ამ კარგ ქართულს დავკარგავთ. მით უმეტეს, ერთი რა ხობიც გვაქვს, ისიც გვეყოფა...

მომავლისკენ დიახაც ქართულმა გატაცებამ უნდა გაგვიტაცოს... უწინარესად სწორედ იმედის მტრედების ფრთებით...

**გურამ წიკლაური**

## მეცნიერების სიახლენი

# მონეტა სხვა სამყაროდან

**ნაპოვნია ანტინივთიერება? სიახლედ სიძველე გადაიქცა? უკვე მრავალი წელია, რაც როსტოვის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დოცენტი სერგეი გერასიმოვი თავს იმტვრევს ამ კითხვებზე და ხელში შემთხვევით ჩავარდნილი უცნაური საგნის საიდუმლოს ამოცნობას ლამობს.**



1990-იანის დასაწყისში მეშახტეებმა ანტრაციტის ნატეხში რაღაც სქელი მონეტის მსგავსი ნახეს (3,5 სმ დიამეტრი და დაახლოებით 7 მმ სისქე). ნაპოვნი მეცნიერებს გადასცეს. ლითონის საგანს დიდხანს და გულმოდგინედ შეისწავლიდნენ ბირთვული ფიზიკის განყოფილებაში, რომელსაც გერასიმოვი ხელმძღვანელობდა, მაგრამ ყველა გამოკვლევა ჩიხში მოექცა.

თითქოსდა, ლითონის ნაჭერში რა უნდა იყოს უცნაური? საგნის ფორმა ხელოვნურ წარმოშობას გაფიქრებინებს. არადა, რადიონახშირბადულმა ანალიზმა უჩვენა, რომ არტეფაქტი... 150 მილიონი წლისაა, ქიმიურმა კი – უცნობი ელემენტის თანხლება დააფიქსირა (რკინასა და ქრომთან ერთად), ელემენტისა, რომელიც ყველა ქიმიური პარამეტრით სულაც არ უნდა არსებობდეს! ამასთან ნივთიერების სიმკვრივე აღმოჩნდა გაცილებით ნაკლები, ვიდრე ლითონის დისკისგან იყო მოსალოდნელი. თავიდან სწავლულებმა ივარაუდეს, რომ საგანში სიცარიელეა, თუმცა რენტგენოსტრუქტურულმა ანალიზმა ეს არ დაადასტურა. რადიაციის არსებობაზე გამოკვლევისას კი რენტგენის გამოსხივების მთვლელმა უკუღმა დაიწყო თვლა.

– ეს ეგებ იმით აიხსნილიყო, რომ არტეფაქტი ანტინაწილაკებს შეიცავს, – ხელებს შლის გერასიმოვი. – მაგრამ ანტინაწილაკს რომ დედამიწის პირობებში არსებობა არ შეუძლია? ის უბრალოდ მოისპობოდა ნივთიერებასთან თანშეხებისას. ვერც მეტეორიტობას შეაწერ ამ დისკს – ჯერ არ ყოფილა, რომ მეტეორიტებში მეცნიერებისთვის უცნობი ნივთიერებები აღმოჩენილიყო.

მალე ფიზიკურ რებუსებს მისტიკა დაემატა. არტეფაქტის შესწავლისას უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის ლაბორატორიაში გამუდმებით იმსხვრეოდა აპარატურა; როგორც კი ლაბორანტმა „მონეტაზე“ ჩახერხვა დააპირა ლითონის ნიმუშის ასაღებად, ოთახში ცენტრალური გათბობის ბატარეა გასკდა. იმის მერე კი, რაც ნიმუშზე მუშაობისას რამდენიმე წუთში გადაიწვა გამასწორებელი, სპექტრომეტრის კვების მაღალვოლტიანი ბლოკი და მთელი ინსტიტუტის კვების კაბელი, გატანჯულმა მეცნიერმა თანამშრომელმა დეკანის სახელზე მოხსენებითი ბარათის დაწერა გადაწყვიტა ექსპერიმენტების შეწყვეტის თხოვნით. გერასიმოვმა ხუმრობაში ჩაუტარა – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს არ ეგების ყოველნაირი მისტიკის დაჯერებაო; და მაინც, ფაკულტეტზე ცუდი ხმები აგორდა: იმათ, ვინც „რკინულას“ იკლევს, ათასგვარი უსიამოვნება ხვდებაო; ერთი სტუდენტი გოგონა კი, ცდების აქტიური მონაწილე, თავის მოკვლასაც შეეცადა...

მეცნიერები ათ წელზე მეტია, რაც ძველი ნივთის ბუნების გამოცნობას ცდილობენ, მაგრამ აქამდე ვერაფერს გახდნენ.

– ეს არტეფაქტი კაცობრიობის ისტორიაზე გაცილებით ძველია, – ამბობს დოცენტი. – ამიტომ შევყავართ ჩიხში მაგის წარმოშობის საკითხებს. დისკის დამზადება **სულიერს არ შეეძლო.**

ეგების დედამიწაზე ჩვენამდე სხვა, გაცილებით ძველი ცივილიზაცია ცხოვრობდა? ან იქნებ ეს უცხოპლანეტელთაგან მოკითხვაა? ასეა თუ ისე, საიდუმლოება გაუხსნელი რჩება...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის ქ. №12, ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.